რევაზ ჭიჭინაძე

სამაუწყებლო მედიაპროპაგანდის ანალიზი

(საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ვარდების რევოლუციამდე)

თბილისი

2015

რეცენზენტები:

თეა მჟავანაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი.

ქეთევან ტრაპაიძე, საქართველოს შეთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალ მეცნიერებათა, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

რედაქტორი

თამარ ვაშაკიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარჩევი

შესავალი –
ახალი რეალობა –
მენტალური რევოლუციის მცდელობა –
ედუარდის გიორგიდ “გარდაქმნის” პროცესი –
აფხაზეთის კონფლიქტი –
სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე –
მზადება რევოლუციისთვის –
გამოყენებული ლიტერატურა –

შესავალი

XX საუკუნის ბოლო ათწლეული მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია როგორც მსოფლიოს უახლეს ისტორიაში, ასევე ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესშიც. ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოს და მისი იდეოლოგიური მანქანის მსხვრევამ საზოგადოების აზროვნების სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობა განაპირობა. ნაშრომის მიზანია გაარკვიოს, რა როლი შეასრულა ამ ურთულეს პროცესებში ქართულმა კინომ და ტელევიზიამ, როგორც პროპაგანდის ერთ-ერთმა უმთავრესმა საშუალებამ.

აღსანიშნავია, რომ ამ ხასიათის ვრცელი მეცნიერული კვლევა აღნიშნულ საკითხზე დღემდე არ ჩატარებულა (რა თქმა უნდა, არის ნაშრომები, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომებიც, ზოგადად მედიისა და კონკრეტულად ბეჭდური მედიის შესახებ, რომლებიც ჩვენს კვლევაში გათვალისწინებულია. ასევე არსებობს ქართველ მკვლევართა ცალკეული პუბლიკაციები, საკვლევი პერიოდის სამაუწყებლო მედიის შესახებაც). წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას, რომელშიც განხილული და მეცნიერულად შესწავლილი იქნება ქართული კინოსა და ტელევიზიის როლი ახალი ქართული საზოგადოების აზროვნების ფორმირების პროცესში. თემის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ ქართული კინოსა და ტელევიზიის მოღვაწეობა განხილული იქნება უახლესი ქართული ისტორიული პროცესების ჭრილში. კერძოდ კი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში.

ამ ნაშრომშიც ისე, როგორც ყველა არსებულ სამეცნიერო პუბლიკაციასა თუ შრომაში, რაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, პროპაგანდის საშუალებით მოქალაქეებზე ზემოქმედებას ეხება, კინო, ტელევიზიასთან ერთად, განიხილება როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

იმისთვის, რომ ნათლად წარმოჩნდეს მეთოდები და ხერხები, რომელთა საშუალებითაც საქართველოში ხორციელდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ახალი ქართული საზოგადოებრივი

აზროვნების ფორმირება, ნაშრომში შევეხებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პროპაგანდის მსოფლიოში არსებულ და აპრობირებულ მეთოდებს და ტექნოლოგიებს.

თანამედროვე მსოფლიოში შემუშავებულია მასობრივი პროპაგანდის – საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მრავალი მეთოდი. ესენია: 1. ანონიმური ავტორიტეტი, იგივე ნაცრისფერი პროპაგანდა; 2. ჩვეულებრივი თხრობა, ანუ თხრობა წყნარად და საქმიანად (გულისხმობს ძალადობასთან შეგუებას, რომელიც ძირითადად გამოიყენება საომარი მოქმედებების დროს); 3. შიმშილი (ოპოზიციური ძალების მიერ მასებზე ზემოქმედების ეფექტური საშუალება); 4. დაიჭირე ქურდი – საზოგადოების დეზორგანიზაცია (ეს ხერხი ლიტერატურაში აღწერილია როგორც აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის საყვარელი ფანდი); 5. გადაჭარბება, იგივე ინფორმაციული აფეთქება; 6. ემოციური რეზონანსი (ფართოდ გამოიყენება კინოში. იგი მასობრივი სანახაობების ერთ-ერთი განშტოებაა. აღლუმების, დემონსტრაციების, მიტინგების და ა.შ. ტრანსლირება); 7. ბუმერანგის ეფექტი (იწვევს სიმართლისთვის მებრძოლის ხატის შექმნას); 8. არწივის ეფექტი. მეთოდის დევიზია –"ახლოს (გვერდით), ნიშნავს ერთად!" (დაფუძნებულია გამოგონილ ანალოგიებზე); 9. პირველადობის ეფექტი (საზოგადოება პირველ, თუნდაც ტყუილ, ინფორმაციას უფრო იჯერებს, ვიდრე მეორეს, თუნდაც მართალს, რომელსაც ვერ გადაამოწმებს); 10. დასწრების ეფექტი – იგივე რეალობის იმიტაცია (პრიმიტიული, მაგრამ მასებზე ზემოქმედების აპრობირებული მეთოდი); 11. ინფორმაციული ბლოკადა, იგივე პროპაგანდისტული ომი (ძირითადად გამოიყენება კონფლიქტურ ზონებში და ომის პერიოდში); 12. მედიატორები (კულუარული ინფორმაციები, ჭორები და ხელოვნების სფეროს ავტორიტეტების გამოყენება); 13. კლასიფიკატორი (კონკრეტული სიტუაციისთვის სახელის დარქმევა). 14 - კომენტარი. ეს მეთოდი. აშშ-ში ცნობილია, როგორც "მოწამლული სენდვიჩი" (დაფუძნებულია შედარებებზე); 15. ფაქტის კონსტატაცია – ჰიპნოზი; 16. ცრუ ანალოგია (ლიტერატურაში ეს მეთოდი განიხილება, როგორც სახიფათო ფსიქოლოგიური ხაფანგი); 17. უკუკავშირი (მოიცავს ინფორმაციულ პროცესებში საზოგადოების ჩართვის ილუზიას); 18. შემოვლითი

გზა - ასევე ცნობილი, როგორც “ფლანგის შემოვლა” (პროპაგანდისტი იძლევა ძირითადად უტყუარ ინფორმაციებს, თუმცა ამავდროულად ეწევა, მაგალითად, ომის პროპაგანდას); 19. ყურადღების გადატანა (მკვლელობები, კატასტროფები, ტერორისტული აქტები); 20. მოწმეები – ემოციური რეზონანსის განშტოება (ამ მეთოდის განხორციელებისთვის საუკეთესო საშუალება, მაგ: ომის შემდგომ ახალგაზრდა ინვალიდები და მათზე გაკეთებული კინოფილმი, საინფორმაციო პროგრამაში მყვირალა მოხუცები და ატირებული ბავშვები); 21. ისტორიის გადაწერა (ამ მეთოდს ძირითადად იყენებენ კინოში); 22. პერსპექტივა (იაფფასიანი, მაგრამ კარგად მოქმედი მეთოდი); 23. გამეორება (“მასები არქმევენ სინამდვილეს ინფორმაციას, რომელიც უფრო ნაცნობია”, ი. ჰებელსი); 24. ჩანაცვლება (მეთოდი ორმაგი სტანდარტებისთვის); 25. ნახევრად სიმართლე (საბჭოთა პროპაგანდის საუკეთესო მექანიზმი); 26. კონტრასტის პრინციპი (გამოიყენება მაშინ, როდესაც სიმართლის თქმა პირდაპირ არ შეიძლება); 27. საცდელი ბურთები (საზოგადოების რეაქციის მოსინჯვა სწორი ტაქტიკის შესარჩევად); 28. ფსიქოლოგიური შოკი (სისხლიანი (ტელე - კინოკადრები), რასაც თან სდევს ნებისმიერი ტიპის პროპაგანდა, რომელსაც უპრობლემოდ შეითვისებს საზოგადოება); 29. სენსაციურობა (ტყუილის გავრცელების პრიმიტიული საშუალება); 30. აქცენტების შერევა (ეფექტურია საინფორმაციო ომის დროს); 31. ასოციაციების შექმნა (ამის ნათელი მაგალითია: “ჰუსეინი არაბულ ენაზე მოსაუბრე ჰიტლერია”); 32. საინფორმაციო ტალღის შექმნა (ყურადღების მიქცევის საშუალება); 33. პრობლემის შექმნა რაზე უნდა იფიქროს საზოგადოებამ; 34. ხელოვნურად შექმნილი საშიშროებები (მასობრივი შიშის დანერგვა, აქცენტის გადატანა); 35. სოციალური თანხმობა (საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, პროპაგანდისტული კინო); 36. გადახლართული სიმართლე (სიმართლეზე დაყრდნობილი ფაქტების ერთობლიობის გადმოცემა ისე, რომ საზოგადოებაში ცალმხრივი ემოცია დაიბადოს. იყენებენ კინოში, ტელევიზიაში. ძირითადად ამ მეთოდს მიმართავენ საომარი მდგომარეობისას); 37. გამაფრთხილებელი, სათადარიგო დარტყმა. ცნობილია, როგორც საზოგადოების მხრიდან ნეგატიური “ორთქლის” გამოშვება.

მეთოდები მოცემულია “პროპაგანდის მეთოდების ენციკლოპედიაში” (“როგორ გვამუშავებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები” - ვიქტორ სოროჩენკო, ახალი რედაქცია, 2002წ). პროპაგანდის მეთოდოლოგია ასევე განხილულია სერგეი კარა-მურზას მიერ. მისი ნაშრომი “აზრით მანიპულირება” დაგვეხმარება, დეტალურად ავხსნათ, თუ როგორ ტრანსფორმირდება ტელეკინოპროდუქცია მასობრივი მანიპულაციის იარაღად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევა თემაზე - ქართული ტელევიზია და კინო როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მანიპულირების სუბიექტები - დღემდე არ ჩატარებულა. შესაბამისად, ნაშრომში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას ვერ დავეყრდნობით, თუმცა თემაზე არსებობს მრავალი პუბლიკაცია, ისევე, როგორც - საკვლევი პერიოდის შესახებ დამუშავებული სადისერტაციო ნაშრომები პრესის მიმართულებით და ქართველ პოლიტოლოგთაკვლევები. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ვიდრე ვარდების რევოლუციამდე პერიოდის განხილვისას, ნაშრომში ასევე გაანალიზებული იქნება თემაზე შექმნილი მრავალი პუბლიკაცია და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მასალები.

მეცნიერული დაკვირვებისა და კვლევის საფუძველზე შეჯამებულია ქართული კინოსა და ტელევიზიის მნიშვნელობა, როგორც ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირების მექანიზმი.

რა შედეგი მივიღეთ ათწლიანი არამიზანმიმართული, შეუთანხმებელი პროპაგანდით, რომელიც ხორციელდებოდა კონფლიქტის ზონებში (აფხაზეთი, სამაჩაბლო).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მიერ განხორციელებული პროპაგანდის შედეგად რამდენად პოლიტიზებულია საზოგადოება.

რა ნეგატიური და პოზიტიური როლი შეასრულა ქართულმა კინომ და ტელევიზიამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეების აზროვნებაში.

სამეცნიერო ნაშრომი დაეხმარება როგორც მედიამკვლევრებს, ისე პრაქტიკოს ჟურნალისტებს, რათა სწორად გაიაზრონ საზოგადოებაზე ამ ფორმით ზემოქმედების მოსალოდნელი შედეგები.

ნაშრომი ასევე წაადგება მედიის ისტორიის მკვლევრებს, რადგან ეს იქნება ერთ-ერთი პირველი ფუნდამენტური კვლევა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ვარდების რევოლუციამდე ტელემედიაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს.

ნაშრომი შესაძლოა იქცეს დამხმარე სახელმძღვანელოდ სოციალურ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს შემსწავლელი სტუდენტებისთვის.

მივიჩნევთ, რომ ნაშრომი შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და დასკვნების მატარებელი იყოს ჰუმანიტარული და სოციალური სფეროს უცხოელი მკვლევრებისთვისაც.

ახალი რეალობა

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, კონკრეტული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განვითარებისას, მასმედიის როლის გაანალიზებამდე - აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ე.წ. სასტარტო პოზიცია – რეალობა, რომელშიც აღმოჩნდა კომუნისტური მარწუხებიდან ახლად დახსნილი საზოგადოება. მოსახლეობის უდიდესი სურვილის მიუხედავად, სოციალიზმიდან კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლა რთული პროცესი იყო. საზოგადოება არა მხოლოდ ახალ სოციალურ რეალობას, არამედ ახალი ტიპის აზროვნებას უნდა შეჰგუებოდა. საბჭოური პროპაგანდა ცდილობდა, თაობები აღეზარდა იმ მხატვრულიპროდუქციით,რომელშიც კონფლიქტი კარგსა და უკეთესს შორის ვითარდებოდა, რომელშიც მისაბაძი ორდენოსანი კოლმეურნე იყო, რომელშიც პრაქტიკულად არ არსებობდა ეროტიკა. ამასთან, საბჭოელებს მხოლოდ იმ უცხოურ კინოპროდუქციაზე მიუწვდებოდათ ხელი, რომელიც მკაცრად მოწმდებოდა იმისთვის, რომ მოქალაქეები არ "გარყვნილიყვნენ" და არ მოსწონებოდათ კაპიტალისტური სამყარო. უმრავლეს შემთხვევაში, უცხოური ფილმები, რომელებიც საბჭოთა ტელევიზიით გადიოდა, არ იყო ნაჩვენები სრული სახით. იდეოლოგები ფილმებიდან "საეჭვო" სცენებს ჭრიდნენ. იმის გარდა, რომ ტელევიზიით არასოდეს ისმოდა ალტერნატიული პოლიტიკური აზრი, იყო უამრავი შეზღუდვა და მითითება, რაც ტელეჟურნალისტებსა და რედაქტორებს უნდა შეესრულებინათ. სამაუწყებლო მედიის საინფორმაციო სამსახურის ძირითადი დანიშნულება მუშათა კლასის წარმატების წარმოჩენა იყო, უარყოფითი ინფორმაცია კი მედიაში არ ხვდებოდა. სიმართლე იმალებოდა მაშინაც, როდესაც საფრთხე ათასობით ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებოდა.

ამის ნათელი მაგალითი 1986 წელს ჩერნობილის ატომური სადგურის რეაქტორზე მომხდარი ავარიაა, რომლის შესახებაც მედია არ საუბრობდა. ტელევიზია არასდროს აჩვენებდა ძალადობის სცენებს, არ არსებობდა გასართობი შოუპროგრამები, სადაც გულახდილი საუბარი მიმდინარეობდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა; ტელევიზიით არ გადიოდა ტელესერიალები, რადგან მათი უმრავლესობა იდეოლოგთა აზრით, უხამსი, საბჭოთა მოქალაქისთვის მიუღებელი ცხოვრების სტილის პროპაგანდა იყო. ტელევიზიით არ გადიოდა სარეკლამო რგოლები და ა.შ. საბჭოთა იმპერიის ღრვევამ კი, პირველყოვლისა, ტელემაუწყებლობის სტილი შეცვალა. ტელეეთერი ყველა მიმართულებით გათავისუფლდა. ე.წ. გარდამავალ პერიოდში არ ჩატარებულა სამეცნიერო კვლევა იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია მედიის გათავისუფლებამ საზოგადოებაზე, თუმცა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ტრანსფორმაცია განიცადა კინოსა და ტელევიზიის დახმარებით ახლადგათავისუფლებულმა საზოგადოებამ. საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, მაყურებელი ახალი ამბების გამოშვებით დაინტერესა. თავად საინფორმაციო სამსახური, რომელიც უკვე აქტუალურ და რეალურ ამბებს აშუქებდა, გავლენას ახდენდა შიდა პოლიტიკურ პროცესებზე.ეროვნულ მოძრაობაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობა მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს ინტერესს წარმოადგენდა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა საინფორმაციო გამოშვებაზე დამოკიდებული საზოგადოება.იმავდროულად, სამაუწყებლო მედიამ წარმოაჩინა მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრი. ტელევიზიის კარი ყველა პოლიტიკური გაერთიანებისთვის გაიღო, შესაბამისად, თითოეული სუბიექტი ცდილობდა საკუთარი მედიაკამპანიის წამოწყებას, რაც მაყურებლისთვის უჩვეულო სურათი იყო. თავისუფალ მედიას შეუჩვეველი საზოგადოება ერთგვარად დაბნეული და დეზორიენტირებული იყო. აქტიური პოლიტიკური ცხოვრების გარდა - სამაუწყებლო მედიის კარი გაიღო უცხოური მხატვრული ფილმებისთვის, ტელესერიალებისთვის, მუსიკალური ვიდეოკლიპებისთვის და ა.შ. მაშინ, როდესაც დასავლური ცივილიზებული სამყარო მედიაში ძალადობას განიხილავდა, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან

სოციალურ პრობლემას და მსჯელობდა სხვადასხვა ტიპის აკრძალვების დანერგვის შესახებ, ქართულ საზოგადოებას უკვე დამოუკიდებელი ტელეეთერიდან მანმადე აკრძალული ყველა ტიპის მხატვრული ფილმი და სხვა ვიდეოპროდუქცია ერთბაშად შესთავაზეს.

მრავალი სამეცნიერო კვლევა ადასტურებს, რომ ძალადობისა და სისასტიკის შემცველი მხატვრული ფილმები და ტელეგადაცემები საზოგადოებაში ძალადობას ამჟღავნებს და ზრდის კრიმინალურ ფონს. ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კვლევა ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერს, ბრენდონ სენტერვოლს (Brandon S. Centerwall). მან შეისწავლა 30-წლიან პერიოდში (1945-1975) აშშ-ში, კანადასა და სამხრეთ აფრიკაში თეთრკანიანთა მიერ ჩადენილი სასტიკი დანაშაულებების სტატისტიკა. დეტალური კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აშშ-სა და კანადაში მკვლელობათა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა მას შემეგ, რაც ტელევიზორი ხელმისაწვდომი გახდა ყველა ოჯახისთვის. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკას, იქ ამ პერიოდის განმავლობაში კრიმინალის შესამჩნევი ზრდა არ მომხდარა, რადგან ტელევიზორი ხელმისაწვდომი ყველა ოჯახისთვის არ იყო. კვლევა სენტერვოლმა 1989 წელს გამოაქვეყნა(*Centerwall, B. S.* (*1989*). *Exposure to television as a risk factor for violence*. American Journal of Epidemiology). მკვლევარს მოჰყავს არაერთი მტკიცებულება იმისა, თუ როგორ ზრდის კრიმინალურ ფონს ტელეეკრანით ნაჩვენები მხატვრული ფილმები თუ ტელეგადაცემები, რომლებიც შეიცავენ სისასტიკისა და ძალადობის ამსახველ სცენებს. მოქალაქეებზე ტელეზემოქმედების ნეგატიური გავლენის საკითხით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ადმინისტრაციაც დაინტერესდა. კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევის შედეგების მიხედვით დაასკვნეს, რომ სხვადასხვა ტელეგადაცემა და ტელევიზიით ნაჩვენები მხატვრული ფილმი მაღალი რისკის ფაქტორია ამერიკული საზოგადოებისთვის. სოციოლოგებმა გამოამჟღავნეს 5 მთავარი კომპონენტი, რაც ხელს უწყობს მასმედიის ნეგატიური გავლენის ზრდას:

1. *ბოროტმოქმედი წარმოდგენილია მიმზიდველ როლში.*
2. *ძალადობა, სიუჟეტის მიხედვით, ერთგვარად გამართლებულია.*

3. ძალადობას არ მოსდევს პასუხისგება (კრიმინალური საქმიანობა არ იწვევს სინანულს, არ არის გაკიცხული, არ არის დასჯილი).

4. ზიანი, რაც მიაყენეს ძალადობის მსხვერპლს, არის მინიმალური.

5. ძალადობის სცენა მაყურებლის მიერ რეალისტურად აღიქმება[1].

1998 წელს გამოქვეყნებული კვლევის (კვლევას აშშ-ის 4 უნივერსიტეტის მკვლევრები ატარებდნენ (1994-1997), რაც აშშ-ის პრეზიდენტისთვის - ბილ კლინტონისთვის მომზადდა) ანგარიშში მეცნიერები ასკვნიან, რომ ნეგატიური გავლენის ქვეშ ძალზედ იოლად ექცევიან მოზარდები, მითუფრო მაშინ, როდესაც ხუთივე კომპონენტია წარმოდგენილი, თუმცა ტელეძალადობის უარყოფითი გავლენა შეიმჩნევა ზრდასრულ მაყურებელშიც.

ადამიანთა ქცევაზე გავლენას ახდენს მედიამასალები (ფილმები, გადაცემები, მუსიკალური კლიპები და ა.შ.), სადაც ნაჩვენებია სექსუალური სცენები. საკითხზე მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა მიდის დასკვნამდე, რომ სექსუალურ დანაშაულსა და მაყურებლისთვის შეუზღუდავად მიწოდებულ,შეუნიღბავ სექსუალურსცენებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ცნობილმა მეცნიერმა დ. ზილმანმა ნაშრომში "კავშირი სექსუალურობასა და აგრესიას შორის" (Connections between sexuality and aggression) საკუთარ კვლევებთან ერთად თავი მოუყარა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებს, რაც ცხადყოფს სექსუალური დანაშაულისა და სექსუალური სიუჟეტების მქონე მედიამასალების კავშირს. მეტიც, ასეთი ტიპის – ღია სექსუალური შინაარსის მქონე - ვიდეომასალებმა, შესაძლოა, ადამიანთა ნაწილს არამხოლოდ სექსუალური დანაშაულის, არამედ, ზოგადად, აგრესიულობისკენ უბიძგოს. *"ზოგიერთი ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტში მონაწილეები რომლებსაც წინასწარ აღიზიანებდნენ უქმნიდნენ*

[1]National television violence study, Vol. 3, Executive summary 1998 (Santa Barbara: Regents of University of California).

სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე გამაღიზიანებელ ფონს, და შემდეგ აჩვენებდნენ ღია სექსუალური ელემენტების შემცველ მედიამასალებს, გაცილებით აგრესიულები ხდებოდნენ და მზად იყვნენ შურისძიებისთვის უფრო მეტად, ვიდრე მანამდე, სანამ ისინი ნახავდნენ ამ ვიდეომასალას"[2]. დ. ზილმანი, სხვა მეცნიერთა მსგავსად, ლაბორატორიულ კვლევებზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში პორნოგრაფიული ხასიათის მასალის ყურება (ასეთი მასალა ყოველდღიურად მიეწოდება მაყურებელს ტელეეკრანიდან სხვადასხვა ფილმების, სარეკლამო რგოლების, მუსიკალური კლიპების, გასართობი შოუპროგრამების სახით) საბოლოო ჯამში(ხშირ შემთხვევაში) იწვევს ტრადიციული სექსუალური ურთიერთობების მიმართ ერთგვარ შეჩვევას, რის შედეგადაც მაყურებელი თავისდაუნებურად ეძებს მეტად მძაფრ გამაღიზიანებელს და უჩნდება სურვილი, უყუროს სადომაზოხისტური ელემენტების შემცველ პორნოგრაფიულ მასალას, რაც, ხშირ შემთხვევაში, შემდგომში იწვევს გადაჭარბებულ აგრესიულობასა და უბიძგებს მაყურებელს სექსუალური ძალადობისა და დანაშაულისკენ.

მედიაპროდუქტმა, რომელიც საინფორმაციო, საგანმანათლებლო თუ გასართობ ხასიათს ატარებს, შესაძლოა მაყურებელში შფოთი და შიშიც გამოიწვიოს. ინფორმაცია ავტო- და ავიაკატასტროფების, ბუნებრივი კატაკლიზმების და ა.შ. შესახებ, რიგ შემთხვევებში -მაყურებელთა შორის შფოთის გამომწვევი ხდება, თუმცა შიშის მიზეზად, ასევე შესაძლოა - მხატვრული ფილმიც იქცეს. ჟურნალისტიკის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში*"მასმედიის ეფექტის ფუნდამენტური პრინციპები" (Fundamentals of Media Effects)*[3], სხვა მრავალ შემაშინებელ და შემაშფოთებელ მედიაპროდუქტთან ერთად, განხილულია საშინელებათა ფილმების გავლენა საზოგადოებაზე. 1975 წელს რეჟ. სტივენ სპილბერგის მიერ გადაღებული ტრილერის - "ყბების" (Jaws) ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სანაპიროები ტრადიციულად გადატვირთული იყო დამსვენებლებით, ამერიკელთა უმრავლესობა ერიდებოდა ოკეანეში ცურვას.

2Zillmann Dolf, Connections between sexuality and aggression p.212 (Second Edition Routledge, Jun 12, 1998)
3Bryant Jennings,Thompson Susan, "Fundamentals of Media Effects". Chapter 13: Reactions to Disturbing or Frightening Media Content Page 214. PublisherMcGraw-Hill Education, 2001ISBN0071130071, 9780071130073

ეს და მრავალი სხვა ტიპის მედიაპროდუქტი, როგორიცაა სარეკლამო რგოლები, პოლიტიკური თუ აპოლიტიკური მედიაკამპანიები და ა.შ., ერთბაშად შემოიჭრა ქართული საზოგადოების ცხოვრებაში. ის, რომ ასეთი ტიპის მედიამასალები ფართო საზოგადოებამ პირველად იხილა ტელევიზიით, გვაძლევს საბაბს, ვივარაუდოთ, რომ მათ გაცილებით დიდი გავლენა ექნებოდათ ერთი პოლიტიკური წყობიდან სხვა ფორმაციაზე გადასვლით გამოწვეულ ეიფორიაში მყოფ საზოგადოებაზე, ვიდრე ამერიკელ მაყურებელზე, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ მედიის "მავნე გავლენით".

ზემოთ მოყვანილი კვლევების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ძალადობასა და სისასტიკეს გულგრილად აღიქვამდა, გაიზარდა კრიმინალური ფონი, ახალგაზრდობისთვის მიმზიდველი ე.წ. ქურდული სამყარო გახდა; იმატა სექსუალურმა დანაშაულმა, აგრესიამ; საზოგადოებაში გაჩნდა შფოთი და შიში.

მენტალური რევოლუციის მცდელობა

1998 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდგომ საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, პრაქტიკულად, კონტროლი დაკარგა. ცენტრალური კომიტეტი ერთგვარად შეეგუა რადიკალების მიერ პერმანენტულად ორგანიზებულ მიტინგებს, მანიფესტაციებს სახელმწიფო შენობების პიკეტირებას და ა.შ. ეროვნული მოძრაობის გავლენა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ რესპუბლიკაში თავისებური ორხელისუფლებიანობის მსგავსი ვითარება შეიქმნა. რადიკალების წნეხის გამო საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა იძულებული იყო, ერთგვარად გაეზიარებინა საერთო საზოგადოებრივი ეროვნული განწყობა და შეექმნა ილუზია იმისა, რომ თავადაც იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის; იმავდროულად, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების განაწყენებას ერიდებოდა და ეროვნულ მიდრეკილებებს ლენინური "ეროვნული პოლიტიკის სქემებით" ნიღბავდა. 1990 წლის 28 ოქტომბერსსაქართველოშიპირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. უმრავლესობა საარჩევნო ბლოკმა - "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" - მოიპოვა. 1990წლის 14 ნოემბერს, უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე - თავმჯდომარედ ეროვნული მოძრაობის ლიდერი – ზვიად გამსახურდია აირჩიეს. პირველივე სესიაზე გაუქმდა სახელწოდება – "საქართველოს სსრ" და ქვეყანას "საქართველოს რესპუბლიკა" ეწოდა; დამტკიცდა რესპუბლიკის ჰიმნი, სახელმწიფო დროშა და გერბი. საქართველოში გამოცხადდა "გარდამავალი პერიოდი", რომელიც ზ. გამსახურდიას

თავდაპირველი გეგმის მიხედვით, 2-წლიან ციკლს მოიცავდა, თუმცა მოვლენები დაგეგმილზე სწრაფად განვითარდა. ე.წ. "გარდამავალი პერიოდი" 5 თვეში დასრულდა. 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი. კითხვას - "ხართ თუ არა თანახმა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე" - 98%-მა დადებითი პასუხი გასცა. სწორედ 1991 წლის რეფერენდუმის შედეგები იყო საფუძველი იმისა, რომ 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საგანგებო სხდომაზე დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო, რითიც საბოლოოდ გაემიჯნა კომუნისტური ხელისიფლების მიერ 1990 წლის თებერვალში შემუშავებულ "საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციას". 1991 წლის 26 მაისს კი საპრეზიდენტო არჩევნები შედგა, სადაც ხმათა 87% ზ. გამსახურდიამ მოიპოვა.

პირველი პრეზიდენტის მიზანს საბჭოური მენტალიტეტისგან საზოგადოების გათავისუფლებას წარმოადგენდა. გამსახურდიასთვის დამოუკიდებლობის აღდგენის მხოლოდ დეკლარირება არ იყო საკმარისი. ეროვნული მოძრაობის ლიდერი მუდამ საფრთხის მოლოდინში იყო და იმ პერიოდის ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს "სუკის" აგენტებად აღიქვამდა. ზვიად გამსახურდიას დაპირისპირება ქართველი ინტელიგენციის ცალკეულ ავტორიტეტებთან ჯერ კიდევ დისიდენტობის წლების პერიოდში დაიწყო. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომაც, კომუნისტური ხელისუფლების დაკვეთას ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ 1977წელს კატეგორიულად არავინ შეწინააღმდეგებია. მკვლევრების აზრით, სწორედ ინტელიგენციასთან კონფრონტაცია იყო ზ. გამსახურდიას მნიშვნელოვანი შეცდომა. *"გამსახურდიას ხელისუფლება ნემსის ყუნწში უნდა გამძვრალიყო, რათა თანამემამულე ინტელიგენციის ზედაფენასთან როგორმე თანამშრომლობისთვის მიეღწია. პირიქით მოხდა. მაშინ, როცა ეროვნული ხელისუფლება გადაწყვეტილად და მიუკიბავად ვასკვნით, ცამდე მართალი იყო რადიკალურ ოპოზიციასთან, მანვე საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა ვერ შეიმუშავა თანამემამულე ინტელიგენციასთან და ზომიერ ოპოზიციასთან ურთიერთობის მეტ-ნაკლებად რაციონალური სტრატეგია. იგი, თუნდაც*

მინიმალური თანამშრომლობის მაგიერ, მწვავედ დაუპირისპირდა მას. ამ მცდარი სტრატეგიის, რომელიც დროთა განმავლობაში უგუნურების სახეს იღებდა, მთავარი ავტორი და იდეოლოგი ზვიად გამსახურდია აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მის ძლიერ, ეროვნული მუხტის მატარებელ ქარიზმას, თავდაპირველად ჯერ გურამ პეტრიაშვილისა და თემურ ქორიძის მსგავსი ერთგული ერთეულები აჰყვნენ, ხოლო შემდგომში მრავალი მხარდამჭერი გაუცნობიერებლად ჩაება ინტელიგენციის უარმყოფელ კამპანიაში. ...შესაძლოა ზ. გამსახურდია გულწრფელად ფიქრობდა, რომ ინტელიგენციას ამგვარი უკომპრომისო ბრძოლით გამოაფხიზლებდა, გონზე მოიყვანდა და ეროვნულ მოძრაობაში ჩააბამდა, მაგრამ მის უკომპრომისობას მუდამ უკუშედეგი მოჰქონდა – ინტელიგენცია, უფრო სწორად, მისი ზედაფენა, გნებავთ, პრივილეგირებული კასტა, სულ უფრო მწვავედ უპირისპირდებოდა გამსახურდიასაც, მის მხარდამჭერებსაც. თუ გავიხსენებთ ინტელიგენციისადმი განკუთვნილ მიმართვებს, შეფასებებს, ზედწოდებებს, თითქოს აღარ უნდა იყოს გასაკვირი ელიტართა მწვავე ანტიპათია გამსახურდიასა დამის თანამებრძოლთა მიმართ: პროვოკატორი, მტრის წისქვილზე წყლის დამსხმელი, აგენტურა, კრემლის აგენტი, მეოცე საუკუნის შაჰ-აბასების, ჯალალედინების და თემურ-ლენგების მხარში ამომდგომი, კოლაბორაციონისტი, ანტიეროვნული, ერის მოღალატე, ღვთის მოღალატე...”[4].

1990-ის 28 ოქტომბერს, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში საარჩევნო ბლოკ “მრგვალი მაგიდის” გაიმარჯვების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ცვლილებებს ელოდა, თუმცა შედეგმა მაინც ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია როგორც მოსახლეობაში, ასევე ჟურნალისტებს შორის.იმ პერიოდის სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამის პასუხისმგებელი რედაქტორი იხსენებს: *“როდესაც 28 ოქტომბერს არჩევნები დამთავრდა და “მრგვალმა მაგიდამ” გაიმარჯვა, 29-ში დილით კამერას არ აგზავნიდნენ გამარჯვებულ პარტიასთან; ფიქრობდნენ, რა იქნება ახლა გივი გუმბერიძე. ვოქვი, ცენტრალური კომიტეტის მდივანია და იქნება, თუ მოუნდება (მაშინ კომუნისტური პარტია იყო ჯერ კიდევ დაშვებული),*

4შველიძე, დ., პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992წ.წ). თბილისი 2008წ.გვ. 176.

მაგრამ ის საქართველოს აღარ მართავს-თქო. მეორე დღეს იყო სრული ქაოსი. 15-წუთიან საინფორმაციო პროგრამას ძლივს ვაკოწიწებდით. ჟურნალისტებმა არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ";[5] ამავდროულად უმრავლესობაში იყვნენ ის ჟურნალისტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები მათიმოვალენი იყვნენ. *"ტელევიზიაში მომუშავეებსმიაჩნდათ, რომ მხოლოდ ზვიადმა და ეროვნულმა მოძრაობამ მოუტანა მათ დამოუკიდებლობა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ყველამ ერთად გააკეთა, უბრალოდ, ზვიადი და კოსტავა ლიდერები იყვნენ. ისინი (ტელევიზიაში მომუშავენი) თავს თვლიდნენ არა მხოლოდ ჯარისკაცებად, ზოგს ოფიცრის თანამდებობაზეც ჰქონდა პრეტენზია,"*[6]-ამბობს მამუკა არეშიძე,რომელიც გამსახურდიას ხელისუფლების აქტიური მოწინააღმდეგე და ჟურნალისტთა აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც საქართველოში 1991-1992წწ პერიოდს სწავლობს, აღნიშნავს, რომ გამსახურდიას ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციასთან დაპირისპირება იყო. საქართველოს პირველი პრეზიდენტის შეურიგებელი დამოკიდებულების გამო, კომუნისტურ ელიტასთან ასოცირებულ ხელოვანებთან პროპაგანდისტული კინოპროდუქციის შექმნის მცდელობაცკი არ ყოფილა. გამსახურდიას ხელისუფლებამ ავტორიტეტების რღვევის მეთოდს მიმართა, რამაც დაპირისპირება მეტად გაამწვავა. *"ეროვნულმა ხელისუფლებამ განსაკუთრებით მისთვის მიუღებელი ავტორიტეტების: რ. ჩხეიძის, ლ. ღოღობერიძის, გ. ლორთქიფანიძისა და სხვათა კომპრომეტირება გადაწყვიტა და ისევ საძრახავთა ძრახვის პრინციპით მოექცა რეჟისორებს, მაგრამ შედეგად ის მოიმკო,რომ ფაქტიურად მთელი ქართული კინემატოგრაფიული ელიტა, რომელსაც არც ადრე ეხატა გულზე ეროვნული ხელისუფლება, კიდევ უფრო საფუძვლიანად გადაიკიდა მტრად".*[7]როგორც ტელე-რადიოკომიტეტი, ისე კინოსტუდია "ქართული ფილმი" სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და შესაბამისად მის დოტაციაზე იმყოფებოდა. ეს ბერკეტი კი ეროვნულმა ხელისუფლებამ არა

5 ფ. ქათამაძე, ინტერვიუ, დოკ. ფილმი "მაღლა დაღმავალი კიბით" 2000წ. სსმ-ის არქივი.
6 მ. არეშიძე, ინტერვიუდოკ. ფილმი "მაღლა დაღმავალი კიბით" 2000წ. სსმ-ის არქივი.
7 დ. შველიძე, "პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში" 2008წ. გვ 234.

პროპაგანდისტული ფილმების შექმნისთვის, არამედ ე.წ. კინემატოგრაფიული ელიტის იმიჯის გასანადგურებლად მიმართა. ფინანსთა სამინისტრომ კინოსტუდია "ქართული ფილმის" საფინანსო-სამეურნეო რევიზია ჩაატარა. ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ საჯაროდ განაცხადა, რომ კინოსტუდიაში სერიოზული ხასიათის დარღვევა-დამახინჯების ფაქტები გამოავლინა. ამონარიდი აბსანძის ანგარიშიდან: რეჟისორ ახვლედიანის ფილმის - "მესამე" - გადაღებაზე გადახარჯული იყო 349 ათასი მანეთი; რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის ფილმის "თეთრი ბაირაღების" გადაღებაზე გადაიხარჯა 67 ათასი მანეთი; საერთოდ, 1989-90 წლებში სტუდიისთვის მიყენებულმა ზარალმა 2 მლნ. 170 ათასი მანეთი შეადგინა. აბსანძის ანგარიშში ასევე 1970-80-იან წლებში არსებული დარღვევებიცაა აღწერილი, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ სტუდიაში არსებობდა პრივილეგირებული ფენა, რომელიც - მაგალითისთვის - თითქმის ყოველ წელს იღებდა ახალ-ახალ მანქანებს, მაშინ როდესაც სტუდიის სხვა თანამშრომლები წლების განმავლობაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ და რიგს ელოდნენ. საბჭოთა პერიოდისთვის ამ ტიპურ დარღვევებშიც ცნობილი რეჟისორების, სცენარისტებისა და მსახიობების სახელები ფიგურირებდა. რევიზიის მიერ გამოაშკარავებული დარღვევები აბსანძემ ძიებისთვის პროკურატურას გადაუგზავნა. შესაბამისად, ამგვარი ქმედებებით გამსახურდიას მიზნები და არჩევანი საბოლოოდ გამოიკვეთა უარი კინოს მეშვეობით პროპაგანდის წარმოებაზე - ავტორიტეტთა განადგურების სასარგებლოდ.აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საკამათო საკითხია, რამდენად დასთანხმდებოდნენ სახელოვანი კინემატოგრაფისტები ეროვნულ ხელისუფლებასთან "თანამშრომლობას", თუმცა ასეთი ნაბიჯი გამსახურდიას არც გადაუდგამს. ჯერ კიდევ ეროვნულ მოძრაობაში ყოფნისას ის დარწმუნებული იყო, რომ ე.წ. სახელოვნებო ელიტას კონფორმისტები წარმოადგენდნენ, ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო პირველი პრეზიდენტის მიერ გაკეთებული გააზრებული არჩევანი.

ნაშრომის მიზანი არ არის იმის მტკიცება, ჰქონდა თუ არა გამსახურდიას ხელისუფლებას ჩამოყალიბებული კონკრეტული პროპაგანდისტული სტრატეგია. ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ ის, თუ რა ტიპის

გავლენა ჰქონდა ხელისუფლების პროპაგანდისტულ ნაბიჯებს საზოგადოებაზე. ასევე გავაანალიზოთ ის, თუ რამდენად მართებულად იყენებდა გამსახურდია პროპაგანდის კლასიკურ ფორმებს და მეთოდებს და რა შეცდომები იყო დაშვებული გამოუცდელ იდეოლოგთა მიერ. ეროვნული ხელისუფლების რიტორიკისა და ქმედებების გაანალიზებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ,საზოგადოებრივ-პოლიტიკური მანიპულირების რომელი ტექნოლოგიების გამოყენებას ცდილობდა გამსახურდიას ხელისუფლება; პროპაგანდის რა მეთოდები იქნა გამოყენებული მიზნის მისაღწევად და რა გავლენა მოახდინა მან ქართულ საზოგადოებაზე. “პრობლემის შექმნა”, “დემონიზაცია”, “ისტორიის გადაწერა”, “ხელოვნურად შექმნილი საშიშროებები”, “კლასიფიკატორი”, “გამეორება” და “ინფორმაციული ბლოკადა” – ეს ის ძირითადი მეთოდებია რომელთა ამოქმედებასაც ახალი ხელისუფლება ცდილობდა.“მრგვალი მაგიდის” ლიდერის ერთ-ერთი პირველი ამოცანა პროპაგანდის მანქანაზე სრული კონტროლის დამყარება იყო.ზვიად გამსახურდია იმ დროს - ერთადერთი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ტელემაუწყებლის ჟურნალისტებისა და თანამშრომლების “განწყობის” შესახებ - ინფორმაციას სრულად ფლობდა და მას აფასებდა როგორც “ანტისახელმწიფოებრივს”, ამიტომ, მისი გადაწყვეტილებით, ტელე-რადიოდეპარტამენტის თავმჯდომარედ მისი ერთგული, თუმცა ტელესივრცისთვის აბსოლუტურად უცნობი პიროვნება - თეიმურაზ კვანტალიანი დაინიშნა. ზ. გამსახურდიას სწორედ ამ გადაწყვეტილებით გაჩნდა პირველი ბზარი ქართველ ჟურნალისტებს შორის და მეტად გაღრმავდაჟურნალისტთადაპირისპირება ახალი ხელისუფლების მიმართ.თ. კვანტალიანმა თავის პირველ განცხადებაში (ოფიციალურად დანიშვნამდე) აღნიშნა, რომ ტელევიზია არის გართობის საშუალება.დეპარტამენტის თავმჯდომარემ “ინფორმაციული ბლოკადის” და “ყურადღების გადატანის” ხერხების ამუშავება გადაწყვიტა. კვანტალიანმა დახურა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და ძირითადი აქცენტი გასართობ გადაცემებზე გააკეთა, გაამკაცრა კონტროლი საინფორმაციო სამსახურზე, რამაც ჟურნალისტთა ერთი ნაწილის პროტესტი გამოიწვია, სხვანი კი თვლიდნენ, რომ ამგვარი ქმედებით საქართველოს სახელმწიფოებრიობა

მეტად განმტკიცდებოდა. საინფორმაციო პროგრამის დიქტორი დავით სოკოლოვი წლების შემდეგაცმიიჩნევს, რომ ცენზურა იმ პერიოდში აუცილებლად უნდა ყოფილიყო, რადგან სასწორზე სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა იდო. ჟურნალისტთა უკმაყოფილოება, რომლებიც ახალ რეალობასთან ერთად სიტყვის თავისუფლებას ელოდნენ, თანდათან იზრდებოდა, თუმცა ხელისუფლება საზოგადოებით მანიპულირების ბერკეტის დათმობას არ აპირებდა.გადაცემების დახურვისა და "ურჩ" თანამშრომელთა დათხოვნის შემდეგ სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. მოსალოდნელი ბუნტის თავიდან ასაცილებლად 1990წლის 25 დეკემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, ტელე-რადიოდეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვედროდა.ზ. გამსახურდია ტელევიზიაში თავად მივიდა (შეხვედრა პირდაპირი ეთერის რეჟიმით არ გადაიცემოდა, თუმცა სსმ-ის არქივში არსებობს შეხვედრის ვიდეოჩანაწერის არასრული ვარიანტი). შეხვედრა ემოციურად დატვირთული, თუმცა კონსტრუქციული იყო. გამსახურდია ცდილობდა, დეპარტამენტის თანამშრომელთა უკმაყოფილება მისი პირადი ავტორიტეტის ხარჯზე გაენეიტრალებინა.*"...რაც თქვენ იმ კაცში არ მოგწონთ, მე ვიღებ ჩემს თავზე.გეკითხებით: მენდობით მე - თუ არ მენდობით?.. დამიჯერეთ, დამიჯერეთ ცოტა უხეშია, ცოტა შეიძლება ზრდილობაც ღალატობს, მე ყველაფერს ამას მოვხსნი. იქნება, როგორც აბრეშუმი, რა გინდათ მეტი. არ გჯერათ? არ გჯერათ და გააგდეთ. რა გინდათ თქვენს ხელში არ არის? არ მოგეწონებათ – გააგდეთდა მორჩა. რა პრინციპია ეს? ამის გულისთვის ახლა ჩვენ უნდა წავიჩხუბოთ? ამის გულისთვის? კვანტალიანი არ იქნება თქვენი უშუალო უფროსი, არ იქნება! თქვენ გექნებათ უაშუალოდ წულეისკირთან საქმე.ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენა? ასჯერ ზღო უკვე, კიდევ ბევრს ზღავს. ვინმეს რაიმეს უხეშად ეტყვის, 10-ჯერ მეტს მიიღებს. რა გინდათ მეტი? დამიჯერეთ, ის ნანობს, მიხვდა შეცდომებს. მე მას საკმაოდ კარგად ვესაუბრე და მგონია, ყველაფერი კარგად იქნება..."*[8]უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს "სიტყვის თავისუფლების" შესახებ არ უსაუბრია. შეხვედრა დეპარტამენტის თავმჯდომარისა და ტელემაუწყებლობის თანამშრომელთა პირადი ურთიერთობის გარკვევას

[8]სსმ-ის არქივი 1991წ.

დაეთმო,კვანტალიანის დასაცავად გამსახურდიას მხოლოდ ერთი არგუმენტი ჰქონდა – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კვანტალიანი არის ძლიერი კაცი, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიაში არ შემოუშვებს იმ ძალებს, რომლებიცპირადად გამსახურდიას და ასევე - ქვეყნის მტრები არიან. ტელევიზიის მუშაკებთან საუბრის სტრატეგია "ცრუ ანალოგიებზე" იყო აგებული. არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შეხვედრას, არამედ გამსახურდიას თითქმის ყველა საჯარო გამოსვლას ერთგვარ მოტივად მიჰყვებოდა ის, რომ მისი გზა არის ჭეშმარიტი (ისე, როგორც იესო ქრისტესი), ხოლო დანარჩენი ყველა ვარიანტი არის ცრუ (ე.წ. ბარაბას გზა). ასეთი ტიპის ლოგიკურ ჯაჭვს (სხვადასხვა ვარიაციებით) არგებდა გამსახურდია თითქმის ყველა სიტუაციას და სწორედ ასეთივეხისტი, ერთგვარად სწორხაზოვანი, პროპაგანდის გატარება სურდა მას სახელმწიფო ტელევიზიის საშუალებით. გამსახურდია ასევე ცდილობდა, მედიის საშუალებით ე.წ. "კლასიფიკატორის" ეფექტი აქტიურად აემუშავებინა, რათა ის ადამიანები, რომლებსაც თვითონ მტრად მიიჩნევდა, მოსახლეობის გონებაში ავტომატურად აღქმულიყვნენ ქვეყნის მოღალატეებად. ამ მეთოდების ამუშავებას კი ერთგული და, რაც მთავარია, პროფესიონალებით დაკომპლექტებული მედიასაშუალება სჭირდება. საქართველოს ახალი ხელისუფლების ლიდერის უპირატესობა მდგომარეობდა იმაში, რომ იმ პერიოდში მხოლოდ ერთი ტელემაუწყებლობა არსებობდა, შესაბამისად, სახელმწიფო ტელევიზიის კონტროლიპრობლემას არ წარმოადგენდა. გამსახურდიას ასევე ჰყავდა ერთგული ადამიანებიც, თ. კვანტალიანის მსგავსად, თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა პროფესიონალიზმი და ერთმანეთს დაპირისპირებული ჟურნალისტები იყვნენ. ტელე-რადიოდეპარტამენტში შეხვედრის შემდეგ, სადაც ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებმა უხვად მიიღეს დაპირებები, მღელვარება ჩაცხრა, თუმცა გამსახურდიამ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ სიმშვიდე დროებითი იყო. უზენაესი საბჭოს თ-რემ თ. კვანტალიანის ნაცვლად დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე ახალი კანდიდატურის ძებნა დაიწყო (რასაც გამსახურდიას მთავრობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი თემურ ქორიძე არაერთ ტელე- თუ საგაზეთო ინტერვიუში ადასტურებს), თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ მან არჩევანი ერთგულებაზე

გააკეთა. დაპირებების ხიბლი იმედგაცრუებაში მალევე გადაიზარდა და ჟურნალისტთა ნაწილი ახალ მთავრობას უკვე ღიად დაუპირისპირდა. ცნობილი ტელესახეები ოპოზიციის მიტინგებზე გამოჩნდნენ, პარალელურად კი ტელევიზიაში პროფესიონალი კადრების ერთგული კადრებით ჩანაცვლება მიმდინარეობდა და ცენზურა იზრდებოდა.შიდა დაპირისპირების პროცესი დეპარტამენტის შენობის კედლებს გასცდა. დეტალების შესახებ (რაც შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში, "ემოციური რეზონანსის" გამოწვევის მიზნით გადაჭარბებულიცკი ყოფილიყო) ცნობილი ჟურნალისტები საჯაროდ საუბრობდნენ. *"დღეს მე თვითონ გავხდი მომსწრე იმ ინციდენტისა, თუ როგორ იწერებოდა პროგრამა "მოამბე" (მთავარი საინფორმაციო გამოშვება). "მოამბის" მთავარი რეჟისორი, რომელიც არის ვინმე ჯაფარიძე, ეუბნება მორიგე რედაქტორს, რომ შემოსულია წერილები, რაც უნდა გადაიცეს; ბატონი ქოქიაშვილი ეუბნება, რომ მე ამას არ გადავცემ. ის ეუბნება - უნდა! ეს ეუბნება - არა, მე ვარ რედაქტორი, შენ რეჟისორი, რა უფლებით მაძლევ მითითებებს!.."*[9]. – ასეთი ტიპის განხადებებით გამოდიოდნენ 90-იანებში ცნობილი ტელესახეები, რომლებიც დიდი რაოდენობის მაყურებელთა ნდობით სარგებლობდნენ. ამ მცირე განცხადებაში მკაფიოდ ჩანს რამდენიმე გზავნილი: 1. საინფორმაციო პროგრამის რეჟისორად ახალმა ხელისუფლებამ დანიშნა ისეთი ადამიანი, რომელსაც ცნობილი ტელეჟურნალისტი (რომელიც წლებია მუშაობს ტელევიზიაში) არცკი იცნობს - ანუ "ვინმე ჯაფარიძე" არაკომპეტენტურია და მისი მისია არა რეჟისურა, არამედ სხვა რამაა. 2. არაპროფესიონალი ადამიანი, რომელიც რეჟისორის თანამდებობას იკავებს, როგორც ჩანს, ცენზორია, რადგან თავს უფლებას აძლევს, რედაქტორს უკარნახოს, რა უნდა გავიდეს ეთერში და რა - არა. 3. ჟურნალისტთათვის უცნობი პირი დაჟინებით ლობირებს "წერილების" ეთერში გაშვებას, რაც, სავარაუდოდ, მთავრობის ინტერესს წარმოადგენს. ამ ტიპის გზავნილებზე მთავრობა და მისი მომხრე ჟურნალისტები არ რეაგირებდნენ და განაგრძობდნენ "ინფორმაციული ბლოკადის" და "ყურადღების გადატანის" მეთოდებით ბრძოლას.საქართველოსთვის ერთგვარად გარდამტეხი ეტაპი გახდა 1991წლის 2სექტემბერი, როდესაც თბილისში,

[9]ვალერი კვარაცხელია მიტინგზე (უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო). 1991წ. სსმ-ის არქივი.

რუსთაველის გამზირზე, კინოს სახლთან, ოპოზიციის, კონკრეტულად კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო მიტინგის მონაწილეები მილიციამ დაარბია. იყო სროლაც, იყვნენ დაჭრილები. ამ "ინციდენტის შემდეგ", რამდენიმე საათში, იმავე საღამოს - ზ. გამსახურდიამ სახელმწიფო ტელევიზიით მოსახლეობას მიმართა. მისი მიმართვა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელისუფლებას "ინფორმაციული ბლოკადის" და "ყურადღების გადატანის" ტაქტიკა ჰქონდა არჩეული. *"...რეზო ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა, ნოდარ ნათაძე დღეს ვითარების დესტაბილიზაციას შეეცადნენ. მათ ქალაქის ცენტრში გადაკეტეს მოძრაობა, რაც არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში დაშვებული არ არის. ჩვენ ამ ხერხს მივმართავდით კომუნისტურ ეპოქაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანას მართავდა მტრული ძალა და მათ წინააღმდეგ ყველა ხერხს მივმართავდით, თუმცა დღეს ასე მოქცევა ხალხის მიერ არჩეული კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ სრულიად დაუშვებელია. მილიციამ მათ მოქმედების საშუალება არ მისცა და ისინი თავს დაესხნენ მათ (მილიციას). დაზარალდა რამდენიმე მოქალაქე, მაგრამ გამოძიება დაადგენს, ვინ რისგან დაზარალდა. მილიციელთა ჯავშანჟილეტები ტყვიით იყო დახვრეტილი. ეს ექსცესები მიზნად ისახავს საქართველოს დიპლომატიური აღიარების შეფერხებას მთელ მსოფლიოში და, რათქმაუნდა, ეს ყოველივე ინსპირირებულია კრემლისა და მისი აგენტურის მიერ. ამიტომ მოგიწოდებთ, საკადრისი პასუხი გავცეთ მოღალატეებს".*[10]გამსახურდიას მიმართვის შემდეგ სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში აჩვენეს კადრები, სადაც ნათლად ჩანდა, თუ როგორ იყო ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანებული მილიციელთა დაჯავშნული ჟილეტები, ასევე საზოგადოებას აჩვენეს ნაცემი სამართალდამცველები. დიქტორი კი აცხადებდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით გასროლა მომიტინგეთა მხრიდან მილიციის მისამართით განხორციელდა, და რომ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს ძიება. ამავდროულად საინფორმაციო მიტინგზე მისული მოსახლეობა (ისე, როგორც იქ მყოფი ჟურნალისტები და ოპერატორები) ირწმუნებოდნენ, რომ ცეცხლი მომიტინგეთა დასაშლელად მილიციამ გახსნა, დემონსტრანტების მხრიდან კი არცერთი

[10]ზ. გამსახურდიას ტელემიმართვა 1991წ. 2 სექტემბერი. სსმ-ის არქივი.

გასროლა არ ყოფილა. *“სადამოს, როდესაც ტელევიზიით გადაიცემოდა კადრები, ეს იყო ტყუილი, დადგმული, არავის უსვრია მილიციელებისთვის. ეს ყველამ კარგად იცოდა – მაგალითად, ტელევიზიის ოპერატორებმა...”*[11].ეს მოსაზრება 1991წელს სახელმწიფო ტელევიზიას არ გადაუცია. ამას გარდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ტელევიზიით გადაეცა ე.წ. ქვეყნის მოღალატეთა სიები. სავარაუდოა, რომ ეს ნაბიჯი“ყურადღების გადატანის” მიზნით ხორციელდებოდა. სწორედასეთი ვითარება, ამ ტიპის ხისტი პროპაგანდა გახდა შეუქცევადი პროცესების მაპროვოცირებელი.ჟურნალისტთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეთერზეხელი აღარმუწვდებოდა, ოპოზიციური აზრისთვის ალტერნატიული საათის გამოყოფა, ე.წ. სამშობლოს მოღალატეების სიების ტელევიზიით გადაცემის აკრძალვა და ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლის მოთხოვნით 1991წლის 12 სექტემბერს სახელმწიფო ტელევიზიის კიბეზე საპროტესტო აქცია დაიწყო. პირველ დღეს მიტინგზე სიტყვით ცნობილი ტელესახეები გამოდიოდნენ. ჟურნალისტები ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ ისინი საკუთარი ღირსებისა და სიტყვის თავისუფლების დასაცავად გამოვიდნენ ქუჩაში. კიბეზე მსხდომი ჟურნალისტები, როგორც თავად აცხადებდნენ, სიტყვის თავისუფლებისთვის, ხოლო სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში დარჩენილნი კი - საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ; რაც ერთგვარი შედეგი იყო მთავარი კითხვისა - ჯერ დემოკრატია თუ - ჯერ დამოუკიდებლობა? ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის ამსახველი არა ტელევიზიის ეთერი, არამედ შენობამდე მისასვლელი ცენტრალური კიბეები გახდა. აქციის მეორე დღეს კი ტელევიზიის კიბეები ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა ტრიბუნად გადაიქცა. შედეგად - აქციის მონაწილე ჟურნალისტთა აზრი გაიყო. სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლ ჟურნალისტთა მცირე ნაწილი პოლიტიკურ თამაშს აერიდა და აქციაზე აღარ გამოჩენილა. ოპოზიციის ლიდერებმა კი უკვე სხვა მოთხოვნა – პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება - წამოაყენეს. მათვე სახელმწიფო ტელევიზიის შენობის ბლოკირება განახორციელეს. ხელისუფლების მომხრე ჟურნალისტებს მუშაობის საშუალება აღარ ჰქონდათ.

[11]მ. არეშიძე, ინტერვიუ, დოკუმენტური ფილმისთვის “მაღლა დაღმავალი კიბით”. სსმ-ის არქივი.

მათ ტელეაპარატურის ნაწილი უზენაესი საბჭოს შენობაში გადაიტანეს, სადაც "მინი" სტუდია მოაწყვეს და ტელევიზიის შენობა დატოვეს. შენობაში დარჩენილი აპარატურის მეშვეობით კი გაფიცულმა ჟურნალისტებმა ე.წ. "კიბის ტელევიზია" შექმნეს. ალტერნატიული ტელევიზიის სიგნალის მიღება მხოლოდ რამდენიმე უბნის – საბურთალოს, ვერისა და ვაკის ნაწილზე, ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო შესაძლებელი. ტელევიზიის კიბეებთან გამოტანილი იყო ორი ტელევიზორი, სადაც ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტები გადაიცემოდა. ხელისუფლების მიერ უნებლიედ თუ შეგნებულად აწყობილი პროპაგანდის "ინფორმაციული ბლოკადისა" და "ყურადღების გადატანის" ჯაჭვი ნაწილობრივ გაირღვა. ერთი შეხედვით, ტელევიზიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვლენები ქაოსურად და იმპულსურად მიმდინარეობდა, თუმცა მოვლენათა ქრონოლოგიის გაანალიზებისას ჩვენდავინახავთ ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდის საკმაოდ კარგად გამართულ ხაზს, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სახელით ხორციელდებოდა. ცხადია, რომ ოპოზიციის მიზანი ქუჩაში გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ მაქსიმალურად დიდი რაოდენობით ხალხის გამოყვანა იყო. საზოგადოებაში უკმაყოფილებისა და მღელვარების მატება, დაგროვილი ნეგატიური ენერგიის საპროტესტო აქციებზე გადატანა შესაძლებელია ბუნებრივადაც მოხდეს, მითუფრო მაშინ, როდესაც ხელისუფლება ძირითად პროპაგანდისტულ სტრატეგიად "ინფორმაციული ბლოკადისა" და "ყურადღების გადატანის" მეთოდებს ირჩევს, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებადაგეგმილი სტრატეგიის გარეშე განწირულია მარცხისთვის.

სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტთა დიდი ნაწილი თავდაპირველად ტელევიზიის ეზოში 8, შემდეგ კი 10 სექტემბერს (1991) შეიკრიბნენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში არსებობს ამ მოვლენების ამსახველი დოკუმენტური მასალა. ჟურნალისტები განიხილავენ გაფიცვის შესაძლო ფორმებს.12 სექტემბერს კი კვლავ იკრიბებიან და ტელევიზიის ცენტრალურ კიბეებზე საპროტესტო აქციის დაწყების გადაწყვეტილებას იღებენ.დოკუმენტურ კადრებში ასახულია, რომ საპროტესტო აქციას ორგანიზებას ჟურნალისტები:

მამუკა არეშიძე, ვალერი კვარაცხელია, თამარ ცაგარეიშვილი, მოამბის მთავარი რედაქტორი გელა ქოქიაშვილი - ცდილობენ. გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ვალერი კვარაცხელიაა, რომელიც თითქმის ერთ თვეში, 17 ოქტომბერს - პოლიტიკური გაერთიანება "დემოკრატიული პარტიის" კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ასევე აღსანიშნავია, რომ სწორედ ვალერი კვარაცხელია იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც 18 ოქტომბერს (1991) ედუარდ შევარდნაძეს (საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს) საქართველოში ჩამოსვლა და ხელისუფლების სადავეების აღება საჯაროდ სთხოვა. 12 სექტემბერი, 1991, 15:17სთ. ჟურნალისტთა დიდი ნაწილი ტელევიზიის კიბეებს იკავებს. სახელმწიფო ტელევიზია და რადიო არსებულ რეალობას კვლავ იგნორირებას უკეთებს და საინფორმაციო ვაკუუმის პოლიტიკას აგრძელებს, თუმცა გაფიცულებთან გამოდის რეჟისორი მანანა იმედაძე, რომელმაც ტელევიზიაში დარჩენილი ჟურნალისტების სახელით მოკლე განცხადება გააკეთა: *"...აქ არ არის მთელი ტელევიზია, ჟურნალისტთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება აქ მყოფთა აზრს".*[12]13 სექტემბერი, ჟურნალისტებს 8 პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები შეუერთდნენ, შეიცვალა როგორც რეალობა, ისე მოთხოვნებიც. სიტყვის თავისუფლება საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებით იცვლება. ჟურნალისტებთან მოსალაპარაკებლად აქციაზე ზ. გამსახურდიას გუნდის წევრი თ. ქორიძე მივიდა. მოლაპარაკება კონკრეტული შედეგით არ დასრულებულა, თუმცა ჟურნალისტების შეხვედრა ასევე შედგა პრემიერ-მინისტრ ბ. გუგუშვილთან. მან გაფიცულებს შესთავაზა, შეექმნათ ალტერნატიული ტელევიზია და გამოეყენებინათ სახელმწიფო ტელევიზიის ტექნიკის ნაწილი. აუდიენციიდან გამოსული ჟურნალისტები გამარჯვებით ნასიამოვნები იყვნენ, თუმცა მეორე დღეს შეთავაზება აღარც განიხილეს, უბრალოდ განაცხადეს, რომ მათთვის პირობები კატეგორიულად მიუღებელი იყო. აქციას 22 სექტემბერს თ. კიტოვანი (გვარდიის ყოფილი სარდალი. 23 აგვისტოს (1991) კიტოვანი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ეროვნული გვარდიის – შინაგანი ჯარების სარდლის

[12]მ. იმედაძის განცხადება აქციაზე. სსმ-ის არქივი 1991წ.

თანამდებობიდან გათავისუფლდა) და მისი მხარდამჭერი - ყოფილი ეროვნული გვარდიის წევრთა ნაწილი შეუერთდა. ტელევიზიის შენობა იარაღის საწყობად იქცა, ქუჩაში კი ჯავშანტექნიკა იდგა. კიტოვანი, რომელიც იმ პერიოდისთვის უკვე უკანონო შეიარაღებული ფორმირების ლიდერად ითვლებოდა, ხელისუფლების მხრიდან თავდასხმას ელოდა. ამის პარალელურად პრეზიდენტისა და ხელისუფლების დასაცავად უწყვეტი, მასშტაბური აქცია მიმდინარეობდა რუსთაველზე, უზენაესი საბჭოს შენობასთან. მოსახლეობა ზ. გამსახურდიას გასამხნევებლად დედაქალაქში რეგიონებიდან ჩამოვიდა. სახელმწიფო ტელევიზია მოძრავი სადგურის მეშვეობით უზენაესი საბჭოდან ტრანსლირებას განაგრძობდა. ხელისუფლებამ "ინფორმაციული ბლოკადის" ტაქტიკა გააღრმავა. 1991წლის ოქტომბერში, გამსახურდიას ბრძანებით, საქართველოს ტერიტორიაზე შეწყდა საკავშირო (რუსული) ტელევიზიის მაუწყებლობა, რადგან იგი აშკარად ოპოზიციას უწყობდა ხელს. შესაბამისად, ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია და რადიო დარჩა, საიდანაც გამუდმებით ისმოდა მოწოდებები, შეკრებილიყვნენ უზენაესი საბჭოს შენობასთან და დაეცვათ ეროვნული ხელისუფლება. მავდროულად - ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტები სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში სტუდიას ამზადებდნენ, საიდანაც თენგიზ სიგუას (ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თანამდებობიდან გადადგა 1991, 19 აგვისტოს, შეუერთდა ოპოზიციას) მოსახლეობისთვის უნდა მიემართა, თუმცა მისი მიმართვის ტრანსლირება მხოლოდ ე.წ. კიბის ტელევიზიით მოხდა. სატელევიზიო სიგნალის გავრცელება ვერ, ან არ ხერხდებოდა. ფაქტობრივი მტკიცებულება იმისა, რომ ოპოზიცია გეგმაზომიერად მიმართავდა პროპაგანდის კონკრეტულ ხერხს, არ არსებობს, თუმცა ფაქტია, რომ სწორედ ამ გარემოებამ მოახდინა მოსახლეობის დიდი ნაწილის კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე, სადაც სიტყვის თავისუფლების მოთხოვნით დაწყებული აქცია ოპოზიციის ფრონტის ხაზად იქცა. ხელისუფლება კიტოვანს და მის დაქვემდებარებაში მყოფ გვარდიელებს კატეგორიულად სთხოვდა, დაეტოვებინა სახელმწიფო ტელევიზიის შენობა, ჯავშანტექნიკა და იარაღი ჩაებარებინა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის. უკანონო შეაიარაღებული ფორმირების

ლიდერი ულტიმატუმის შესრულებას არ აპირებდა, თუმცა 3 ოქტომბერს შენობიდან გასვლას მათ ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტები სთხოვენ. თხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.*"ჩვენ გავდივართ, თუმცა ისევ ვიტრიალებთ ქალაქში.ჩვენ გავდივართ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად; ვიქნებით ძალიან ახლოს.თუ მოხდა დარბევა (ტელევიზიის წინ მიმდინარე აქციის), ჩვენ მოვალთ და არა აქ, არამედ მთავრობის სასახლესთან, ზვიად გამსახურდიასთან".*[13]კიტვოვანის ამ განცხადების შემდეგ გამსახურდია საკუთარ მომხრეთა მიტინგზე აცხადებს, რომ იარაღი უძლურია და ისინიც, ოპოზიციურად განწყობილი მოწინააღმდეგე მხარე, მათთან ერთად გაიმარჯვებენ, თუმცა უკვე მეორე დღეს, სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას, პრეზიდენტი ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებს სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს დაპუჩისტებს უწოდებს. ბარიკადის სხვადასხვა მხარეს მყოფთა შორისდაპირისპირებამ პიკს 22 დეკემბერს მიაღწია. დაიწყო 15-დღიანი "თბილისის ომი". ხელისუფლება დაემხო, პრეზიდენტმა ქვეყანა 1992წლის 6 იანვარს დატოვა.

ჩვენი კვლევის საგანი არა შეიარაღებული (ან თუნდაც პოლიტიკური) დაპირისპირების, არამედ ე.წ. პროპაგანდისტული ომის გაანალიზებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნაბიჯებიდან გამომდინარე, იკვეთებაპროპაგანდის რამდენიმე მეთოდი. ესენია: "პრობლემის შექმნა", "დემონიზაცია", "ისტორიის გადაწერა", "ხელოვნურად შექმნილი საშიშროებები", "კლასიფიკატორი", "გამეორება" და "ინფორმაციული ბლოკადა". აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ იმიტირებული პროპაგანდისტული ხაზი.

მოსახლეობისთვის მთავარი საფიქრალი და პრობლემა უნდა გამხდარიყო არა სოციალური საკითხები, არა დისკუსია დემოკრატიული საზოგადოების შენების შესახებ, არამედ რუსეთი, მის მიერ ჩანერგილი აგენტურა და დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე.საკითხების მთავარ პრიორიტეტად ქცევაკი ინფორმაციის მიზანმიმართულად გადარჩევითა და ამა თუ იმ მოვლენისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭებით ხერხდებოდა.უნდა დანერგილიყო

13 თ.კიტოვანი, განცხადება ტელევიზიის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე. 1991წ. 3 ოქტომბერი.სსმ-ის არქივი.

შიში, რუსეთის მხრიდან საქართველოში დესტაბილიზაციის მცდელობის, მოსალოდნელი ანექსიის, სხვადასხვა ტიპის პროვოკაციების მოწყობის მიმართ. შიშის მხოლოდ დანერგვა არ არის საკმარისი, ის უნდა იყოს მართული კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შიშის გამძაფრება, გამწვავება; ზოგ შემთხვევაში კი – პირიქით, მინელება და ილუზორული პატარ-პატარა გამარჯვებების ზეიმიც კი (ამის დასტურია გამსახურდიას და მისი გუნდის წევრების მიერსხვადასხვა დროს გაკეთებული საჯარო განცხადებები რუსეთის მხრიდან რეალური საშიშროების მოახლოების შესახებ, ისე როგორც განცხადებები იმის თაობაზე, რომ იმპერია უძლურია და მან უკან დაიხია). ე.წ. შიშის მართვა კი არამხოლოდ მოსახლეობაზე ემოციური ზემოქმედების საშუალება, არამედ საზოგადოების მართვის, მისი კონტროლის ტოლფასიცაა. ასევე გამუდმებული პროპაგანდის წყალობით უნდა დაიწყოს რუსეთის და მასთან ასოცირებული ჯგუფების ე.წ. დემონიზაცია. საზოგადოების უმრავლესობას უნდა შეეცვალოს შეხედულება ამა თუ იმ მოვლენისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ. უნდა დაინგრეს ძველი და ჩამოყალიბდეს ახალისტერეოტიპები, მაგალითად, როგორიცაა "წითელი ინტელიგენცია" "დამსახურებული მოღვაწეების" ნაცვლად. აქვე უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა, გამოირეცხოს მეხსიერება და მოსახლეობას ჩამოუყალიბდეს რეალური, "საჭირო" მსოფლმხედველობა, რისთვისაც საჭიროა დაიწყოს ისტორიის გადაწერა.მოსახლეობისთვის განკუთვნილი გზავნილები მარტივად უნდა აღიქმებოდეს და არ უნდა იყოს მრავალფეროვანი, რათა "გამეორებამ" ეფექტურად იმუშაოს. ასახული მიზნების განსახორციელებლად კი საჭიროა ალტერნატიული მოსაზრებების "დაბლოკვა" და მოვლენების ცალმხრივად გაშუქება. ეროვნული ხელისუფლების მიერ მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე, ჩვენ შევადგინეთ მიახლოებული, მოდელირებული პროპაგანდისტული სქემა:



არსებობდა საფრთხე და მტერი, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში, გადაჭარბებული, თუმცა რეალური. არსებობდა უდიდესი სურვილი და მიზანი, ქვეყანას მოეპოვებინა სრული დამოუკიდებლობა, ამას დამატებული - 90-იანი წლების მოცემულობა, რაც ქვეყანაში არსებული რესურსების უდიდესი ნაწილის, მათ შორის - სამაუწყებლო მედიის, სახელმწიფო საკუთრებას გულისხმობს (მსხვილი და საშუალო ბიზნესი არ არსებობდა), ზ. გამსახურდიას უდიდესი რეიტინგი და დამოუკიდებლობას მოწყურებული სზოგადოება. ყოველივეს გათვალისწინებით, ასეთი ტიპის სქემას მარტივად უნდა ემუშავა, თუმცა გეგმამ მხოლოდ ნაწილობრივ იმოქმედა, რამაც სბოლოო ჯამში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვია. ზემოთ მოყვანილი მოვლენების გაანალიზების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ის, თუ რატომ წააგო საქართველოს მოსახლეობის 87%-ის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა პროპაგანდისტული ომი. თეორიულად გამსახურდიას ყველა საშუალება ჰქონდა, განეხორციელებინა ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები.პირველი გეგმა, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა დასახული – ჩაეჭრა კავშირები საბჭოთა (რუსულ) მენტალობასთან, მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. მართალია, ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა კანონიერი ბერკეტი, გაეკონტროლებინა მედია (რადგან იგი სახელმწიფოს საკუთრება იყო), რასაც ახორციელებდა კიდეც, მაგრამ მან დაუშვა მთავარი შეცდომა – არ გათიშა რუსული ტელეარხების მაუწყებლობა, თუმცა მოგვიანებით გამსახურდია მიხვდა, რომ ეს მის წინააღმდეგ მომქმედ მძლავრ ბერკეტსწარმოადგენდა და შეცდომის გამოსწორება სცადა, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იყო. ყოფილი საკავშირო ტელევიზია საქართველოში განვითარებულ მოვლენებს უდიდეს მნიშვნელობას

არ ანიჭებდა. არც ეროვნული ხელისუფლების საწინააღმდეგო პირდაპირი მოწოდებები ისმოდა. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ არ დადგა დღის წესრიგში რუსული ტელემაუწყებლობის გათიშვის საკითხი. სწორედ აქ იკვეთება გამსახურდიას ხელისუფლების იდეოლოგთა არაპროფესიონალიზმი. მაშინ, როდესაც, აღებული კურსის მიხედვით ცდილობ შექმნა საშიშროება, გადაწერო ისტორია, განახორციელო მტრის და მასთან ასოცირებილი ადამიანთა ჯგუფების დემონიზაცია, დაუშვებელია პარალელურად მოსახლეობა უყურებდეს "მტრის" ტელეკომპანიას, არა იმიტომ, რომ მათზე ეთერის საშუალებით ხორციელდება პროპაგანდისტული ზეწოლა, არამედ იმიტომ, რომ სწორედიმ ტელეკომპანიის საინფორმაციოს წამყვანები არიან მოსახლეობისთვის ავტოტიტეტები, იმ არხის სხვადასხვა პროგრამის წამყვანები არიან მისაბაძი, სწორედ შენი "მტრის" ღირებულებები, ფასეულობები არის ახლობელი შენივე მოსახლეობისთვის. სწორედ რუსული არხის მიერ მიწოდებული კულტურა და განსაკუთრებით პოპკულტურა ხდება პოპულარული, ჩნდება მათი ავტორიტეტებისადმი სიყვარული და თანაგანცდა. ასეთიმოცემულობის დროს კი წარმოუდგენელია, სრულყოფილად გაატარო ის კურსი, რომელიც აიღო ეროვნულმა ხელისუფლებამ. მიღებული შედეგიც ამის დასტურია. გამსახურდიას უმეტესად მომხრეები ჰყავდა რეგიონებში, სადაც რუსულ ტელევიზიას არ უყურებდნენ, დედაქალაქში, კი სადაც "საკავშირო ტელევიზიის" ყურებადობა მაღალი იყო, სადაც რუსული სამაუწყებლო მედია აღიქმებოდა, როგორც ცივილიზებულ სამყაროსთან ერთადერთი კავშირი, პირველი პრეზიდენტი მხარდამჭერებს კარგავდა. შედეგად - რუსული მედია პრაქტიკულად უბრძოლველად, ზედმეტი პროპაგანდისტული სქემების შექმნის გარეშე, იგებდა მედიაომს, თან ისე, რომ - ფაქტობრივად - შეუძლებელია იმ პერიოდის რუსეთის პირველი არხის დადანაშაულება მიკერძოებულობაში. გარდა ამისა, როდესაც ასეთი ტიპის მასშტაბურ ცვლილებებზე, ფაქტობრივად, მენტალური რევოლუციის განხორციელება აქვს პროპაგანდისტს მიზნად დასახული, ის ვიწრო საინფორმაციო ჩარჩოს აუცილებლად უნდა გასცდეს. ამ მეთოდების განსახორციელებლად აუცილებელია, ჩართული იყოს კინოპროდუქციაც. მცირე პერიოდში ამის მოხერხება რთულია, თუმცა "ისტორიის გადაწერა" მოკლე

პერიოდში ვერ მოხერხდება. ამას გარდა, თუკი მხატვრულ ფილმებზე რესურსი და დრო არ არის საკმარისი, შესაძლოა გაკეთდეს სატელევიზიო, დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული ფილმები, რაც ამგვარი სტრატეგიის წარმოებისას აუცილებელია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეჟუსორებთან და სცენარისტებთან, ვისაც შეეძლო ღირებული პროდუქციის შექმნა, გამსახურდიამ სრულიად გააზრებულადგაწყვიტა კონტაქტი და გარიყა ისინი. ის ხაზი, რომელიც არჩეული ჰქონდა ხელისუფლებას, ასევე გამყარებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ტელევიზიის პროგრამირების მკაცრი კურსით. აღსანიშნავია, რომ საქ. თელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარე ცდილობდა - ერთგვარად ეროვნული თვითშეგნების ამაღლების მიზნით ხშირად გაეშვა ქართული ფილმები, თუმცა მათი შერჩევა და ბადეში განთავსება სტიქიურად ხდებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ-ნი კვანტალიანი არა პროფესიონალიზმის, არამედ ერთგულების ნიშნით დაინიშნა კომიტეტის თავმჯდომარედ, რაც აპრიორში შეცდომა იყო, თუმცა, როგორც ჩანს, გამსახურდიას მისი ალტერნატივა არ ჰყავდა. არსებული სიტუაციის გამო, ე.წ. დემონიზაციის პროპაგანდისტული პროცესი კომიკურ ხასიათს იძენდა, რადგან მექანიკური პროდუქციის უმრავლესობა (მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, ტელესპექტაკლები და ა.შ.) იმ ხელოვანების მიერ იყო შექმნილი და ამ ფილმებში მონაწილეობას ის მსახიობები იღებდნენ, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელებულიყო "დემონიზაციის" მეთოდი. ერთიმხრივ, ზვიად გამსახურდია ხელოვანების უმრავლესობას წითელ ინტელიგენციას უწოდებდა და ბევრ მათგანს ბრალს სდებდა საბჭოთა უშიშროების კომიტეტთან თანამშრომლობაში, მეორე მხრივ კი - სწორედ მათ მიერ ნაწარმოებ პროდუქტს იყენებდა მისივე ტელევიზია ქართული, ეროვნული სულისკვეთების ასამაღლებლად. "ისტორიისგადაწერის" მეთოდი ასევე არათანმიმდევრულად შერჩევითობის პრინციპის მიხედვით ხორციელდებოდა. პირველმა პრეზიდენტმა დამოუკიდებელი საქართველოსთვის არასასურველი პირების, ავტორიტეტების ლუსტრაცია დაიწყო, თუმცა აქაც დაშვებული იყო სერიოზული შეცდომა. შეცდომა არა ლუსტრაციის გზით ისტორიის გადაწერა, არამედ ის სუბიექტური მიდგომა იყო, რასაც ეროვნული ხელისუფლება ახორციელებდა.ავტორიტეტების

მსხვრევა არა გლობალურად, არამედ ზ. გამსახურდიას პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით ხორციელდებოდა. უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტები ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო, თუმცა ეს მძლავრი ბერკეტი, საბჭოთასაქართველოს სახელოვან ხელოვანთა შთამომავლების დაშანტაჟების იარაღად იქცა. ასეთი მიდგომით ეროვნულმა ხელისუფლებამ საბჭოთა ავტორიტეტების რღვევის ნაცვლად საზოგადოებაში აგრესია გამოიწვია. გაუაზრებლად და არათანმიმდევრულად მიმდინარეობდა "ინფორმაციული ბლოკადაც". არსებული მოცემულობის მიხედვით, ხელისუფლებაში ახლად მოსულ ეროვნულ მთავრობას ამ მიმართულებით ჰქონდა არჩევანი, მიზნის მისაღწევად გამოეყენებინა რამდენიმე მეთოდი, კერძოდ: "ინფორმაციული ბლოკადა", "ნახევრად სიმართლე", "ორთქლის გამოშვება".სახელმწიფო ტელევიზიაში განხორციელებული საკადრო პოლიტიკისა და შემდგომ ტელე-რადიოკომიტეტის მუშაობის მიხედვით რაც ზემოთ განვიხილეთ, ნათელია, რომ არჩევანი ხელისუფლებამ "ინფორმაციულ ბლოკადაზე შეაჩერა. პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღებული გეზის ნაბიჯ-ნაბიჯ, უცვლელად განხორციელებაა; თუმცა ამ შემთხვევაშიც გამსახურდიას ხელისუფლების პრობლემა სწორედ არათანმიმდევრულობაა. თავდაპირველად ხელისუფლების მიერ აღებულ გეზს – "ინფორმაციულ ბლოკადას" - პერიოდულად "ნახევრად სიმართლის" მეთოდით ანაცვლებდნენ, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითიცაა 1991წლის 2 სექტემბერს განვითარებული მოვლენები, ხოლო როდესაც პოლიტიკურმა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, ხელისუფლებამ ორთქლის გამოშვების სტრატეგიას მიმართა, რის შედეგადაც გაჩნდა ე.წ. კიბის ტელევიზია. ასეთი სტრატეგიული შეცდომების გამოარარის გასაკვირი, რომ ვერცერთმა მეთოდმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არასწორად გადადგმული პროპაგანდისტული ნაბიჯებისა და ხისტი პოლიტიკის გატარების მიუხედავად, შეუძლებელია საზოგადოების უკმაყოფილება და აზრთა სხვაობა ისეთ კრიტიკულ ზღვარს მიახლოვდეს, რომ ქვექანაში შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს; მითუფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს

მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ, 87-მა პროცენტმა, სწორედ ზვიად გამსახურდიას დაუჭირა მხარი საპრეზიდენტო არჩევნებში. ხელისუფლებისგან განსხვავებით, ოპოზიცია მეტად გამართული პროპაგანდისტული სტრატეგიით მოქმედებდა. მათი მთავარი მიზანი უკმაყოფილების მუხტის ესკალაცია, დაპირისპირების მაქსიმალურად გამწვავება და შედეგად - ხელისუფლების დამხობა იყო. გამსახურდიას პროპაგანდისტულ ხაზს ოპოზიციამ სხვა პროპაგანდისტულ ხერხებთან ერთად ძირითადად "საცდელი ბურთები", "კონტრასტის პრინციპი", "ანონიმური ავტორიტეტი", "არწივის ეფექტი" და "მედიატორები" დაუპირისპირა. ხელისუფლებისგან განსხვვებით, მოწინააღმდეგე მხარეს არ ჰქონდა წვდომა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მედიასთან, თუმცა მათ საბაზისო "შეიარაღებაში" იყვნენ "ანონიმური ავტორიტეტები" - წარმატებული, პოპულარული ადამიანები, რომლებიც "არწივის ეფექტს" ახორციელებდნენ. ორივე მეთოდი კი თავისთავად შობდა ე.წ. კონტრასტის პრინციპს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა ერთგვარ კლასობრივ დაპირისპირებას. განვითარებული მოვლენებისა და ოპოზიციის მოქმედების გაანალიზების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ სტრატეგიული პროპაგანდისტული გეგმის მოდელი, რომელიც ოპოზიციური ბრძოლის ძირითად ღერძს წარმოადგენს.





გრაფიკულ ძაბრში მოთავსებულია იმ ე.წ. ბერკეტების ჩამონათვალი, რაც ჰქონდა ოპოზიციას. "ანონიმური ავტორიტეტის" მეთოდის გამოყენებით მეთოდურად მიმდინარეობდა იმ ნაკლოვანებების ხაზგასმა, რაც გამსახურდიას ხელისუფლებას ჰქონდა ქვეყნის საგარეო კურსის მიმართულებით. ამ კონტექსტში ფართოდ განიხილებოდა საქართველოს მომავალი, ასიმილაცია ე.წ. დიდ ევროპულ ოჯახთან, არსებული ხელისუფლების პირობებში. სწორედ ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობითა და ლოგიკური ჯაჭვის აგების მეშვეობით არწმუნებდა ოპოზიცია საზოგადოებას, რომ ეროვნული ხელისუფლება არ სარგებლობს ავტორიტეტით და, შესაბამისად, ვერ შეძლებს გამოძებნოს საერთო ენა ევროპული ქვეყნების ლიდერებთან. ქართული საზოგადოების ე.წ. ელიტარული ნაწილის უმრავლესობა ხელისუფლების ოპოზიციაში იმყოფებოდა, რამაც ავტომატურად "არწივის ეფექტი" გამოიწვია. საქართველოს მოსახლეობა თვალნათლივ ხედავდა, რომ წარმატებულ და პოპულარულ ქართველთა უმრავლესობა განუდგა გამსახურდიას ხელისუფლებას, შესაბამისად, ამუშავდა მარტივი ასოციაციური აზროვნება – წარმატებული ადამიანი ყველა საქმეში წარმატებულია. იქიდან გამომდინარე, რომ "წარმატებულები" ბარიკადის საპირისპირო მხარეს დგანან, ხელისუფლებას ბრძოლა წაგებული აქვს, რადგან მრავალგზის დაჯილდოვებული პოპულარული ადამიანები არჩევანში არ შეცდებოდნენ. ეს განცდა კი უმცირესობაში დარჩენის შიშს იწვევს და ადამიანთა დიდი ნაწილი, რომელიც იდეურად არ არის ჩართული პოლიტიკურ ბრძოლაში, ემხრობა მას, ვისაც გამარჯვების, შესაბამისად, უმრავლესობაში ყოფნის მეტი შანსი აქვს. ჩვენს გრაფიკულ ძაბრში ასევე არის "კონტრასტის პრინციპიც". ამ მეთოდმაც საკმაოდ მძაფრი გავლენა იქონია ქართულ საზოგადოებაზე. ნაშრომის პირველ ნაწილში ჩვენ განვიხილეთ ამ მეთოდის კლასიკური ფორმა, რაც - მარტივად, უქნარა ადამიანების ფონზე, საქმიანი პირის წარმოჩენას გულისხმობს. ეს მეთოდი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში კონკრეტული კანდიდატის ან პოლიტიკური სუბიექტის საქმიან იმიჯს ამყარებს. მოცემულ შემთხვევაში კი მეთოდმა ქართული საზოგადოების მანკიერი მხარე – სნობიზმიც მოიცვა. კონტრასტის პრინციპის წყალობით, პოლიტიკური ორიენტაცია ერთგვარად

სოციალური ფენის განმსაზღვრელიც გახდა. სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ გამსახურდიას მხარდამჭერები ძირითადად სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო დანარჩენი ე.წ. ნაღები საზოგადოება ოპოზიციის მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციაზე იკრიბებოდა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი გრაფიკული ძაბრიდან თავდაპირველად გამოდის ე.წ. საცდელი ბურთები. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს მეთოდი იკავებდა ოპოზიციის პროპაგანდისტული სტრატეგიის მოწინავე პოზიციას. საცდელი ბურთების გაშვებით ოპოზიცია ერთგვარად დაზღვეული იყო არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმისგან. მეთოდი იძლევა მოსახლეობის განწყობის შესწავლის და შემდგომში სწორი და დროული ტაქტიკის შერჩევის საშუალებას. პროპაგანდისტული სტრატეგიის იმიტირებული გრაფიკის მეშვეობით ჩვენ განვსაზღვრეთ ისიც, რომ პროპაგანდა, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებდა, ჰყავდა განსაზღვრული სეგმენტი - ე.წ. აზრის ლიდერები. გამიზნული, გააზრებული სტრატეგიის მეშვეობით კი ამუშავდა "მედიატორების" მეთოდი, რომლებიც დამუშავებულ, საცდელ ბურთებში გავლილ ინფორმაციას ავრცელებდნენ. ეს ხერხი, როგორც კვლევის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, აზრის ლიდერების მიერ, მოსახლეობაში სხვადასხვა მოსაზრებაზე მსჯელობის გარდა, სხვადასხვა, ხშირად აბსურდული ჭორების გავრცელებასაც მოიცავს; საგულისხმოა, რომ მეთოდი ოპოზიციამ სრული მოცულობით აამუშავა. ხერხის ერთ-ერთი პირველი სამიზნე მედია იყო, მითუფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ტელევიზიაში მომუშავე პოპულარულ ჟურნალისტთა უმრავლესობა თავად იქცა "მედიატორად". ყველაზე მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული გამარჯვება ოპოზიციამ იმით მოიპოვა, რომ მათ მხოლოდ ნაწილობრივ გაარღვიეს ინფორმაციული ბლოკადა, შექმნეს ალტერნატიული კიბის ტელევიზია, რითიც განახორციელეს ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის კონცენტრაცია სახელმწიფო ტელე-რადიოდეპარტამენტის შენობასთან, რადგან ალტერნატიული ინფორმაციის მოსმენა მხოლოდ ქუჩაში, ტელევიზიის შენობასთან, იყო შესაძლებელი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტების, ალტერნატიული აზრის ტრანსლირება ვერ - ან შეგნებულად არ ხედებოდა.

მასალაზე მუშაობისას საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში შენახულია კადრები, თუ როგორ აღწერენ ტელევიზიის ტექნიკური სამსახურის თანამშრომლები ტელევიზიაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ქონებას იმ დღეს, როდესაც თენგიზ კიტოვანმა და მისმა შეიარაღებულმა ფორმირებამ ჟურნალისტთა თხოვნის შემდეგ დატოვა კომიტეტის შენობა. აღწერის ნაწილი ფირზეა გადაღებული, რადგან უზენაეს საბჭოში მყოფი პრეზიდენტი გამსახურდია ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებსა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებს სახელმწიფო ქონების დამტაცებლებსა და პუტჩისტებს უწოდებს. პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების განცხადებების თანახმად, ტელევიზია გაძარცვული იყო. სწორედ გამსახურდიასა და მისი მთავრობის წევრების ბრალდების - თითქოს სახელმწიფო ტელევიზიის ქონება გაიძარცვა - გასაბათილებლად ფირზე, რომელიც დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში ინახება, აღბეჭდილია ტელევიზიის სააპარატოებისა და სხვა ტექნიკური ბაზის მდგომარეობა. კადრები იმ პერიოდის ოპოზიციას საკუთარი სიმართლის დასადასტურებლად სჭირდებოდა, თუმცა საგულისხმოა, რომ იქვე მკაფიოდ ისმის ტექნიკოსთა დიალოგი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ყველაფერი რიგზეა და არსებული ტექნიკით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შესაძლებელია ტრანსლირების განხორციელება. თუ ჩვენ ამ შემთხვევით ჩაწერილ (ქრონიკალური კადრების გადაღებისას მიზანი არ ყოფილა არსებული მდგომარეობის ვერბალური შეფასება, ფირზე უნდა აღბეჭდილიყო მხოლოდ ის, რომ შენობიდან აპარატურა არავის გაუტანია) რამდენიმე ფრაზას გავაანალიზებთ და ოპოზიციის ნაბიჯების ლოგიკურ ჯაჭვში ჩავსვამთ, მივიღებთ წინასწარ გათვლილ სტრატეგიას, რასაც გაბრაზებული მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა უნდა გამოეყვანა ქუჩაში. სცენარი სხვაგვარად რომ განვითარებულიყო – ე.წ. კიბის ტელევიზიის ნაცვლად შექმნილიყო ალტერნატიული მაუწყებლობა, ამუშავდებოდა, ორთქლის გამოშვების პრინციპი და ნაკლებსავარაუდოა, რომ ოპოზიციას ქუჩაში მოსახლეობის დიდი მასის კონცენტრირება მოეხდინა. იმ ეჭვს, რომ ალტერნატიული აზრის ტრანსლაციას არა გამსახურდიას ხელისუფლება, არამედ თავად ოპოზიცია ბლოკავდა,აღრმავებს ზემოთ მოყვანილი ცნობილი ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ

გაფიცვის საწყის ეტაპზე პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის შეთავაზება – შეექმნათ ალტერნატიული ტელევიზია, ოპოზიციურად განწყობილმა ჟურნალისტებმა არცკი განიხილეს. რთულია იმის მტკიცება, თავად ჟურნალისტები რამდენად იყვნენ ჩართულები ამ ავანტიურაში, თუმცა უმრავლესობას მოგვიანებით გაუჩნდა განცდა, რომ მათი პროტესტით მანიპულირებდნენ. 2010 წელს ჩაწერილ ინტერვიუში ჟურნალისტთა პროტესტის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ პროცესები იყო მართული. "*გვიან, უკვე დეკემბერში, მივხვდი, რომ მანიპულატორი იყო რუსეთი*".

ედუარდის გიორგიდ "გარდაქმნის" პროცესი (შევარდნაძის დაბრუნება)

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ, რომელიც ქვეყანას 1992 წლის იანვარსა და თებერვალში მართავდა (წევრები: თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა), გამოსცა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და საქართველოს პრეზიდენტი გამოაცხადა საქართველოს სსრ სამართალმემკვიდრეებად, ბრალი დასდო პრეზიდენტ გამსახურდიას ავტორიტარულ მმართველობასა და ხელისუფლების უზურპაციაში. საბჭომ აღადგინა 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ასევე 1992წლის ზაფხულისთვის (რაც, შემდგომ - საბჭომ შემოდგომისთვის გადაიტანა) დაინიშნა საპარლამენტო არჩევნები. Iმავდროულად - ტელევიზიით გამოსვლისას თბილისის კომენდანტად დანიშნულმა მხედრიონელმა (მეტსახელად "სიძე") მოსახლეობა გააფრთხილა, რომ არასანქცირებული მიტინგების გამართვის საწინააღმდეგოდ ხელისუფლება "უკიდურეს ზომებს მიმართავს". ამაში უკვე მხოლოდ დარბევა და ჰაერში სროლა აღარ იგულისხმებოდა. 1992 წლის 2 თებერვალს თამარ მეფის გამზირზე მხედრიონმა და გვარდიამ ზ. გამსახურდიას უიარაღო მომხრეების მანიფესტაცია დაცხრილა. ეს იყო აშკარა, დაუნდობელი დარბევა. პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერებს ესროდნენ დამიზნებით, ავტომატებიდან. დახვრეტის კადრები CNN-მა იმავე დღეს აჩვენა. სროლას არა მხოლოდ აქციის ერთი მონაწილე, არამედ ერთი მილიციელიც შეეწირა, რომელიც მანიფესტანტებთან ახლოს იდგა. აქციის 50-მდე მონაწილე დაიჭრა. სამხედრო საბჭომ რამდენიმე ლიბერალური კანონი მიიღო: დაამტკიცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომია; ოფიციალურად დაამტკიცა მედიის მთავრობისგან დამოუკიდებლობა; გაათავისუფლა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი კულამბეგოვი და დაჰპირდა მოსახლეობას ინდუსტრიის დეცენტრალიზაციას. იმისთვის, რომ მომხდარიყო გაძვირებული პროდუქტის კომპენსაცია, ხელფასი და პენსია გაიზარდა 100%-ით. ასევე დაიშვა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბინების თავისუფალი პრივატიზაცია. სამხედრო საბჭომ 1992 წლის თებერვალში შექმნა და ხელისუფლება გადააბარა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, სადაც საქართველოში

არსებული თითქმის ყველა(მრგვალი მაგიდის გარდა) პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენლები ე.წ. ინტელიგენცია გაერთიანდა. საბჭო წარმოადგენდა მოქალაქეებისგან შემდგარ ორგანიზაციას, რომელიც საკუთარ თავს ახასიათებდა, როგორც უმაღლეს წარომადგენლობით ორგანოს, რომელიც ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებამდე განახორციელებდა საკონტროლო ფუნქციას და გამოსცემდა ყველა ბრძანებას. სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელად კი სამხედრო საბჭოს ტრიუმვირატმა, რასაც სახელმწიფო საბჭოს წევრთა უმრავლესობა ეთანხმებოდა, ე.შევარდნაძე მოიწვია. მისი საქართველოში დაბრუნების შემდგომ - 10 მარტს, სამხედრო საბჭომ უფლებამოსილება შეიჩერა. არალელურად - სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ფარული კენჭისყრით თავმჯდომარედ ე. შევარდნაძე აირჩიეს.

64 წლის ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში 1992 წლის 7 მარტს ჩამოვიდა. მას თან ახლდა მეუღლე – ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძე და მრჩევლები ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო სამინისტროდან: თემურ სტეფანოვი (რომელიც შევარდნაძეს საჯარო გამოსვლებისთვის ტექსტებს უმზადებდა) და სერგეი ტარაშენკო.

"7 მარტს ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით მოსკოვიდან თბილისში გამოვფრინდი. იმ დღეს ჩემი მეუღლის, ნანულის დაბადების დღე იყო. დილით, როგორც ყოველთვის, მივულოცე.

-ეს შენი დაბადების დღეცაა, მიპასუხა, - დღეს ყველაფერს თავიდან იწყებ.

-არა, ეს მხოლოდ გაგრძელებაა, ვუთხარი".[14]

ასე რომანტიკულად აღწერს შევარდნაძე საკუთარ მემუარებში საქართველოში ჩამოსვლის დღეს. სსრკ-ის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს აეროპორტში ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და წითელი მიხაკებით ხელში მდგომი ინტელიგენციის ნაწილი დახვდა. აეროპორტშივე, ოდნავ მოშორებით იყვნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერები, რომლებიც უკმაყოფილო შეძახილებით აპროტესტებდნენ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის თბილისში ჩამოსვლას. *"მე მივესალმები ჩემს მეგობარ ქართველ*

[14]ე.შევარდნაძე, მემუარები "ფიქრი წარსულსა და მომავალზე". გვ. 279, თბ. 2006წ.

ინტელიგენციას, რომელმაც, როცა საჭირო გახდა, იარადი და ავტომატი დაიჭირა ხელში იმიტომ, რომ საქართველოსთვის ებრძოლა, რომელმაც ადრე გამოაფხიზლა ქართველი ხალხი. მადლობა მათ.”[15] იქვე ე. შევარდნაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ მისი საქართველოში დაბრუნება ყველაზე სარისკო ნაბიჯი იყო მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში. აეროპორტიდან შევარდნაძე პირდაპირ სიონის საკათედრო ტაძარში გაემართა, მოინახულა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, რომელმაც მოგვიანებით მონათლა როგორც “გიორგი” (1992 წლის ნოემბერში). უკვე ყოფილმა კომუნისტმა მოგვიანებით მედიისთვის მეორე კომენტარი გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ “*ყველაფერი არის ნანგრევებში, ჩვენ უნდა ვიშრომოთ ყველაფრის გამოსასწორებლად*”.

ედუარდ შევარდნაძის თბილისში ჩამოსვლის პირველი დღის გაანალიზებით ნათელია, თუ რა ტიპის პროპაგანდისტული კამპანიის წამოწყებას გეგმავდა. რამდენიმე მოკლე კომენტარისა და ქმედების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ მკაფიო გზავნილები:

1. ახალი მმართველის დასაყრდენი არა სამხედრო საბჭოს ტრიუმვირატი, არამედ ე.წ. ინტელიგენცია, ანუ “აზრის ლიდერები” არიან, რომლებსაც ჩამოსვლისთანავე შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ავტომატის ხელში აღებისთვის. პირველივე საჯარო სიტყვის თანახმად, იკვეთება, რომ ე. შევარდნაძისთვის მასებზე ზემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი ხერხი “მედიატორია”.

2. ახალი მმართველი არ გაურბის პრობლემას ყოფილი პრეზიდენტის მომხრეების სახით. იმ პერიოდში სამხედრო საბჭოსთვის არ იყო რთული არ დაეშვათ გამსახურდიას მომხრეთა აეროპორტის ტერიტორიაზე მისვლა თუმცა, მათი ნაწილი იქვე შევარდნაძის ჩამოსვლას ხმამაღლა აპროტესტებდა. ეს არ არის შემთხვევითი - ან ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა თავდადების შედეგი. თუ ჩვენ ამ ფაქტს პროპაგანდისტულ ხაზში ჩავსვამთ, ნათელია, რომ ახალი მმართველის ჩამოსვლისთანავე ამუშავდა “ორთქლის გამოშვების მეთოდი”.

[15] სსმ-ის არქივიდან 1992წ.

3. ახალი მმართველი არის მამაცი და მიიღო ყველაზე სარისკო გადაწყვეტილება და ჩამოვიდა თბილისში მაშინ, როდესაც მისი წინამორბედი გაიქცა. მისი საუბრის აქცენტებით ჩანს, რომ ე. შევარდნაძე აპირებს "კონტრასტის პრინციპის" ამუშავებას ისე, როგორც "არწივის ეფექტის" ერთ-ერთი მიმართულების – წარმატებული ადამიანი ყველა საქმეში წარმატებულია.

4. პირველივე დღეს შევარდნაძემ პოლიტიკური რებრენდინგი განახორციელა და სიონში ვიზიტის წყალობით აამოქმედა "არწივის ეფექტის" მეორე მიმართულებაც – "გვერდით - ანუ ერთად". გარდა ამისა, ამ ნაბიჯით მან კიდევ ერთელ გაუსვა ხაზი, რომ მის თანასწორად მხოლოდ ერთ პიროვნებას – პატრიარქს აღიარებს, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც მას მიხაკებით აეროპორტში დახვდნენ, მისთვის არა პერსონები, არამედ ე.წ. აზრის ლიდერთა ჯგუფია, რომლის წევრებიც ცალკეულად ფასეულობას არ წარმოადგენენ. ეს ნიუანსიც მისი პოლიტიკური რებრენდინგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

5. ე. შევარდნაძემ არ მიმართა გამსახურდიასა და მისი მომხრეების დემონიზაციის მეთოდს, როგორი შთაბეჭდილებაც შეიძლება ერთი შეხედვით დაგვრჩეს. ამ შემთხვევაში მან "აქცენტები გადაანაცვლა" და საზოგადოების აზრის ფოკუსირება არა დანგრეულის მიზეზების და დამნაშავის დასჯაზე, არამედ მომავალსა და შენებაზე გააკეთა, რითიც კიდევ ერთხელ ამუშავდა "არწივის ეფექტი". ის ერთადერთი წარმატებული ქართველი პოლიტიკური ფიგურაა და, შესაბამისად, ვისი - თუ არა მხოლოდ მისი თაოსნობით - შეიძლება დანგრეულის აშენება.

ე. შევარდნაძის მმართველობის პირველი 3-წლიანი ციკლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. 1992 წლიდან 1995 წლის ნოემბრის არჩევნებამდე მისი ამოცანა ლეგიტიმურად რეალური ხელისუფლების მოპოვება იყო. სამხედრო საბჭოს მიერ შექმნილი სახელმწიფო საბჭოს ძალა სიმბოლური იყო. თვით საბჭოს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია ჰქონდა. მმართველობის რეალურ ბერკეტს კი საბჭოების კონსილიუმი ფლობდა, რომელიც შედგებოდა უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციებისგან. აქ წარმოდგენილი იყო 4 ხმის მიმცემი წევრი – პრეზიდიუმის ხელმძღვანელი ე.

შევარდნაძე, მოადგილე ჯ. იოსელიანი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა და პრემიერ-მინისტრის მოადგილე თ. კიტოვანი. პრეზიდიუმის ხმის მიცემის წესი კონსენსუსით განისაზღვრებოდა, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა ხმის მიმცემ წევრს ჰქონდა ვეტოს უფლება. 1992 წლის 7 მარტიდან 11 ოქტომბრამდე საბჭო ქვეყანას ფაქტობრივად არალეგიტიმურად მართავდა, რადგან აღდგენილი, 1921წლის კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის მართვა არჩეული ორგანოს პრეროგატივაა. ეს ფაქტი იყო დევნილობაში მყოფი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რითიც ზვიად გამსახურდია ცდილობდა როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ისე მსოფლიო თანამეგობრობისთვის დაემტკიცებინა, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. თბილისში ახლადდაბრუნებული შევარდნაძისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სწორედ ზ. გამსახურდია და მისი თანამოაზრეები წარმოადგენდნენ. პრობლემა არა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა პერმანენტული აქციები, არამედ ხელისუფლების კანონიერება იყო, რასაც დამხობილი ყოფილი ხელისუფლება ედავებოდა. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებიდან ერთ თვეში ზ. გამსახურდიამ მას ღია წერილით მიმართა. ვრცელ, ორნაწილიან წერილში მიმოხილულია შევარდნაძის პოლიტიკური საქმიანობა, რაც 19 - პუნქტიანი ბრალდებით სრულდება:

"მე თქვენ ბრალს გდებთ:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სისტემატურ დევნასა და ჩახშობაში უსასტიკესი რეპრესიების გზით, მის დისკრედიტაციაში შინ და გარეთ. ქართველი პატრიოტების და ადამიანის უფლებათა დამცველების დევნა-დაპატიმრებაში, ქართველი პატრიოტის ვ. ჟვანიას დახვრეტაში, "თვითმფრინავის საქმეზე" დაპატიმრებული ახალგაზრდების და მათთან ერთად ცრუ ბრალდებით დაპატიმრებული უდანაშაულო მღვდლის, თევდორე ჩიხლაძის დახვრეტაში, ჟურნალისტ ნაზი შამანაურის მკვლელობაში 1983 წელს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

2. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების მოწყობაში, უპრეცენდენტო ცილისმწამებლური კამპანიის ორგანიზებაში მსოფლიოს მასშტაბით.

3. დასავლეთის ქვეყნების დეზინფორმირებასა და დეზორიენტირებაში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

4. საქართველოში კრიმინალური რევოლუციისა და სამხედრო გადატრიალების მოწყობაში, უკანონო დანაშაულებრივი ხუნტის შექმნაში, ხელისუფლების უზურპაციაში, ქ. თბილისის ცენტრის დანგრევასა და დაწვაში.

5. საქართველოში დემოკრატიის ნაცვლად კლეპტოკრატიის დამყარებაში, დამნაშავეთა სამყაროსადმი სამართალდამცავი ორგანოების დაქვემდებარებაში, კრიმინალებისთვის ხელისუფლების გადაცემაში.

6. საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრისა და 1991 წლის 26 მაისის დემოკრატიული არჩევნების მიღწევების განადგურებაში, კანონიერი პარლამენტისა და პრეზიდენტის დევნაში.

7. საქართველოში რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარების ყოფნის დაკანონებაში, მათთვის საოკუპაციო ჯარების სტატუსის მოხსნაში, საქართველოში ამგვარი ჯარების ახალი კონტინგენტის შემოყვანაში ყარაბაღის 366 მოტომსროლელი პოლკის სახით, გერმანიიდან დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი სახლების მშენებლობის დაგეგმვაში ჩვენს ტერიტორიაზე.

8. საქართველოში კომუნისტური პარტოკრატიისა და მაფიის კვლავ აღორძინებაში.

9. იმპერიული სუკ-ის აგენტობაში და მის თავდადებულ სამსახურში წლების მანძილზე.

10. იმპერიული სუკ-ის აგენტურულ ქსელში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩათრევაში.

11. სახელმწიფო ტერორიზმში, 1992 წლის იანვარ-თებერვლის მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევა-დახვრეტაში კრიმინალების ხელით.

12. დასავლეთ საქართველოს დალაშქვრა-დარბევაში, მოსახლეობის ძარცვასა და გენოციდში, კუთხური შუღლისა და სეპარატიზმის არნახულ გაღვივებაში.

13. საქართველოში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ლეგალიზაციასა და წახალისებაში, თბილისის ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნარკომანებად, კრიმინალებად ქცევაში.

14. პიროვნულად ჩემი და ჩემი ოჯახის, თვით მცირეწლოვანი ბავშვების დევნაში 20 წლის მანძილზე.

15. კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლ-მუზეუმების გაძარცვასა და დაწვაში (ქ. თბილისი და დაბა ბიჭვინთა).

16. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მასობრივ რეპრესიებსა და ტერორიზებაში.

17. გერმანიასთან საძრახის გარიგებაში საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

18. იმპერიის ცენტრის დავალებით ქართველი ერის გენოციდში.

19. სამშობლოს ღალატში.

ყოველივე ზემოთ თქმულთან დაკავშირებით მოვითხოვ თქვენგან დაუყოვნებლივ წერილობით პასუხს და ახსნა-განმარტებას. გიწვევთ ტელედებატებში (როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს და არა - როგორც არარსებული სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს) თქვენი საყვარელი მოსკოვის ტელევიზიით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებს თქვენს მიმართ სოლიდარობას, თანადგომასა და მიკერძოებას. ტელედებატებს ექნება ტელეხიდის ხასიათი.

მზად ვარ უკან წავიღო ჩემი სიტყვები, თუ დამტკიცდება ჩემს ნათქვამში უმცირესი გაყალბება, უზუსტობა ან გადაჭარბება.”[16]

ე. შევარდნაძემ წერილს არ უპასუხა, თუმცა არ შეუშლია ხელი მის დაბეჭდვასა და გავრცელებაში. ამით მან არ გადაუხვია აღებული გეზიდან და კვლავაც ორთქლის გამოშვების ხერხს მიჰყვა, ხოლო გამსახურდიასა და მისი მომხრეების მუდმივი იგნორირებით ახალი მმართველი მათ მარგინალიზაციას

[16]ზ.გამსახურდია გაზ. “ქართული აზრი” თბილისი. 19, აპრილი, 1992წ.

ცდილობდა. 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით კი, რომელიც სამხედრო საბჭომ დანიშნა, შევარდნაძის ხელისუფლების ერთგვარი ლეგიტიმაცია განხორციელდა. ის უკვე მოსახლეობის მიერ არჩეული პარლამენტის და ასევე თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. დაკარგული ტერიტორიების, წაგებული ომის 300 000-მდე დევნილის, უკიდურესად მწვავე სოციალური პრობლემების, გაყინული ხელფასებისა და პენსიების, მაღალი კრიმინალური ფონის და ა.შ. მიუხედავად, ე. შევარდნაძემ მოახერხა მოსახლეობისთვის დაემტკიცებინა, რომ ის სტაბილურობისა და კეთილდღეობის ერთადერთი გარანტია. სწორედ 1992წლიდან 1995წლამდე პერიოდში მან შეიმუშავა და შეცვალა კონსტიტუცია (მიუხედავად 1991-92 წლებში განვითარებული მოვლენებისა, როდესაც მაშინდელი ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმება და ქვეყნის საპარლამენტო მოწყობაზე გადასვლა იყო), რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტი გახდა. იმისთვის, რომ ავაგოთ შევარდნაძისეული პროპაგანდის მოდელირებული ღერძი და ავხსნათ ის, თუ რა მეთოდებით მოახერხა მან, არაერთი პოლიტიკური მარცხის მიუხედავად, მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება, საჭიროა გავაანალიზოთ ამ 3-წლიანი ციკლის მნიშვნელოვანი, გარდამტეხი მომენტები, სახელმწიფოს მეთაურის მიერ გადადგმული არაპოპულარული ნაბიჯები, რაც მედიის მეშვეობით მას მეტად პოპულარულს ხდიდა. თავად შევარდნაძე მემუარებში პარალელს ავლებს 1958 წელს მომხდარ საფრანგეთის მე-4 რესპუბლიკის კოლაფსსა და შინ დაბრუნებულ შარლ დე გოლთან. დე გოლის მსგავსად, შევარდნაძეც დაუბრუნდა დასახიჩრებულ სახელმწიფოს და დომინანტ სამხედრო ძალას. ის იძულებული იყო, სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიეღო, რის გამოც, როგორც თავად აღნიშნავს, კინაღამ მოკლეს შეთქმულებმა. როგორც დე გოლმა, მან დაარსა ახალი რესპუბლიკა ძლიერი საპრეზიდენტო კონსტიტუციით, თუმცა ამ ყველაფერს 3 წელი დასჭირდა. ჟურნალისტი დ. გამცემლიძე მიიჩნევს, რომ ე. შევარნაძის მთავარი მამოძრავებელი საკუთარი ხელისუფლების გამყარება იყო. "*ნებისმიერ საზოგადოებაში (მეტ-ნაკლებად - ტოტალიტარულში ან დემოკრატიულში)*

ხელისუფლების სიმყარე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მისცემს იგი მოწინააღმდეგეთ შესაბამისი საზოგადოებრივი ატმოსფეროს - ანუ "კონცენტრირებულ სტერეოტიპთა ერთობლიობის" შექმნის საშუალებას. "დღიდან საქართველოში დაბრუნებისა ედუარდ შევარდნაძის მოქმედება სწორედ ამ პოლიტიკური იმპერატივით გახლდათ განპირობებული. თუ დავაკვირდებით, მისი ყოველი სიტყვა, საჯაროდ გაკეთებული ყოველი განცხადება, ყველა დემარში, თითოეული ნაბიჯი იქითკენაა მიმართული, რომ დაიშალოს, გაბათილდეს საწინააღმდეგო "კონცენტრირებული სტერეოტიპები" და - პირიქით, შეიქმნას დადებითი, პოზიტიური, მისთვის სასარგებლო სტერეოტიპები, რომლებიც განამტკიცებენ სტაბილურობას. ამ მომენტს შევარდნაძე ყოველთვის ითვალისწინებს. არცერთ ნაბიჯს - საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში იგი არ გადადგამს პოლიტიკური ტექნოლოგიის დარღვევით, საზოგადოებაში ამა თუ იმ სტერეოტიპული წარმოდგენის შექმნის ალბათობის გაუთვალისწინებლად. ხოლო როდესაც საზოგადოება თავად იმყოფება გაურკვევლობაში, თავად ვერ გამოუმუშავებია ერთიანი მიდგომა, შევარდნაძე ხშირად საპირისპირო ნაბიჯებს დგამს. როდესაც იგი ატყობს, რომ საზოგადოებაში მწიფდება და კონცენტრირებული სტერეოტიპის (ანუ პოლიტიკური ფაქტორის) მნიშვნელობას იძენს, მაგალითად, ასეთი სტერეოტიპი: "შევარდნაძისთვის მზე კვლავ ჩრდილოეთიდან ამოდის, შევარდნაძემ საქართველო კვლავ რუსეთში დააბრუნა" იგი დაუყოვნებლივ დგამს ნაბიჯებს საპირისპირო მიმართულებით: აკეთებს სენსაციურ განცხადებებს ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით; გმობს რუსეთის პოლიტიკას ბალკანეთზე; უარს აცხადებს დაესწროს მოსკოვის დაარსების 850 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმს და ა.შ."[17] შევარდნაძის მმართველობის შესახებ დაწერილ ვრცელ ანალიზში ჟურნალისტის მიერ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებული სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოქმედება-გადაწყვეტილებები, ე.წ. დაბალანსების პოლიტიკა, არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი ხელისუფლების გამყარების ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

---

[17]დ. გამცემლიძე, "ედუარდ შევარდნაძე-ძალაუფლების ვნება და ტექნოლოგია", ინტერნეტჟურნალი experti.ge;

აფხაზეთის კონფლიქტი

ყველაზე მძიმე ეტაპი როგორც ე. შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობაში, ისე საქართველოს უახლეს ისტორიაში აფხაზეთის 13-თვიანი ომია. როგორ მიმდინარეობდა უშუალოდ ომის გაშუქება ქართულ და რუსულ მედიაში, იყო თუ არა გამოყენებული საომარი პროპაგანდისთვის დამახასიათებელი მეთოდები, ამას ქვემოთ განვიხილავთ. განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე საინტერესოა, თუ როგორ ჩამოყალიბდა ედუარდ შევარდნაძის როგორც "გულადი გმირის" იმიჯი წაგებული ომის ფონზე. 1992 წლის 11 აგვისტოს გამართულ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, კამათის და შეხლა-შემოხლის შემდეგ, აფხაზეთში ჯარის შეყვანა გადაწყდა. შევარდნაძე ხსენებულ სხდომაზე მეტად მკაცრი იყო, რასაც სტენოგრამის ჩანაწერები მოწმობს:

"*ე.შევარდნაძე -რაც უნდა მოხდეს, თბილისისა და სომხეთისკენ მიმავალი ტვირთების უსაფრთხოებაზე, გატარებაზე მთლიანად იკისრებს პასუხისმგებლობას თავდაცვის სამინისტრო. საჭიროა, ლესელიძიდან სამტრედიამდე მოეწყოს ერთი-ორი ბანაკი. ხაზს ვუსვამ, რომ ქალაქებსა და სოფლებში სამხედრო ნაწილები გამოყენებული არ იქნება. შეიძლება იყოს გარკვეული წინააღმდეგობები, მაგრამ წითელ ხაზად გასდევს ამ დოკუმენტს ზრუნვა იმაზე, რომ მოსახლეობის ინტერესები იყოს დაცული. საერთო ხელმძღვანელობა დაევალება გენერალურ შტაბს. ყველაფერი იქნება, როგორც უნდა იყოს სამხედრო უწყებაში: პროფესიულ დონეზე მომზადებული, დამუშავებული, შედგენილი გეგმები. და რაც უფრო ადრე დავიწყებთ, მით უკეთესი. ცოტა დრო დასჭირდებათ სამხედროებს, მაგრამ გუშინ ვთხოვე დაჩქარებულიყო ეს პროცესი. საქმის გადადება არ შეიძლება, არც სხვა გამოსავალი არსებობს, შეიძლება ზოგიერთმა შემახსენოს, რაც ადრე მითქვამს: ნაადრევი იყო, ისევ სირბილე და გულმოწყალება გამოვიჩინო, მაგრამ მოსახლეობაში ასეთი განწყობა არ არის. ბატონ თენგიზს ხომ არ სურს განმარტებები?*"

თ. სიგუა - "თქვენ აღნიშნეთ, რომ მილიცია ვერ უზრუნველყოფს ამ ტვირთების უსაფრთხოებას, რადგან მას არ გააჩნია საშუალებები. მე ჩავიწერე თქვენი სიტყვები: "უნდა დაევალოს თავდაცვის სამინისტროს". მე ბოდიშს ვიხდი, შეიძლება არა ვარ ამ საკითხში კომპეტენტური, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს არ არის თავდაცვის სამინისტროს ფუნქცია".

ე. შევარდნაძე –" მე არა ვარ სასტიკი ზომების მომხრე, მაგრამ ახლა სისუსტე, შეიძლება უფრო ძვირი დაგვიჯდეს მომავალში".[18]

ჰქონდა თუ არა შევარდნაძეს სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რამდენად გარდაუვალი იყო შეიარაღებული დაპირისპირება, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი არა თავდაცვის სამინისტრო, არამედ თ. სიგუას წინადადებისამებრ მილიცია უზრუნველყოფდა სარკინიგზო ტვირთების უსაფრთხოებას – ეს პოლიტოლოგებისა და სამხედრო ექსპერტების ანალიზის თემაა, რომელთა ნაწილიც იყენებს რუსი სამხედრო ისტორიკოსის ვიქტორ სუვოროვის ცნობილ ფრაზას, რომ ომს ხშირად იწყებენ არა იმ მიზეზით, რომ მისი მოგების იმედი აქვთ, არამედ იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვთ. ჩვენი კვლევის ფარგლებში ზემოთ მოყვანილი სტენოგრამა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ზუსტად მეორე დღეს შევარდნაძე საკუთარ გადაწყვეტილებას გაემიჯნა. მისთვის სამხედრო ავანტიურაში ჩართვა-არჩართვაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი აზრი და სამომავლო პოლიტიკური ცხოვრება იყო. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისთვის ცხადი იყო, რომ ქვეყანა ამ დაპირისპირებაში დამარცხდებოდა და მას არ სურდა წაგებული ომის წამოწყების ინიციატორი ყოფილიყო. 1992 წლის 13 აგვისტოს თბილისში აფხაზეთში ჯარის შეყვანის მხარდამჭერი მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა, სადაც სიტყვით გამოსვლისას თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ: "*გუშინ ედუარდ შევარდნაძემ მითხრა, - უნდა გადავდგეო. მე ვუთხარი, - ეს იქნება ღალატი-მეთქი.*" ამით შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ემიჯნება შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებას. იმ დღიდან როგორც მისი მმართველობის, ისე უკვე 2003 წლის შემდგომ პერიოდში, შევარდნაძე შეფარულად თუ პირდაპირ არაერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ომი თ.

[18]სახელმწიფო საბჭოს სხდომის სტენოგრამა 11 აგვისტო 1992. სსმ-ის არქივი.

კიტოვანმა წამოიწყო. საპირისპიროს ამტკიცებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თუმცა ფაქტია, რომ საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ოთხეულიდან არცერთმა არ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება (სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის ოთხეულის თითოეულ წევრს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება ჰქონდა) და გადაწყვეტილებას ვეტო არ დაადო.

1992 წლის 14 აგვისტოს, დილის შვიდ საათზე, საქართველოს შინაგანი ჯარების კოლონამ ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა. პირველივე დღეს (ანუ 14 აგვისტოს) მხვერპლი ორივე მხრიდან 50-ს აღწევს. თავდაპირველად რუსეთი "კონფლოქტში" შეიარაღებით არ ჩართულა, თუმცა 14 აგვისტოსვე რუსული საინფორმაციო საშუალებებით დაიწყო ანტიქართული პროპაგანდა. ტელეკომპანია РТР-ის კორესპონდენტი (სოხუმიდან): „*Примирениеуженевозможнопослетого,чтопроизошло. АРоссиинадодействоватьоченьосторожно, чтобнепотерятьсвоикозыри*". "Независимаягазета"კი კონფედერაციის პრეზიდენტის მუსა შანიბოვის სიტყვებს აქვეყნებს: "*Еслинамнебудутмешать, мысломимхребетгрузинскомуфашизму*". რუსეთისპრეზიდენტიბორის ელცინი კიაცხადებს: "*Мыубежденывнеобходимостивыводагвардииизабхазии*". მისი თქმით, საფრთხე შეექმნა სტაბილურობას უზარმაზარ, მრავალეროვან რეგიონში.რუსიჟურნალისტებიკითხვისფორმულირებისასმხარედწარმოჩენასაღარე რიდებიან. მაგალითისთვის: რუსიჟურნალისტიეკითხებაელცინს: "*ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც თეთრი სახლის დაცვისას ჩვენთან იყო, ახლა უკვე ხელები სისხლში აქვს მოსვრილი - რა შეგვიძლია გავაკეთოთ მოძმე აფხაზი ხალხისთვის?*"აფხაზთამცირეჯგუფიდემონსტრაციასმართავსვაშინგტონში, თეთრსახლთან.

მოვლენასიმავესაღამოსფართოდაშუქებსრუსეთისცენტრალურიტელევიზია.

გაზეთი "Аргументыифакты" წერს: "*სოხუმის მაიმუნთსაშენში მაიმუნებს შიდსის ვირუსი აღმოაჩნდათ - ამბობენ ქართველებმა გადასდესო*".რუსეთისპირველიარხისეთერშიგადისცნობილირუსიჟურნალისტისლე ონიდპარფიონოვისგადაცემაციკლიდან"Портретнафоне",

სადაცპროცესებიდაისტორიატენდენციურადააგაშუქებული.ცალმხრივიგაშუქებისგ

არდა,
რუსულიმედიაპროპაგანდისტულიმიზნისმისაღწევადკონკრეტულსიუჟეტებსაცდგამს. აფხაზიჟურნალისტიიზიდაჭანია, წინასწარშემუშავებულიგეგმისშესაბამისად, ეროვნულიგვარდიისაფხაზეთშიშესვლიდანერთკვირაში, ერთ-ერთსოფელშიდაიმალა. აფხაზურმაწყაროებმაკიგაავრცელესინფორმაცია, თითქოსჭანიაქართველმაგვარდიელებმადაატყვევეს. “Сухумская журналистка исчезла в разберихе грузино-абхазского конфликта.”ასეთი სათაურითაქვეყნებსსტატიას “ნეზავისიმაიაგაზეტა” 1992 წლის 26 აგვისტოს. “*Корреспондент абхазского телевидения Кристиан Бжания передал призыв абхазских коллег ко всем журналистам, сделать все возможное для того, чтобы выяснить местонахождение сухумской журналистки Изиды Чания. Абхазские журналисты требуют, чтобы грузинские вооруженные формирования и власти освободили Чанию из-под стражи. Как предполагают в пресс-центре абхазского парламента, Изиду Чанию могли увезти в Тбилиси*”. [19]ისტორიაგაუჩინარებულიჟურნალისტისშესახებრუსულმამედიამაიტაცა. როგორცრუსული
სამაუწებლოდაბეჭდურიმედიის,ისესააგენტოებისმიერგავრცელებულამე.წ. სატყუარას,დასავლურიმედიაცწამოეგოდადატყვევებულიჟურნალისტისშესახებინფორმაციაგაავრცელა.
მასშემდეგკი,რაცახალმაამბავმათავისიროლიშეასრულადადატყვევებისისტორიამაქტუალობადაკარგა, ჭანიაგამოჩნდა, თუმცამისი “დაბრუნების” შესახებრუსულმედიასაღარუსაუბრია.რუსულიტელეარხებითყოველდღიურადშეუნიღბავიპროპაგანდამიმდინარეობდა.
ამუშავებულიიყოყველაშესაძლოპროპაგანდისტულიხერხი,
რაცმეთოდურადაყალიბებდაშთაბეჭდილებას,
რომქართველებიუდანაშაულოაფხაზებს, მშვიდობიანმოქალაქეებსხოცავენ.
ამისნათელიმაგალითიათითქმისყველარეპორტაჟი,
რაციმპერიოდშირუსეთისსამაუწყებლომედიითგადაიცემოდა. მაგალითისთვის(6 ოქტომბერი,1992),რუსეთისპირველიარხისსაინფორმაციოპროგრამაშიგასულისიუჟეტისწარდგენისას (საგულიხმოა,

[19]Газета “Известия”. 26, августа1992.

რომიმკონკრეტულდღესგანსაკუთრებულიარაფერიმომხდარა, ესიყომორიგირეპორტაჟიცხელიწერტილიდან)წამყვანითურქმენეთშიმომხდარიმიწის ძვრისშემდეგგადადისაფხაზეთისსაკითხზეტექსტით: "*აფხაზეთში კი ხალხი ბოლო დღეების განმავლობაში იღუპება არა სტიქიური უბედურების გამო, არამედ სხვა ადამიანების ხელით. შურისძიება ასევე სტიქიური უბედურებაა*".[20] რუსულიპროპაგანდისტულიმანქანისპირველიეტაპიმტრისხატისშექმნაიყო. ამასგარდა,პირველეტაპზესეპარატისტთაუმთავრესითეზისი, რასაცრუსულიმედიატირაჟირებდა,იყოის, რომაფხაზებისთქმით,ისინიუკანონოსახელმწიფოსაბჭოსჯარებსებრძვიან.ამითრუსუ ლიმხარეცდილობდა,ბრძოლაშიზ. გამსახურდიასმომხრეებიარჩართულიყვნენ. პირველეტაპზერუსულიპროპაგანდისტულიმანქანისმიერდასმულიაქცენტებითიქმნე ბოდაილუზია,თითქოსაფხაზებიც "ხუნტას" ებრძვიან. მოგვიანებითრუსულიმედიასაქართველოსწინააღმდეგბრძოლისმოტივაციისამაღლე ბაზემუშაობდა. მაგალითისთვის: რუსიჟურნალისტისა. ლუბუმოვისგადაცემაში "წითელიკვადრატი" სტუმრადარძინბასსეპარატისტულიხელისუფლებისგენერალურიპროკურორიანრიჯ ერგენიაჰყავდა, რომელსაცავტორიეკითხება: "*რუს მოხალისე ოფიცრებს, რომლებიც აფხაზეთში ჩამოვლენ და თქვენ მხარეს იომებენ, ექნებათ თუ არა საშუალება შემდეგ აფხაზეთში დარჩნენ? რათქმაუნდა,"* – პასუხობს ჯერგენია.ეს "სარეკლამო" დიალოგიიმართებამაშინ, როდესაცრუსულიარმიისშემადგენლობასუკიდურესადუჭირსდათავადრუსეთისხელ ისუფლებასარაქვსსაშუალება,სამხედროთასოციალურ-კომუნალურისაკითხებიმოაგვაროს. მაშინკი,როდესაცქართველებიმშობლიურსახლებსტოვებდნენდაიძულებულნიიყვნენ ადლერთანრუსეთ-საქართველოსსაზღვარიგადაეკვეთათ, რუსულიმედიისმიერმათ "ბოევიკებად" მოიხსენიებდნენ. პროპაგანდისტულმანქანასარამხოლოდსაზოგადოებრიობისაზრისმართვისბერკეტი, არამედკონკრეტულგადაწყვეტილებებზეზეწოლისმოხდენაშეეძლო. სწორედრუსულიმედიისმხრიდანგანხორციელებულიწნეხისგამო,

[20]Новости, 1 канал Останкино 1992г. https://www.youtube.com/watch?v=04WYtqwp3DA

საქართველოსხელისუფლებაიძულებული იყო სხადასხვა ტიპის შეთანხმებებზე მოეწერა ხელიმიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარე მას ყოველთვის არღვევდა. საქართველოს მთავრობის მიერ ე.წ. სამშვიდობო ხელშეკრულებებზე უარის თქმა წარმატებით იქნებოდა გამოყენებული ქვეყნის წინააღმდეგ იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს არ სურს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტა და მათი მთავარი მიზანი აფხაზი ხალხის გენოციდია. არა მხოლდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ ზოგადად, საინფორმაციო ომის წარმოებისას რუსული მედია ერთსულოვანია და სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე,კოორდინირებულადმოქმედებს. სიუჟეტებიტელეკომპანიისსაკუთარანსპეციალურკორესპონდენტთამიერმზადდება, თუმცაძირითადიინფორმაციადაწამყვანთასაკადროტექსტებიორდიდსაინფორმაციო სააგენტოზე – "ინტერფაქსსა" და "იტარ-ტასზე" -დაყრდნობით, შესაძლოაითქვას, "გაფილტვრის" შემდეგვრცელდება. მოსკოვისმიერწარმოებულანტიქართულკამპანიას, ხშირშემთხვევაში,არარსებულფაქტებზემძლავრიემოციურირეზონანსისგამოწვევას დამიზანმიმართულადფართოსაზოგადოებისდამუშავებასქართულიმედიავერაფრით პასუხობდა. 1992-93წლებშისაქართველოსაინფორმაციოომს, -რაცთანამედროვემსოფლიოში, შედეგის, ანყველაზემცირემსოფლიოსაზოგადოებისადა,შესაბამისად,დემოკრატიულფასეულ ობათადამცველიპოლიტიკურიცენტრებისგანწყობისგანმსაზღვრელიხდება (რადგანროგორცკვლევისპირველთავშიაღვნიშნეთ,დემოკრატიულსახელმწიფოებში სწორედსაზოგადოებისგანწყობაისახებაპოლიტიკოსთაგადაწყვეტილებებზე), პრაქტიკულადარაწარმოებდა. ის, რომსაქართველოსარჰქონდაშემუშავებულისაინფორმაციოომისწარმოებისტაქტიკა დასტრატეგია,ამასმოწმობსროგორცქართულისარდლობის, ისემთავრობისწარმომადგენლებისმიერგაკეთებულიგულწრფელი, გულანთებული, თუმცა–ამავდროულად -უპასუხისმგებლოგანცხადებები. ამისერთ-ერთიყველაზენათელიმაგალითიგენერალგიაყარყარაშვილისსატელევიზიოგამოსვლ აა, რომელიცსოხუმისტელევიზიითპირდაპირეთერშიგადაიცა. მანმოსახლეობასრუსულენაზემიმართადაგანაცხადა: *"Еслидажепогибнут 100*

тысячГрузинов, топогибнутвсе 97 тысячАбхазов’[21].ბუნებრივია,ესფრაზამოწინააღმდეგემხარესარგამორჩენია. გ. ყარყარაშვილისსიტყვებირუსულმამედიამიმისდასტურადაქცია, რომქართველებსყველააფხაზისამოწყვეტასურს. მტკიცებულებისსაფუძველზერუსულიმედიამსოფლოსაზოგადოებასსთხოვდა,კონფლიქტისშეფასებისასსწორედესასპექტიგაეთვალისწინებინა. 1992 წლიდანდღემდე, როდესაცსეპარატისტულიხელისუფლებასაუბრობსომისშესახებ, ისინისაქართველოსაფხაზთაგენოციდშისდებენბრალსდაარგუმენტისგასამყარებლადსწორედესსიტყვებიმოჰყავთ. გ. ყარყარაშვილისამგამოსვლასრუსულიტელევიზიებისმიერმომზადებულთითქმისყველავრცელანალიტიკურსიუჟეტშინახავთ.ასევე,ისაფხაზეთისომისშესახებგაკეთებულირუსულენოვანიდოკუმენტურიფილმებისამოსავალიწერტილიანკულმინაციაა. ესფაქტიიმისნათელიმაგალითია, რომქართველსაველემეთაურებსარჰქონდათგააზრებული, რომშეიარაღებულიდაპირისპირებისპარალელურადსაინფორმაციოომიცმიმდინარეობდა. მსგავსიგანცხადებები, რასაცქართულიმხარეანტირუსული, ანტიაფხაზურიმედიაკამპანიისთვისგამოიყენებდა, საპირისპირომხარესარუთქვამს,ანარარისდაფიქსირებული. საქრთველოსხელისუფლებაარათუმასშტაბურსაინფორმაციოომსარაწარმოებდა, ისომისმოტივაციაშიარცსაკუთარიმოსახლეობისდარწმუნებასცდილობდა. რათქმაუნდა,ქართულიმასმედიააშუქებდაომისმიმდინარეობას. ეთერითგადაიცემოდასხადასხვამოღვაწისათუპოლიტიკოსისპატრიოტულიგამოსვლები. პრესაშიიბეჭდებოდავრცელიისტორიულიექსკურსებიიმისდასადასტურებლად, რომაფზახეთისაქართველოა, თუმცაესყოველივეერთიანმედიასტრატეგიაშიარიყომოყვანილი. პატრიოტულიდაარასტრატეგიულადმნიშვნელოვანიგანცხადებები, დისკუსიებითუგამოსვლებისტიქიურადვრცელდებოდა. არარსებობდაერთიმიზანიდაერთიმიმართულება. ამისნათელიმაგალითიაჯაბაიოსელიანისკამათიოჩამჩირეშიმეგრელგლეხთან,

[21] Документальный фильм “Абхазская трагедия”https://www.youtube.com/watch?v=Qk2tw8iMduA

რაცტელევიზიითაცგადაიცა, რადროსაცერთ-ერთიმთავარი "მეომარი" დამხედრიონისლიდერიამბობს, რომ "*თქვენ თქვენივე სოფლების დაცვა არ გინდათ და თბილისელმა ბიჭებმა რატომ უნდა მოიკლან თავი?, აფხაზები მუშაობენ, ვაჟკაცურად იბრძვიან, რადგან სამშობლოს იცავენ.*"[22]ეს არ იყო ე.წ. თვითკრიტიკის ერთეული შემთხვევა ომის პერიოდში. 1992 წელს ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ აფხაზები, მართალია, სასტიკნი და დაუნდობლები, თუმც იმავდროულად გულადი სულის მქონე მებრძოლები არიან, რომლებიც საკუთარ "სამშობლოს" იცავენ. ომის მიმდინარეობისას მოსახლეობას, რომელიც მოვლენების განვითარებას სამაუწყებლო მედიის საშუალებით აკვირდებოდა, ხშირ შემთხვევაში, მებრძოლთა არათუ არაპროპაგანდისტული და გაუთვლელი, არამედ არასერიოზული დამოკიდებულება ესმოდა. ცხელ წერტილში მყოფი ჯაბა იოსელიანი კამერების წინ ღიმილით ამბობს: *"მიმდინარეობს საქართველოს მთლიანობის ჩამოყალიბების პროცესი. პროცესი რა არის? –ხან წააგებ, ხან მოიგებ"*[23]. ომში ჩართული ქვეყნის ერთ-ერთი ლიდერის ასეთი ტიპის განცხადებები, ბუნებრივია, საბრძოლო სულის ამაღლებას ხელს ვერ შეუწყობს. სწორედ ამიტომ, აფხაზეთის ომის დროს, თბილისში, განსაკუთრებით ომის საწყის პერიოდში, დევნილების ჩამოსვლამდე, არ იგრძნობოდა, რომ ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებს. მეტიც, ხელისუფლებამ რეკრუტირების გამოცხადებაც ვერ გაბედა და ომში მხოლოდ მოხალისეები მიდიოდნენ. ომის მიმდინარეობისას ქართული მედიის მიერ ასევე არასწორად იყო დასმული აქცენტები იმის შესახებ, ვის ებრძვის ქვეყანა. იმ დროს, როდესაც მეტოქემ როგორც შეიარაღებული, ასევე მძლავრი საინფორმაციო ომი დაიწყო, საქართველოს მასმედია არათუ შეეცადა, დაუნდობელი მტრის ხატი შეექმნა, რაც საომარი მოქმედებებისას პირველი ნაბიჯი უნდა იყოს, არამედ ისიც კი არ ჰქონდა განსაზღვრული, თუ ვინ არის მტერი. თანდათანობით კი ქართული მედიის საშუალებით ყალიბდება მცდარი სტერეოტიპი ჩეჩენ მებრძოლთა შესახებ. თუმცა, ჩეჩნები არ ყოფილან ყველაზე დიდი ჯგუფი აფხაზეთში მებრძოლთა შორის. ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ ადიღელ ხალხთა

[22]https://www.youtube.com/watch?v=tP50MnPY2Hc
[23]https://www.youtube.com/watch?v=xQO72mhimgI

წარმომადგენლები (ჩერქეზები, საკუთრივ ადიღელები და ყაბარდოელები), შემდეგ კაზაკები და მხოლოდ მათ შემდეგ - ჩეჩნები. იმ პერიოდში არსებული რეალობიდან გამომდინარე, როდესაც აშკარა იყო, რომ დაპირისპირების მეორე მხარეს რუსეთი იდგა, ქართული მედია მთავარ მოსისხლე მტრად ჩეჩნებს წარმოაჩენს. რამდენად გააზრებული, გათვლილი იყო ანტიჩეჩნური კამპანია მაშინ, როდესაც რუსეთის სახით ქვეყანას გაცილებით დიდი და საშიში მტერი ჰყავდა, რთული სათქმელია. ცალსახად იმის მტკიცება, რომ ეს მთავრობის მიერ შემუშავებული მედიასტრატეგია იყო, ფაქტობრივად არ დასტურდება, თუმცა ვარაუდის დონეზე დასაშვებია, რომ შესაძლოა, ქართული მედიის მიერ ერთ-ერთ მთავარ მტრად ჩეჩნების გამოვლინება მიზანმიმართულიც იყო, რადგან იმ პერიოდში ახალი ხელისუფლების მტერი – ზ. გამსახურდია სწორედ ჩეჩნეთში იმყოფებოდა. მედიის მიერ შექმნილი სურათი კი ქართულ საზოგადოებაში მის დისკრედიტაციას იწვევდა და უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ გამსახურდია არა მხოლოდ დიქტატორი იყო, არამედ სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ასევე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ტიპის კამპანია არა სახელმწიფო მოთხოვნა, არამედ თავად ჟურნალისტთა ერთგვარი შურისძიება იყო ზ. გამსახურდიასა და მისი მომხრეების მიმართ, რადგან როგორც ზემოთ (მ. არეშიძის ინტერვიუზე დაყრდნობით) აღვნიშნეთ, ჟურნალისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში არა ჟურნალისტები, ან თუნდაც - რიგითი ჯარისკაცები, არამედ ოფიცრები იყვნენ. სწორედ აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავუშვათ, რომ ზემოხსენებული კამპანია მხოლოდ ჟურნალისტთა მიერიყო ინიცირებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, არ არის გამორიცხული, რომ მედიით შექმნილი სურათი არ ატარებდა კამპანიის ხასიათს და დაბნეულმა ჟურნალისტებმა, რომელთაც არ ჰქონდათ საკმარისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეიარაღებული დაპირისპირების გაშუქების პარალელურად საინფორმაციო ომი ეწარმოებინათ, ვერ განსაზღვრეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აქცენტები და მტრის ხატად დაქირავებული მებრძოლები წარმოაჩინეს. სამივე შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად გააზრებული იყო მედიაკამპანია, ფაქტია, რომ საქართველოს მედია არათუ

ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საკუთარი მოსახლეობისთვისაც კი ვერ საზღვრავდა "სწორ" მიმართულებას.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. 30 სექტემბერს კი აფხაზეთის ტერიტორია სეპარატისტებმა სრულად დაიკავეს. ომის ბოლო დღეებში შევარდნაძე აფხაზეთში იმყოფებოდა, რითიც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის სიმპათია დაიმსახურა. 1993 წლის 18 სექტემბერს პირველი არხის ეთერით დიქტორი კითხულობს ედუარდ შევარდნაძის მიმართვას, ერთგვარ საეტაპო სიტყვას. ტექსტი ასევე უცვლელად იბეჭდება პრესაში: *"მოგმართავთ თქვენ ალყაში მოქცეული სოხუმიდან და აღარც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა ჩემი სიტყვები თქვენამდე. ბრძოლები ახლა რამდენიმე უბანში მიმდინარეობს იმ შენობიდან, რომელშიც ჩემს მეგობრებთან ერთად ვიმყოფები. რაც უნდა მოხდეს, მაინც არ დავტოვებ ქალაქს, რომელიც კვლავ ხდება მოტყუებისა და ვერაგობის მსხვერპლი. არ მივატოვებ სოხუმელებს, ტანჯვა და უუფლებობა რომ არგუნა ბედმა საკუთარ ქალაქში, რომელიც უხეში, არაადამიანური ძალის წინაშე ბედის ანაბარა არის დატოვებული. ეს ძალა პირდაპირ საცხოვრებელ უბნებს ბომბავს. ორი განვლილი დღის მანძილზე აქ დაიღუპა 40 და მძიმედ დაიჭრა 253 მშვიდობიანი მცხოვრები. სულ კი ამ ომის დროს დახოცილია 2.081 და მძიმედ არის დაჭრილი 5.802 კაცი.*

უკვე მერამდენედ ვეკითხები საკუთარ თავს, რა ხდება? რისთვის ხდება ყოველივე?

გუდაუთის ლიდერები ამბობენ, რომ იბრძვიან თავისუფლებისთვის, მშობლიურ მიწაზე ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ასეთივე თავისუფლება სწყურია და ასეთივე უფლებების მოპოვებას ცდილობს 240 ათასი ქართველი, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე გაუდგამთ ფესვები აქაურ მიწაზე. ეს მიწა საერთო აკვანია ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც.

ჩვენ აქედან არავის გაძევებას არ ვაპირებთ, მაშინ როცა გუდაუთის დაჯგუფების მფარველთა დანაშაულებრივმა ნებამ განდევნა და გააძევა 150 ათასი ქართველი, რომლებიც ახლა ავადმყოფობითა და შიმშილით იხოცებიან რუსეთისა და საქართველოს ქალაქებში, მათთან ერთად ათასობით აფხაზი, რუსი, სომეხი აღმოჩნდა აყრილი საკუთარი კერიდან.

ჩვენ არც არავის დაპყრობა განგვიზრახავს - განა შეიძლება საკუთარ მოქალაქეთა დაპყრობა და ოკუპირება საკუთარი მიწისა, რომელიც ჩვენი უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის კერაა? ჩვენ მხოლოდ რესპუბლიკის სუვერენიტეტის და მართვის სასიცოცხლო არტერიების დაცვას ვცდილობთ, გვსურდა, ბოლო მოღებოდა დივერსიასა და ტერორს, და ეს გაგვეკეთებინა ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებთან ერთად და მათი თანხმობით, აფხაზთა ბანდების ბელადებმა ყველაფერი იცოდნენ. მათ კარგად უწყოდნენ ყოველივე, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას ბანდიტები, მოძალადეები, ტერორისტები იყენებდნენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ ქმედებათა ჩასადენად, მაგრამ ითმენდნენ ყოველივეს და განსაზღვრული ჰქონდათ, ეს კოზირი თავისი ინტერესებისთვის გაეთამაშებინათ.

ეს მათ შეძლეს კიდეც და მოახერხეს რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის იმ ძალების უშუალო მხარდაჭერით, და თანამონაწილეობით, რომლებსაც საქართველოს დანაწევრება ჰქონდათ განზრახული. ახლა, როცა ანტიხალხური ძალების მოქმედება თვით საქართველოშიც ერთ ნაკადად შეიკრა, სოჭის ხელშეკრულების, როგორც გუდაუთაში ამბობენ, „სპონტანური“ ძირის გამოთხრა, რუსეთის ზოგიერთი უმაღლესი ჩინის სამხედროთა მოქმედება და რუსეთის პარლამენტის პოლიტიკა ჩვენ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ კარგად კოორდინირებულ და სინქრონიზებულ ერთობლივ შემოტევასთან გვაქვს საქმე. მე მინდა მსოფლიომ შეიგნოს: აფხაზეთი იმპერიის სისხლიანი რევანშის საბრძოლო ველია, "მეორე აგვისტოა", იმ დენთის კასრია, რომლის მეშვეობითაც არა მარტო შევარდნაძის საქართველო სურთ ააფეთქონ, არამედ ელცინის რუსეთიც.

ამჟამინდელი ჯოჯოხეთის წინაშე ყველა მოვლენა ერთ ლოგიკურ ჯაჭვად ლაგდება. 1992 წლის 3 სექტემბერს ჩვენ მოსკოვში ხელი მოვაწერეთ შემაჯამებელ დოკუმენტს. ჯერ ქაღალდს მელანი არ შეშრობოდა, რომ ეს დოკუმენტი დაქირავებულთა ჩექმებით გათელეს, რომლებმაც უიარაღო გაგრა შტურმით აიღეს. 1993 წლის 14 მაისს დავთქვით: შეგვეწყვიტა ცეცხლი, მაგრამ სოხუმი კვლავ შეტევის ობიექტი გახდა როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან და

ჰაერიდან, ოჩამჩირის რაიონში კი თავით ფეხებამდე შეიარაღებული დესანტი გადმოსხეს და ქალაქი ბლოკადაში მოექცა. დაბოლოს, უკვე მესამედ, ვენდეთ რა რუსეთის სამშვიდობო მისიას, მის, როგორც გარანტისა და შუამავლის როლს, დავდეთ 1993 წლის 27 ივლისს შეთანხმება და პასუხად კვლავ ღალატი მივიღეთ. ...კვლავ აქუხდნენ ქვემეხები, რომლებიც, შეთანხმების შესაბამისად, უნდა გაეზიდათ, აგუგუნდა საბრძოლო ტექნიკის ძრავები, რომლებიც განკომპლექტებული უნდა ყოფილიყო, შეტევაზე გადმოვიდნენ ბოევიკები, რომლებიც თითქოს განიარაღებული ჰყავდათ, და ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვთქვათ, რომ ხელშეკრულების შესრულების გარანტმა მხარემ ან არ ისურვა, ან ვერ შეძლო ყოფილიყო გარანტი.

უშედეგო აღმოჩნდა ჩვენი მოლაპარაკება რუსეთის თავდაცვის მინისტრთან - გენერალ გრაჩოვთან. თავისთავად კონსტრუქციული მოლაპარაკება იმავე დღეს დეზავუირებული იყო რუსეთის თავდაცვის მინისტრის ზოგიერთი ხელქვეითის განცხადებებითა და რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით.

არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია, ჯერჯერობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და მისი გენერალური მდივნის არაერთგზის მტკიცე განცხადებებს.

ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის პრეზიდენტს გულწრფელად სურს, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოწესრიგებას, მაგრამ მას ამაში ხელს უშლის იგივე ძალა, რომელსაც ჩვენი გასრესა სურს.

და მაინც, მე კვლავ მივმართავ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და ბატონ ბუტროს გალის, მთელ პროგრესულ დემოკრატიულ რუსეთს, მთელ მსოფლიო გაერთიანებას მოწოდებით: ნუ დაუშვებთ საზარელ დანაშაულს, შეაჩერეთ პატარა ქვეყნის დასჯა, იხსენით ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი იმპერიული რეაქციის კოცონზე დაწვისგან. მსოფლიოს უფლება არა აქვს, შეურიგდეს ერთ-ერთი უძველესი ხალხის, დიდი კულტურის შემოქმედისა და მაღალი სულიერი ტრადიციების ქვეყნის მოსპობას.

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ, თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ საქართველოსთვის მისთვის უმძიმესი განსაცდელის ჟამს. იქნებ, დადგა დრო, აშკარად თქვათ მის დასაცავად ვაჟკაცური სიტყვა. სიტყვა თქვენი რუსეთის დასაცავად, რადგან ისტორიულად ჩვენი ხალხები მუდამ ერთ ბედს იზიარებდნენ.

იმედს ვამყარებ მეგობარი უკრაინელი ხალხის, მისი პრეზიდენტის დახმარებაზე, რომელთანაც ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას ურთიერთდახმარების შესახებ. ასევე იმედს ვამყარებ ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისა და რესპუბლიკების, ჩვენი ისტორიული მეზობლების - სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის სოლიდარობაზე. ველი დახმრებას ჩვენი დასავლელი მეგობრებისაგან.

მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც კეთილი და ძლიერი ხელი გამოუწოდა და გამოუწვდის საქართველოს, რომელსაც არარსებობის უფსკრულისაკენ უბიძგებენ.

როცა „ცივი ომის“ დამთავრებას ვესწრაფოდი, ძირს ვურყევდი გათიშვისა და გაუცხოების კედლებს, მე ვიბრძოდი ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, აზრადაც არ მქონია, რომ კაცობრიობის არსებობისთვის მთავარი საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ სწორედ ჩემს სამშობლოს დაუდგებოდა შავბნელი განთიადი.

იქნებ ვინმემ თქვას, რომ ეს სასოწარკვეთის ამოძახილია, არა! თუ ეს მაინც ამოძახილია, ეს არის სულის, ჩემი და ჩემი ხალხის ამოძახილი და მინდა, რომ ეს ყველამ გაიგონოს, რადგან კაცობრიობა ბედნიერი ვერ იქნება, მშვიდად ვერ ისარგებლებს მშვიდობის სიკეთით, სანამ დაღუპვა ელის თუნდაც ერთს, დაე, ყველაზე მცირერიცხოვან ხალხს.

ამას ვწერ დამის 3 საათზე. ქალაქს თავს ატყდება ჭურვები, დანგრეულია 1500 საცხოვრებელი სახლი. არ არის წყალი, პური, შუქი, და იფერფლება იმედი. სროლა გრძელდება. ეს-ეს არის რამდენიმე ჭურვი დაეცა სამშობიარო სახლს, სადაც ძუძუმწოვარა ბავშვები და მათი დედები იყვნენ.

არ გემშვიდობებით, გამომშვიდობება არ მინდა. დაე, ღმერთმა არ მოგაკლოთ მშვიდობა და ბედნიერება.

ედუარდ შევარდნაძე. სოხუმი"[24].

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, მართლაც, ერთ-ერთმა ბოლომ - 27 სექტემბერს დატოვა სოხუმი. მისი ეს ნაბიჯი ქართულმა მედიამ სათანადოდ დააფასა და ყველა ქართული მედიასაშუალება დეტალურად ჰყვებოდა, თუ როგორ დარჩა ე. შევარდნაძე - სიცოცხლის რისკის ფასად, ბოლო დღემდე, სოხუმში. როგორ ჰქონდა დამიზნებული თვითმფრინავს სითბური ჭურვები და როგორ სასწაულებრივ ჩამოადწია უვნებლად თბილისამდე. ასე შეიქმნა, მართალია წაგებული ომის, მაგრამ მაინც გმირის სიმბოლო.

სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე

აფხაზეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად შევარდნაძის ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და გამყარების პროცესი იწყება. "11 ოქტომბერს გამოჩნდება, რა გზას აირჩევს საქართველო"- ასეთი იყო კლიპის "სლოგანი", რომელიც მოსახლეობას არჩევნებზე წასვლას მოუწოდებდა. სამაუწყებლო მედიით დღეში რამდენჯერმე ნაჩვენებ წინასაარჩევნო რგოლს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – მიეწოდებინა ინფორმაცია კონკრეტული თარიღის შესახებ. სხვა დატვირთვა და პრეტენზია ხსენებულ კლიპს არ ჰქონია. აქ არ ყოფილა გაკეთებული აქცენტი, მინიშნება რომელიმე პოლიტიკურ ძალაზე. ხელისუფლებისთვის უმთავრესი პრიორიტეტი თვით ფაქტი – არჩევნები იყო, ხოლო შედეგი შეიარაღებული გადატრიალებით მოსული ხელისუფლებისთვის ისედაც ცხადი გახლდათ. 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებით მოხდა ხელისუფლების ლეგიტიმაცია. შემუშავებული საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო ბარიერი 2% იყო. შესაბამისად, პარლამენტში 24 პარტია შევიდა, რამაც ქუჩის ოპოზიციის არსებობის საშიშროება მინიმუმამდე დაიყვანა. ედუარდ შევარდნაძე პირდაპირი კენჭისყრით პარლამენტის თავმჯდომარედაირჩიეს. პარლამენტში ჩამოყალიბდა უმრავლესობა, რომელიც შევარდნაძის მხარდამჭერებს აერთიანებდა. მას მხარს უჭერდა ბლოკი "მშვიდობა", რომელშიც რამდენიმე, თვისებრივად განსხვავებული საფუძვლის

[24]ე.შევარდნაძე, მიმართვა, 18 სექტემბერიგაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 207(735), 1993წ.

მქონე პოლიტიკური ძალა გაერთიანდა. მაგალითისთვის: ავთანდილ მარგიანის მიერ დაფუძნებული "დემოკრატიული კავშირი" და თემურ ჟორჟოლიანის "კონსერვატიულ-მონარქისტული" პარტია. პარლამენტში იყო უმცირესობაც, ანუ თავმჯდომარის მოწინააღმდეგეთა გაერთიანება. თუმცა მთლიანობაში პარლამენტი მაინც კონსოლიდირებული იყო ე.წ. "ზვიადისტური" საფრთხის წინააღმდეგ. 1992 წლის 6 ნოემბერს პარლამენტმა შევარდნაძე აირჩია სახელმწიფო მეთაურად, დამატებითი მოვალეობით რომ ეხელმძღვანელა პარლამენტისთვის საგანგებო ვითარების პერიოდში. კონსტიტუციის შემუშავებამდე კი მიიღეს დროებითი "კანონი ხელისუფლების შესახებ" იგივე ძირითადი კანონი. ახალი ცვლილებებით აშკარა იყო სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლებისა და მმართველობის ზრდა: ისე, როგორც პარლამენტი არა პოლიტიკური მიზნებისა და შინაარსის, არამედ პერსონალურად შევარდნაძის სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით დაიყო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალი სახელმწიფო მეთაურის გარშემო აიგო. სხვა, არათუ თანაბარი, არამედ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი და რაიმე მნიშვნელოვანი უფლების მქონე ინსტიტუცია არ ჩამოყალიბებულა. საპარლამენტო არჩევნებამდე ე. შევარდნაძემ თადარიგი დაიჭირა და როგორც ჭეშმარიტმა დემოკრატმა დანერგა ყოველკვირეულად მოსახლეობასთან საუბრის ფორმა – ორშაბათის რადიოინტერვიუ. ეს იყო ერთსაათიანი ინტერვიუ ჟურნალისტ ნატო ონიანთან, რაც ყოველ ორშაბათს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სახელმწიფო რადიოს პირდაპირი ეთერით დილის 9 საათზე გადიოდა. იმავე დღეს ინტერვიუს მოკლე ვერსია გადაიცემოდა სახელმწიფო ტელევიზიით, მეორე დღეს კი იბეჭდებოდა პრესაში. პირველი ასეთი ინტერვიუ ღია ეთერში 1992 წლის 17 აგვისტოს, აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შესვლიდან მესამე დღეს, გავიდა. გარდა ზემოთ მოყვანილი ფაქტისა, რომ შევარდნაძე საბჭოს თავმჯდომარეობის პოსტიდან გადადგომით დაიმუქრა, მან პირველივე ინტერვიუში ხაზი გაუსვა იმას, რომ ემიჯნება შეიარაღებულ დაპირისპირებას. *"მე ამ ბოლო ხანს საკმაოდ ბევრს ვლაპარაკობ საქართველოს ერთიანობაზე, მაგრამ არ მინდა, რომ ეს ერთიანობა მიღწეული იყოს ცეცხლითა და მახვილით, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას თანხმობით, ქართველი ხალხის გამთლიანებით, გაერთიანებით და*

მეგობრობით საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხთან. მოლაპარაკება და გონიერება - აი, ეს არის ჩემი გზა."[25] ყოველკვირეული გამოსვლით ე. შევარდნაძე საზოგადოებას ერთგვარ ანგარიშს აბარებდა. საქართველოს მოსახლეობისთვის ეს სრულიად ახალი მიდგომა იყო. გაჩნდა განცდა, რომ შევარდნაძე თავს ვალდებულად თვლის, მიმდინარე პროცესებში საზოგადოება ჩართოს. ამ ნაბიჯმა ე. შევარდნაძეს ჩამოაშორა კომუნისტის და შესძინა მაქსიმალურად ღია დემოკრატის იმიჯი. ამას გარდა, საზოგადოების თვალში მოხდა ერთგვარი დისტანცირება შევარდნაძესა და დანარჩენ ქართველ პოლიტიკოსთა შორის. მძლავრად ამუშავდა "კონტრასტის პრინციპი". არსებულ ფონზე შევარდნაძე ერთადერთი გაწონასწორებული, ჭკვიანი და დემოკრატი პოლიტიკოსი იყო. ასევე - ყოველკვირეული რადიოინტერვიუს წყალობით სახელმწიფოს მეთაური ერთგვარად წარმართავდა კიდეც სამაუწყებლო მედიის საინფორმაციო პოლიტიკას.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამაუწყებლო მედიის საინფორმაციო ბადის დღის წესრიგს ქვეყანაში არსებული სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო არადემოკრატიულ ქვეყნებში თავად ის მედია განსაზღვრავს, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკას ატარებს. საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით კი შევარდნაძემ ერთგვარი ოქროს შუალედი მოძებნა. მან თავი აარიდა სამაუწყებლო მედიაზე პირდაპირ ზეწოლას და მათთვის დღის წესრიგის დადგენას. თუმცა სახელმწიფოს მეთაურის მიერ ყოველკვირეულ რადიოინტერვიუში მისი განცხადებების სიმწვავის მიხედვით წამოწეული თემები აბსოლუტურად ბუნებრივად ხდებოდა სამაუწყებლო მედიის საინფორმაციო საშუალებების ბადის განმსაზღვრელი. ამას გარდა, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამუშავდა "კონტრასტის პრინციპი", რასაც ხელს უწყობდა პირდაპირი ეთერით პარლამენტის სხდომების ტრანსლირება. ტელევიზიით სესიების ყურება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ერთ-ერთი მთავარი თავშესაქცევი სანახაობა გახდა. ანეკდოტები, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, პატრიოტული და ფსევდოპატრიოტული გამოსვლები - ეს საქართველოს პარლამენტის ყოველდღიურობა იყო. მაყურებლისთვის

[25]შევარდნაძე ე., რადიოინტერვიუ ონიანი, ნ., სსმ-ს პირველი რადიოს არქივი, 17 აგვისტო, 1992

პლენარული სხდომები ერთგვარ რეალურ შოუდ იქცა, რამაც კანონმდებლები მაყურებელთა უმრავლესობისთვის ე.წ. "საპნის ოპერის" ვარსკვლავებად აქცია, ედუარდ შევარდნაძე კი - განსაკუთრებით ამ ფონზე, ერთადერთ პოლიტიკოსად, რომელიც ხან შეფარულად, ხან პირდაპირ ემიჯნებოდა არასერიოზულ გარემოს, რითიც მუდმივად ხაზს უსვამდა მის, როგორც პოლიტიკურ ფიგურასა და პარლამენტის დანარჩენ წევრებს შორის პროფესიულ სხვაობას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ე. შევარდნაძე არა მოსახლეობის, არამედ სწორედ პარლამენტის ამ შემადგენლობის მიერ იყო არჩეული თავმჯდომარედ და სახელმწიფოს მეთაურად. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო მეთაურის პრიორიტეტი ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა იყო, რის შემდგომაც შევარდნაძე პოზიციებს გაიმყარებდა და უკვე დე იურე ხალხის რჩეული, საბოლოოდ შეძლებდა ჩამოშორებოდა მათ, ვინც ის ქვეყნის სათავეში მიიყვანა. მიზნის აღსრულებას ერთი საპარლამენტო ციკლის დასრულება სჭირდებოდა. შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაურს 3 წლის განმავლობაში უნდა "აეტანა" და გარკვეულწილად ანგარიშიც გაეწია არსებული დეპუტაციისთვის, თუმცა შევარდნაძემ მოვლენების ხელოვნურად დაჩქარება დაიწყო. 1993 წლის 14 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომა დაძაბულად დაიწყო. უნდა განეხილათ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების საკითხი. თითქოს ყველა გავლენიანი პარტია შეთანხმდა, მაგრამ ზოგიერთი ოპოზიციური ძალის წინააღმდეგობის გამო, დისკუსია მაინც გარდაუვალი იყო. ჯაბა იოსელიანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის ურთიერთობამ "ცივი ომის" სახე შეიძინა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მეთაურმა თემურ ხაჩიშვილი ("მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი) გაათავისუფლა შინაგან საქმეთა მინისტრობიდან. ამ ფაქტით გაღიზიანებული ჯ. იოსელიანი პარლამენტის სხდომაზე პირდაპირ გამოვიდა შევარდნაძის იდეის (შემოეღო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა) წინააღმდეგ. მან ასევე მიანიშნა, რომ შევარდნაძე და გამსახურდია ერთნაირად აზროვნებდნენ და იდენტური მენტალიტეტი ჰქონდათ. მისი "თეორიის" დასადასტურებლად იოსელიანმა განაცხადა, რომ, როდესაც მოსკოვში 1991 წლის 19 აგვისტოს გადატრიალება მოხდა, მთელ მსოფლიოში მხოლოდ ორმა ადამიანმა თქვა - ეს თავად გორბაჩოვის მოწყობილიაო. ერთი ზვიად

გამსახურდია იყო, მეორე - ედუარდ შევარდნაძე. იოსელიანის გამოსვლის შემდეგ ტრიბუნასთან შევარდნაძე მივიდა: *"აღარ გამოვა საგანგებო მდგომარეობა, ბატონი ჯაბას გამოსვლის შემდეგ აღარ გამოვა. გუშინწინ დასავლეთ საქართველოში მხედრიონელებს შევხვდი. წესიერად აღარც დამელაპარაკნენ. თუ ასეა, თუ ასე გინდათ, დაე იყოს თქვენებურად, ამ წუთიდან შევარდნაძე გადამდგარია! შენ კი, ჯაბა იოსელიანო, რა მთელ მსოფლიოში მე ვთქვი მხოლოდ? ამას როგორ მიბედავ?!"* იოსელიანი ადგილიდან წამოხტა: "*რას ჰქვია გიბედავ, რას ჰქვია გიბედავ?!"* მივიდა ტრიბუნასთან, თუმცა შევარდნაძემ ხმამაღლა უყვირა – *"მე თქვენ არ მოგისმენთ!"* და სხდომათა დარბაზიდან გავიდა. დარბაზის დატოვებისას მან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: *"ჩემს გადაფურთხებულს აღარ ავლოკავ - არ გეგონოთ მსოფლიოში მოგზაურობას და ლექციებით ფულის გროვებას ვაპირებ, თბილისიდან არსადაც არ წავალ"*. სწორედ ეს განცხადება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ჯ. იოსელიანი შეგნებულ - წინასწარ გათვლილ პროვოკაციაზე წამოაგო. შევარდნაძის სიტყვებით ნათელი ხდება, რომ ის არ აპირებს გაქცევას და უკიდურეს შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნების მეშვეობით - დაბრუნდება ქვეყანის სათავეში, ოღონდ იოსელიანის და დანარჩენთა გარეშე. იოსელიანისთვის პოლიტიკური გადარჩენის ერთადერთი ვარიანტი შევარდნაძის დაყოლიება იყო – შეეცვალა გადაწყვეტილება, რასაც იოსელიანი მალევე მიხვდა. შევარდნაძის კაბინეტთან დეპუტატებმა, პარლამენტის წინ კი ხალხმა დაიწყო შეკრება. რუსთაველზე მისულ მოსახლეობას ედპ-ს ერთ-ერთი ლიდერი, ირინა სარიშვილი ხელმძღვანელობდა. იგი იმ დროს უკვე მთავრობის ვიცე-პრემიერი იყო. იმპროვიზირებულ მიტინგზე მან შეკრებილებს უთხრა, რომ მთავრობა გადადგება, თუ სახელმწიფოს მეთაური არ განაახლებს მოვალეობის შესრულებას. მანვე მოუწოდა შეკრებილებს, ჩამჯდარიყვნენ ადგილზე და არ დაშლილიყვნენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში შენახულია კადრები, სადაც, ცუდი ხარისხის მიუხედავად, ნათლად ჩანს, რომ პარლამენტის წინ ხალხის საკმაოდ დიდი რაოდენობაა შეკრებილი (მიტინგის ნაწილი პირდაპირი ეთერის საშუალებით გადაიცემოდა). გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი იოსელიანი შევარდნაძეს შეხვდა. პარლამენტში საქართველოს პატრიარქიც

მივიდა. კონსულტაციების შემდეგ პატრიარქმა და სახელმწიფოს მეთაურმა, რომელმაც გადაწყვეტილება შეცვალა, ქუჩაში შეკრებილ მოსახლეობას მიმართეს. *"ბატონო ედუარდ, დღეს თქვენ დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ ღვთისაგან და ჩვენი ერისაგან. ამიტომ თქვენ არ შეგიძლიათ გადადგეთ, გადაუდგეთ საქართველოს, ეს შეუძლებელია! მთელი საქართველო ღელავს, ამიტომ მე უფლება მაქვს, როგორც საქართველოს სულიერ მამას და პირადად თქვენს სულიერ მამას, მოგცეთ ლოცვა-კურთხევა, რომ მთელს საქართველოს განუცხადოთ, რომ თქვენ რჩებით საქართველოს მეთაურად"*[26]. პატრიარქის ამ მიმართვას მომიტინგეთა ტაში მოჰყვა. ედუარდ შევარდნაძემ კი მადლობა გადაუხადა პატრიარქს და შეკრებილ საზოგადოებას. აპლოდისმენტებისა და კმაყოფილი შეძახილების ფონზე მან განაცხადა: *"ხმა ღვთისა და ხმა ერისა"*, გადაეხვია პატრიარქს და შეცვალა გადაწყვეტილება. ამ ერთგვარი ავანტიურისტული ნაბიჯით ე. შევარდნაძემ დააფიქსირა, რომ, მართალია, დე იურე ის სახელმწიფოს მეთაურად პარლამენტმა აირჩია, მაგრამ დე ფაქტო - ეს ერის არჩევანია. გადადგომის მუქარით სახელმწიფოს მეთაურმა პირველი დიდი დარტყმა მიაყენა მხედრიონს ისე, როგორც მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, რომელმაც თვალნათლივ დაინახა, რომ არჩევნის წინაშე მყოფი საზოგადოება – ან შევარდნაძე, ან დანარჩენი პოლიტიკური ისთაბლიშმენტი - ირჩევს შევარდნაძეს, რომელმაც მეთოდური პროპაგანდისტული მუშაობით, ყოველკვირეული რადიოინტერვიუებით, გაწონასწორებული პოლიტიკური განცხადებებით, მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციით, პოლიტიკური ალღოს და გამოცდილების დემონსტრირებით, იმ ფონზე, რაც ხდებოდა საქართველოს პარლამენტში და რაც სრულად გადაიცემოდა სამაუწყებლო მედიით, შევარდნაძე საზოგადოებისთვის სტაბილურობის გარანტი გახდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც აფხაზეთის ომის შემდგომ მეტად გაძლიერდა და საზოგადოების მეტი პატივისცემა დაიმსახურა, ედუარდ შევარდნაძე იყო. სხვა, თითქმის ყველა პოლიტიკურად აქტიური სუბიექტი, ვინც ომში იყო ჩართული, მეტ-ნაკლებად კომპრომეტირებული იყო. *"ედუარდ*

[26] https://www.youtube.com/watch?v=LkQADVboi0U

შევარდნაძე მაშინაც კი, როცა ის მარცხდებოდა, გამარჯვებული იყო."[27] ასე აფასებს მისი შვილი, პაატა შევარდნაძე მამის მოღვაწეობას. მართლაც, წაგებული ომის მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაური გამარჯვებული იყო. მისი იმიჯის ამაღლება სწორედ მედიაკამპანიამ განაპირობა. მართალია, საქართველოს ხელისუფლებას კონკრეტული საინფორმაციო ომის სტრატეგია არ ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ შევარდნაძე საკუთარ იმიჯზე მუშაობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი მოქმედება-გადაწყვეტილებები, ე.წ. დაბალანსების პოლიტიკა და ის, თუ როგორ შუქდებოდა ეს შემდგომში ქართული მედიის მიერ, არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი ხელისუფლების გამყარების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. არსებობს ვერსია, რომ აფხაზეთის ომი სწორედ ე. შევარდნაძის ინიციატივაა, რასაც ხელი უნდა შეეწყო მისი მმართველობის გაძლიერებისთვის. *"მიზანი ამ გადაწყვეტილების და მოტივი (აფხაზეთში ჯარის შეყვანის) შესაძლოა იყო ის, რომ შეცვლილიყო საზოგადოებრივი განწყობა. კერძოდ სამოქალაქო ომის განწყობა შეცვლილიყო სამამულო ომის განწყობით".*[28] თუკი ამ ვერსიას დავეთანხმებით, მაშინ ცხადი ხდება, თუ რატომ კეთდებოდა მედიის მიერ აქცენტები სწორედ ჩეჩენ მებრძოლებზე. ამას გარდა, რატომ საუბრობდა ქართული მედია ღალატზე ექს-პრეზიდენტისა და მისი მომხრეების მხრიდან 1993 წლის შემოდგომაზე და თითქმის არ საუბრობდა იმის შესახებ, რომ შევარდნაძის მიერ გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულება და სამხედრო ტექნიკის სოხუმიდან გაყვანა შეცდომა იყო. ქართული მედია არც იმის შესახებ საუბრობდა, რომ სოხუმის დაცემის დღის წინ შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო. სახელმწიფოს მეთაურმა რუსეთის პრეზიდენტს, ბორის ელცინს წერილი 1993 წლის 26 სექტემბერს მისწერა: *"გაცნობებთ, რომ უკვე მივიღე გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შესახებ. ჩვენ თანახმა ვართ, შევიყვანოთ კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამხედრო ნაწილები, რაც შემოგვთავაზა გენერალმა გრაჩოვმა სოჭში."*[29];

[27]სსმ-ის არქივი 13 ივლისი, 2014 წ.
[28]თ.ჩაგელიშვილი, "© Rustavi 2" დოკ.ფილმი "სოხუმის უკანასკნელი დღე".
[29] http://ghn.ge/news-74151.html

ბარათის სრული ტექსტი მხოლოდ მისი პრეზიდენტობის შემდგომ გამოქვეყნდა. ქართული მედიით კი 1993 წლის სექტემბრიდან-6 თვის განმავლობაში კეთდებოდა აქცენტები იმის შესახებ, რომ დსთ-ში შესვლა ქვეყნისთვის ფინანსურად მომგებიანია. ამას გარდა, ქართული მედიისა თუ "მედიატორების" საშუალებით მუშავდებოდა ე.წ. "შეთქმულების თეორიაც". უფრო კონკრეტულად კი, მეთოდურად ეშვებოდა "საცდელი ბურთები", რის საშუალებითაც თანდათანობით იცვლებოდა მოსახლეობის დამოკიდებულება, ხორციელდებოდა საზოგადოების ერთგვარი შეგუება, ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში მისი პოზიტიური (ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლის) პერსპექტივის ილუზიის შექმნა. ასევე ინერგებოდა შიშიც. მედიის მიერ სხვადასხვა ინტერპრეტაციით მუშავდებოდა სქემა, რომლის მიხედვითაც დსთ-ზე უარის თქმის შემთხვევაში,არსებობდა საქართველოს ორ ნაწილად გაყოფის რეალური საშიშროება. კერძოდ კი, საქართველოს ხელისუფლების მიერ დსთ-ში საქართველოს ჩართვის საწინააღმდეგო პოლიტიკის დაცვის შემთხვევაში, რუსეთის პირდაპირი თუ შენიღბული ხელშეწყობით, ზვიად გამსახურდიას მომხრეები დაიკავებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს, რაც ნიშნავს საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას: დასავლეთ საქართველოში, ცენტრით ქუთაისი, დამკვიდრდებოდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, აფხაზეთის სეპარატისტებთან შესაძლო კონფედერაციულ კავშირში. აღმოსავლეთ საქართველოში, ცენტრით თბილისი, შენარჩუნდებოდა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება, ხოლო რუსეთის არმიის კონტროლქვეშ ჯავა-ყორნისი-ხაშური-ბორჯომი-ახალციხის ხაზის გასწვრივ ჩამოყალიბდებოდა ბუფერული ზონა, რითაც რუსეთი მიიღებდა სომხეთთან მის დამაკავშირებელ, სტრატეგიულად დაზღვეულ საკონტაქტო დერეფანს. ამავდროულად, მედიასაშუალებები ახსენებდნენ საზოგადოებას, რომ ე. შევარდნაძე იყო პირველი, რომელმაც დსთ-ს მკვდრად შობილი წარმონაქმნი უწოდა. ასევე, ხაზს უსვამდნენ ფაქტს, რომ რუსეთის მხრიდან არაერთი შეთავაზების მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაური მეზობელ ქვეყანას ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე ღიად უარს ეუბნებოდა. პირველი ე.წ. "საცდელი ბურთი" 1993 წლის 28 სექტემბერს თავად შევარდნაძემ გაუშვა. *"27 სექტემბერს, დღის 13 საათზე ქალაქ სოხუმს შემოესივნენ*

კბილებამდე შეიარაღებული რუსი, ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკები, რომლებმაც ტანკებით და ჯავშნიანი მანქანებით დაიკავეს დღეს სოხუმი. ამ მორიგ ბარბაროსულ აქციას ამჯერად წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის დროებით შეწყვეტისა და მოლაპარაკების დაწყების შესახებ. სოხუმის დამპყრობლებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ასობით ადამიანი, დაანგრიეს და დაწვეს სახლები, საცხოვრებელი უბნები, ქალაქის მოსახლეობის მთლიანი ევაკუაცია არ მოხერხდა, მათი სიცოცხლე საფრთხეშია. მრავალტანჯული საქართველო კიდევ ერთი ტრაგედიის ობიექტი გახდა. აფხაზეთში უმოწყალოდ ნადგურდება ქართველი მოსახლეობა. საქართველო დამარცხდა უთანასწორო ძალებთან ომში, რომელიც ერთი დიდი სახელმწიფოს მინისტრის ენით რომ ითქვას, გაჩაღდა ამ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების უზრუნველსაყოფად საქართველოში. სწორედ იმპერიული ძალების მიერ არის ინსპირირებული აფხაზეთის კონფლიქტი, რის შედეგადაც აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ოკუპირებულია. სოხუმის გადარჩენა შეიძლებოდა ჯერ კიდევ გუშინ, ეს შეეძლო მხოლოდ რუსეთს – ასეთი თხოვნით მივმართეთ მოსკოვს, გავუგზავნე თანხმობის დეპეშა რუსეთის ხელმძღვანელობას, საქართველოს „სნგ“-ში შესვლის თაობაზე, რომლის წინააღმდეგი ვიყავი ბოლო დრომდე. ფაქტობრივად საქართველომ დაიჩოქა. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა, სამწუხაროა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გარეშე ძალათა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინაშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი. მოვა დრო და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. სოხუმის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ გარეშე ძალამ კარგად გაითამაშა მოღალატის კოზირი. მე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად შეძრწუნებული ვარ მომხდარით. იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად. ვერ შევძელი. დაე, მაპატიონ თანამედროვეებმა და შთამომავლობამაც”[30]. შევარდნაძის მიმართვის შემდგომ საზოგადოების ნაწილმა გადაწყვიტა, რომ, რადგან სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან დათმობას შედეგი არ ჰქონია, დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, თუმცა ეს პროცესის მხოლოდ დასაწყისი იყო. 6 თვის განმავლობაში

[30]შევარდნაძე ე., მიმართვა. სსმ-ის არქივი. 28, სექტემბერი 1993.

ე.წ. მედიატორები ტელევიზიის საშუალებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. საბოლოოდ იმ ადამიანთა წყალობით, ვინც საქართველოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ სხვა გზა, სხვა ალტერნატივა საქართველოს არ აქვს. 1994 წლის პირველ მარტს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, სადაც ქვეყნის თანამეგობრობაში გაწევრიანებას დეპუტატებმა კენჭი უყარეს (მოსახლეობა ტრადიციულად ტრანსლაციას თვალს ადევნებდა), ტიტულოვანი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი პარლამენტარები მოსახლეობის გასაგონად კიდევ ერთხელ საჯაროდ ასაბუთებდნენ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას. ელდარ შენგელაიას, ჯანსუღ ჩარკვიანის და ა.შ. გარდა - სიტყვით მწერალი დეპუტატი ჭაბუა ამირეჯიბიც გამოვიდა, რომელიც სხვებისგან განსხვავებით, სიტყვას იშვიათად ითხოვდა. *“ქალბატონებო და ბატონებო, შევეცდები ძალიან მოკლედ გამოვთქვა ჩემი აზრი ამ პრობლემის გარშემო. უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვთქვა კმაყოფილება დღევანდელი პარლამენტის სხდომის მსვლელობის გამო. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. როგორც იტყვიან, გამოჩნდა ცისფერი და შავი, თეთრი და შავი (ხმაური დარბაზში). საქართველოს წინაშე ყოველთვის იდგა პრობლემა და დღესაც დგას. ვისთან, ვისი მფარველობის ქვეშ იყოს საქართველო. ასე იყო მთელი ისტორიის მანძილზე და დამსწრე საზოგადოებას პატიებას ვთხოვ, რომ ეს მას შევახსენე. მე აქ ერთხელ გამოვედი და ვთქვი, რომ რუსეთისაგან ღალატის მეტი ჩვენ არაფერი არ გვინახავს. დავიწყე 1773 წლიდან, მოვედი 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევამდე. მაგრამ ჩემი გამოსვლა მაშინ მე დავამთავრე ასე: სხვა გზა, სხვა ხსნა არ არსებობს. ალტერნატივა არ არის. აქ ვიღაცამ თქვა, რომ ომის მდგომარეობაში ვართო, თუ ომი დავიწყოთო, თუ რაღაცა ასეთი. ე.ი. ომი არ არის ოლიმპიური თამაშები, - ერთ-ერთმა დეპუტატმა თქვა აქ, - რომელშიც მთავარი იყოს მონაწილეობის მიღება. რა გამოვა იმ ომიდან, ყველას მოგვეხსენება ძალიან კარგად. რაც შეეხება იმას, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ბატონი ედუარდის ნიუ-იორკში წასვლამდე, მე მაგალითად ამას ვასაბუთებ ასე - "სნგ"-ში შესვლა მისცემს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ ვეტოს უფლების მქონე პირს, რუსეთის*

წარმომადგენელს, მისცემს საშუალებას მხარი დაუჭიროს უშიშროების საბჭოს ისეთ დადგენილებას, რომელიც ჩვენი სასარგებლო იქნება. ახლა... (ხმაური დარბაზში) რაც შეეხება წესდებასთან შეერთებას, კერძოდ ამ საკითხს. მე დღეს არ მეგულება არცერთი ნორმალური სახელმწიფო თავისი ჭკუათმყოფელი პარლამენტით, რომ რომელიმე გაერთიანების წევრი არ იყოს. ვერაფერ ტრაგიზმს მე ვერა ვხედავ იმაში, რომ "სნგ"-ს გაერთიანებაში შევიდეთ. რაც შეეხება დადებით მხარეს ამ ნაბიჯისა, მე ბევრს ვხედავ და ბევრი იყო ნათქვამი და აღარ გავიმეორებ. მაგრამ მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რაც აქ ითქვა უკვე. ი, უარი ვთქვით ჩვენ და არ შევედით, არ მოვაწერეთ ხელი ამ ხელშეკრულებას, რა იქნება მერე? ამას დავუფიქრდეთ კარგად (ყვირილი დარბაზში). რამდენიც არ უნდა იყვიროთ, მე ისეთი კაცი ვარ, რომ ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი, იყვირეთ რამდენიც გინდათ. საერთოდ მე ვთვლი, რომ უკვე ყველაფერი ნათქვამია, ალბათ საჭირო შევწყვიტოთ კამათი და ვუყაროთ კენჭი ამ საკითხს. გმადლობთ"[31]. ასეთი რეალობის შექმნის შემდეგ ქართული საზოგადოების უმრავლესობა, რომელიც დსთ-ში ქვეყნის გაწევრიანების პრინციპული წინააღმდეგი იყო, შეეგუა სიტუაციას და, რაც მთავარია, არ ჰქონდა აგრესია ე. შევარდნაძის მიმართ. მითუფრო, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების პარალელურად შევარდნაძე ქმნის ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას – "მოქალაქეთა კავშირი" და აცხადებს, რომ ის დასავლურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. მეტიც, მის პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე თბილისში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ჩამოდის. ამ შემთხვევაში, ე. შევარდნაძე ორმაგ სტანდარტებს, ე.წ. დაბალანსების პოლიტიკას "ნახევრად სიმართლის" მეთოდის წყალობით აღწევს. ის საჯაროდ საუბრობს რუსეთის მტრული ქმედებების შესახებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამო, თუმცა იქვე ქმნის ილუზიას ე.წ. ორი რუსეთის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი 1994 წელს იტალიური რადიოსთვის მიცემული ინტერვიუა, რომელიც სრულად დაიბეჭდა პრესაში და გაშუქდა სამაუწყებლ მედიითაც:

[31] http://droni.ge/?m=3&AID=5413

კორესპონდენტი - *"თქვენ გარკვეულად პასუხს სთხოვდით რუსეთის მთავრობას, განსაკუთრებით სოხუმში ყოფნის დროს, აგვისტო-სექტემბერში, როცა აფხაზებმა ქალაქს შემოუტიეს, პასუხს სთხოვდით რუსეთის მთავრობას. ე. ი. პირადად ელცინს, რომლისგანაც საქართველოს დასაცავად ადეკვატურ მხარდაჭერას ვერ გრძნობდით".*

შევარდნაძე: - *"ჩემი აზრით, ელცინმა ვერ შეძლო სიტუაციის გაკონტროლება, რადგან მაშინდელი უმაღლესი საბჭო დიდ წინააღმდეგობას უწევდა და დეპუტატების უმრავლესობა მხარს უჭერდა აფხაზთა ამ სეპარატისტულ მოქმედებას. ამ ხალხთან კონფლიქტში მყოფმა ელცინმა ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობის დაძლევა. ამ ორი ძალის დაპირისპირებამ წარმოშვა და განავითარა აფხაზეთის კონფლიქტიც".* სახელმწიფოს მეთაურმა იქვე დაამატა, რომ: *"შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსეთის დემოკრატები უნდა გაერთიანდნენ და მჯერა, გაერთიანდებიან კიდეც. გაერთიანდებიან იმისთვის, რომ ფაშიზმი არ გამოვიდეს არენაზე. თუ ისინი გაერთიანდებიან, ფაშიზმი ფეხს ვერ მოიკიდებს. თუ დემოკრატები ვერ გაერთიანდებიან და ფაშიზმი თავის პოზიციებს განიმტკიცებს, ეს იქნება საშინელება არა მარტო რუსეთისთვის, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვისაც. მაგრამ მჯერა, რომ ეს არ მოხდება. რუსეთმა ძალზე სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, როცა ახალი კონსტიტუცია მიიღო. იგი სერიოზულ გარანტიას ქმნის დემოკრატიისთვის და ეს კონსტიტუცია პრეზიდენტ ელცინს საშუალებას აძლევს, აღკვეთოს ფაშიზმი და დიქტატურა. ვფიქრობ, პრეზიდენტი ელცინი ამას გამოიყენებს. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს, დიდ იმედებს ვამყარებთ. მან კიდევ უფრო აქტიური პოზიცია უნდა დაიკავოს განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიც ეთნოკონფლიქტებია. უშიშროების საბჭოს ეს შეუძლია გააკეთოს"*[32]. ეს არ არის ერთეული შემთხვევა. რუსეთზე საუბრისას"ნახევრადსიმართლე" სახელმწიფოს მეთაურის ძირითადი ხაზია. "პროდასავლური" "მოქალაქეთა კავშირი" კი სწორედ იმ პერიოდში ყალიბდება, როდესაც საქართველო დსთ-ში წევრიანდება. მაშინ, როდესაც 1993 წლის სექტემბერში შევარდნაძე საქართველოში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და

[32]გაზ. „საქართველოსრესპუბლიკა", 6 იანვარი, 1994. 4(807). - 1,2 გვ.

ეკონომიკური ვითარების მომიზეზებით. იმავე წელს, 29 სექტემბერს, იმჟამინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ოთარ ფაცაცია გამოსცემს განკარგულებას (№729), რომლის მიხედვითაც, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში, დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების მიზნით, საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მალე საქართველოს მოსახლეობისთვის ცნობილი ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება - "მოქალაქეთა კავშირი", ორგანიზაციის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების ვინაობაც: თავმჯდომარე - ოთარ ფაცაცია. მოადგილეები:როინ მეტრეველი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი); გოგი ქათამაძე (ცეკავშირის თავმჯდომარე); ავთანდილ იოსელიანი (უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელი). 1993 წლის 21 ნოემბერს კი საზოგადოებრივი მოძრაობა "მოქალაქეთა კავშირი" პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა.მეორე დღეს სახელმწიფოს მეთაურიტრადიციულ რადიოინტერვიუში კიდევ ერთ განმარტებას აკეთებს: *“მოქალაქეთა კავშირი არის ორგანიზაცია, რომელიც ახლა მოდის აღმშენებლობის ტალღაზე, უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ამ კავშირმა ჩვენს ქვეყანაში აღმშენებლობის ტალღა უნდა ააზვირთოს. ამით განსხვავდება იგი სხვა პარტიებისა და პოლიტიკური მოძრაობებისგან, მისი უმთავრესი ამოცანა აღმშენებლობითია და ამით იწყებს თავის ცხოვრებას. ეს დროებითი, პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი გადაწყვეტილება არ არის, ჩემი აზრით, იგი ისეთი ორგანოა, რომელიც დიდხანს იმოღვაწეებს, იცხოვრებს, იცოცხლებს და იმუშავებს საქართველოს საკეთილდღეოდ. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი - არის დღევანდელი და (თუ) მომავალი ხელისუფლების პოლიტიკური საფუძველი. ამ პოლიტიკური ძალის მოქმედების არეალი მთელი საქართველოა. მისი საზურუნავიამოქალაქე, პიროვნება და არა პარტიები. ეს არის კავშირის გენერალური ხაზი და მისი უმთავრესი ამოცანა. ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მრავალრიცხოვანი იქნება. დღეს ვიკრიბებით კავშირის ხელმძღვანელი ბირთვი და, ვფიქრობ, მხარს დამიჭერენ კოლეგები, თუ დავაწესებთ პარტიის კოლექტიური წევრობის კატეგორიასაც, ცალკეული კოლექტივების შემოსვლას ამ კავშირის შემადგენლობაში. უკვე ათობით წერილი გვაქვს გიგანტური კოლექტივებისაგან,*

რომლებსაც სურთ გახდნენ კავშირის კოლექტიური წევრი. ასე რომ, ეს მართლაც დიდი ძალა იქნება, რომელიც, ვიმეორებ, დღევანდელი და მომავალი ხელისუფლების პოლიტიკური ძალა გახდება. როცა დასავლურ ორიენტაციაზე ვლაპარაკობთ, ამაში განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი აზრი არ არის ჩადებული. უპირველეს ყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციის საფუძველია დემოკრატიული ღირებულებანი, დემოკრატიული ფასეულობანი და როცა დემოკრატიულ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებზე ვლაპარაკობთ, დასავლეთის ორიენტაციას ვუსვამთ ხაზს, რადგან დემოკრატიამ უფრო მეტად ფეხი დასავლეთში აიდგა, ჩვენი კავშირი სწორედ ამ ფასეულობებზე აგებული ძალა იქნება. ერთ-ერთი უმთავრესი გზა ის სტრუქტურები იქნება, რომელთა მეშვეობითაც თავის დროზე საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ისე, როგორც ეს არის, გამოკვეთილი დასავლეთის პარტიებსა და ინსტიტუტებში, არჩევნებში გამარჯვება თვითმიზანი როდია, ეს კავშირს დასჭირდება იმისთვის, რომ უკეთ დაიცვას საქართველოს მოქალაქეთა ინტერესები. რაც შეეხება ეკონომიკას, ეს არის რეალური რეფორმების გზა და ჩვენ ამ გზას მივყვებით. ამ გზით წავიდა თავის დროზე დასავლეთის ბევრი, დღეს უკვე აყვავებული ქვეყანა"[33].პოლიტიკურიორგანიზაციისპრეზენტაციამოგვიანებით, 1994 წლისმარტში, "მოქალაქეთაკავშირის" პირველყრილობაზეშედგა. ყრილობამპარტიისთავმჯდომარედსახელმწიფოსმეთაურიდაპარლამენტისთავმჯდომარეედუარდშევარდნაძეაირჩია. გენერალურმდივნადკი - ფართოსაზოგადოებისთვისნაკლებადცნობილიპოლიტიკურისახეზურაბჟვანია("მწვანეთა" პარტიიდან). პოლიტოლოგთაუმრავლესობამიიჩნევს, რომახალგაზრდებისგუნდიზ. ჟვანიასმეთაურობითშევარდნაძეს "მოქალაქეთაკავშირისთვის" დემოკრატიულიდაეროვნულიელფერისშესაძენადსჭირდებოდადაარამათიაზრისგასათვალისწინებლად. ამნაბიჯითსახელმწიფოსმეთაურმა,პრაქტიკულად,წინასაარჩევნოკამპანიადაიწყო. პარალელურადისმუშაობდაკონსტიტუციაზე,

[33]სსმ-ის არქივი, რადიოინტერვიუ 22 ნოემბერი 1993.

რომელიცქვეყნისკვლავსაპრეზიდენტომმართველობაზეგადასვლასგულისხმობდა. ამიტომ,სახელმწიფოსმეთაურიყველახერხითცდილობდასაკუთარიუალტერნატივობ ისხაზგასმას. როგორცზემოთაღვნიშნეთ, გამსახურდიასხელისუფლებისდამხობამდეოპოზიციისძირითადიმოთხოვნასაპრეზი დენტომმართველობისგაუქმებაიყო, რადგანიმპერიოდისოპოზიციისერთ-ერთიარგუმენტით, ძლიერიპრეზიდენტისინსტიტუტი, მითუფროისეთპატარაქვეყანაში, როგორიცსაქართველოა, ავტოკრატიისჩამოყალიბებასუწყობსხელს. პარლამენტისსხდომებისტრანსლირება, მედიისგახსნაყველაპოლიტიკურიძალისთვის -ესე. შევარდნაძეს - დემოკრატიულობისიმიჯისგარდა - უქმნიდაშესანიშნავფონს“კონტრასტისპრინციპის”ასამუშავებლად. შევარდნაძე, მართლაც, უალტერნატივო იყო. ამას ხაზგასმით მასმედიის საშუალებით მუდმივად იმეორებდა ინტელიგენციის დიდი ნაწილი ისე, როგორც მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ელფერის მქონე პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები. ახალგაზრდა პოლიტიკოსთა საშუალებით, ქართული მედიით, მეთოდურად იქმნებოდა სახელმწიფოს მეთაურის კულტი. *“შევარდნაძის ჭეშმარიტად რეფორმატორული, ლიბერალური დემოკრატიისკენ ორიენტირებულ ძალებს ალტერნატივა არ გააჩნია. მისი ალტერანტივა შეიძლება იყოს ან საყოველთაო ქაოსი და ჩვენი ჩანასახოვანი სახელმწიფოებრიობის საბოლოო გაცამტვერება, ანდა ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება. შევარდნაძე ჩვენთვის არ არის უბრალოდ სახელმწიფოს მეთაური. ჩვენ მას აღვიქვამთ, როგორც ადამიანს, რომელმაც განუმეორებელი როლი უნდა შეასრულოს ისტორიაში და შევიდეს მასში, როგორც ახალი ქართული დემოკრატიის, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ჭეშმარიტი ფუძემდებელი. მან თავის ქვეყანაში ის როლი უნდა ითამაშოს, რომელიც თავიანთ ქვეყნებში შეასრულეს ჯეფერსონმა, დე გოლმა თუ ათა თურქმა. შევარდნაძე ჩვენთვის პოლიტიკურ ფიგურაზე უფრო მეტია. მე ვიტყოდი, იგი ჩვენი პოლიტიკური მოძღვარია, რომელიც ცდილობს, დაამკვიდროს ჩვენთან ზნეობრივი პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც დასავლური დემოკრატიის იდეალებს და ღირებულებებს*

ეფუძნება”[34].ესარისნაწვეტიზ. ჟვანიასმიერ "ჯორჯიანთაიმსისთვის" 1994 წელსმიცემულიერთ-ერთიინტერვიუდან.

ქართულსამაუწყებლოთუბეჭდვითმედიაშიამტიპისეპითეტებითსახელმწიფოსმეთაურისშემკობადაშევარდნაძისგაიგივებასხვაქვეყნებისნაციონალურგმირებთანმუდმივ ხასიათსატარებდა. ნახევრადსიმართლე, კონტრასტისპრინციპიდაგამეორება – ესიყოშევარდნაძისპროპაგანდისტულისქემისწამყვანიხაზი 1993-დან 1995 წლამდე (არჩევნებამდე). ახალიპოლიტიკურისაყდენის – “მოქალაქეთაკავშირის” შეძენისთანავესახელმწიფოსმეთაურმაგადაწყვიტა,საბოლოოდჩაეჭრაკავშირიშეიარაღებულიგადატრიალებისშემოქმედებთან,

რამაცმისიავტორიტეტიმოსახლეობისუმრავლესობისთვისმეტადასწია. თ. კიტოვანსა და ჯ. იოსელიანთან ღია დაპირისპირება სახელმწიფოს მეთაურმა 1994 წლის ბოლოს დაიწყო. 1995 წლის 11 იანვარს კი უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის მეშვეობით ზესტაფონში თავდაცვის ყოფილი მინისტრი დააპატიმრეს უკანონო შეიარაღებული ფორმირების "ეროვნულ გამათავისუფლებელი ფრონტის" შექმნისთვის. გენერალურმა პროკურორმა ბრალი იმავე დღეს წაუყენა. კიტოვანის დაპატიმრება იყო სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური დემარში, რომლითაც მან დაიწყო გათავისუფლება 1991-93 წლების მემკვიდრეობისაგან არა მხოლოდ წმინდა პოლიტიკური ან სახელმწიფოებრივი, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. გაცილებით უფრო რთული ამოცანა იყო ჯაბა იოსელიანის და მხედრიონის განადგურება. იოსელიანის მიმართ ინტელიგენციის ნაწილი დადებითად იყო განწყობილი, შესაბამისად, ე. შევარდნაძე, რომლის დასაყრდენიც საზოგადოების სწორედ ეს ნაწილი იყო, იოსელიანთან მიმართებით ფრთხილად მოქმედებდა. 1995 წლის განმავლობაში ჯერ კახეთში, შემდეგ სამტრედიასა და ბორჯომში შევარდნაძემ ნაწილ-ნაწილ გაანადგურა “მხედრიონის” სამი მძლავრი დასაყრდენი, რის შედეგადაც ჯაბა იოსელიანის სამოქმედო ასპარეზი მნიშვნელოვნად შეიზღუდა. მხედრიონელებმა კი თავისმხრივ შევარდნაძის ფიზიკური განადგურებით მოინდომეს პრობლემის გადაჭრა. 29 აგვისტოს (1995). შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდგომ, სახელმწიფოს მეთაურს

[34]http://www.opentext.org.ge/index.php/index.php?m=28&y=2002&art=10359

მიეცა საშუალება, ღიად მიეტანა იერიში მხედრიონზე. ჯაბა იოსელიანი დისკრედიტებული აღმოჩნდა თვით იმ "ინტელიგენციის" თვალში, რომელიც მას ადრე ემხრობოდა და რომლის რეაქციასაც შევარდნაძე განსაკუთრებით ითვალისწინებდა, თუმცა იოსელიანი მხოლოდ არჩევნების შემდეგ დააპატიმრეს. აქაც იკვეთება ერთგვარი ტაქტიკური ნაბიჯი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ე. შევარდნაძის სტრატეგიის ხაზი მის უალტერნატივობაზე იყო აგებული, შესაბამისად, მუქი ფონი, არჩევნებში შევარდნაძის შესაძლო წაგების შემთხვევაში, მოსალოდნელი საშიშროება ამომრჩევლისთვის ჯაბა იოსელიანისა და მისი მხედრიონის სახით ხილული იყო. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის გარდამავალი დებულებებით განისაზღვრა 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების პირობები. მასში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა

იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისთვის. პროპორციული სიტემით არჩევნები ტარდებოდა ერთიანი პარტიული სიით. პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება ჰქონდა, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარედგინა დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც მის პარტიულ სიაშიც იყო. აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის გამო არ დანიშნულა არჩევნები, ამიტომ აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება გაუგრძელდა. აფხაზეთის წარმომადგენლობა შედგებოდა 12 დეპუტატისაგან. კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თანხმად, პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 დეპუტატით. 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული წესით. არჩევნებში მონაწილეობდა 53 პარტია. 5%–იანი ბარიერი გადალახეს:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 23.71% 504 586 ხმა (90 მანდატი)
2. ეროვნულ–დემოკრატიული პარტია 7.96% 169 218 ხმა (31 მანდატი)
3. აღორძინების კავშირი 6.84% 145 626 ხმა (25 მანდატი)

პირველ ტურში გამარჯვებულად მხოლოდ 32 მაჟორიტარი გამოვლინდა. 42 ოლქში კი, მათ შორის თბილისის ოლქებში, მეორე ტური გაიმართა.

1. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი 29 მანდატი
2. დამოუკიდებელი კანდიდატი 29 მანდატი
3. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 18 მანდატი
4. აღორძინების კავშირი 6 მანდატი
5. ეროვნულ–დემოკრატიული პარტია 3 მანდატი

პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ზურაბ ჟვანია. პარლამენტში შეიქმნა 9 ფრაქცია და 14 კომიტეტი. ფრაქციები: „ მოქალაქეთა კავშირი“ (თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი); „აღორძინება“ (თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე); „სახალხო“ (თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე); „ლეიბორისტი“ (თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი); „ედპ“ (თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია); „იმედი“ (თავმჯდომარე პეტრე ბერაია); „მაჟორიტარი-სოციალისტი“ (თავმჯდომარე იური ჩიხრაძე); „მამული“ (თავმჯდომარე ვახტანგ შამილაძე); „აფხაზეთი“ (თავმჯდომარე გერმანე ფაცაცია). შეიქმნა საპარლამენტო უმრავლესობა, რომელშიც გაერთიანდა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“, ფრაქცია „იმედი“ და ფრაქცია „მამული“. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გახდა ლანა ღოღობერიძე. ასევე შეიქმნა კოალიცია „ერთიანი საქართველო“. მასში გაერთიანდა ფრაქცია „აღორძინება“ და ფრაქცია „ლეიბორისტი“. კოალიციის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა ნათელაშვილი. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, კანონმდებლობის თანახმად, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებდა არჩევნებში მონაწილეთა 50%-ზე მეტის მხარდაჭერას. 5 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6-მა კანდიდატმა, შედეგები კი ასე გადანაწილდა:

1. ედუარდ შევარდნაძე 1 589 909 ხმა
2. ჯუმბერ პატიაშვილი 414 303 ხმა
3. აკაკი ბაქრაძე 3 350 ხმა
4. პანტელეიმონ გიორგაძე 10 697 ხმა
5. ქართლოს ღარიბაშვილი 10 023 ხმა
6. როინ ლიპარტელიანი 7 948 ხმა

ამ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა შევარდნაძის ხელისუფლების საბოლოო ლეგიტიმაციის პროცესი. ზემოთ მოყვანილი მოვლენების გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია შევქმნათ მარტივი პირამიდა, რომლიც მოსკოვიდან დაბრუნებული შევარდნაძის ძირითად ნაბიჯებს შიფრავს.



1995 წლის შემდგომ კი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა იოსელიანი-კიტოვანისა და ა.შ. სახით მეტოქეები ჩამოიშორა და მართვის სადავეები სრულად აიღო ხელში, დეკლარირებულად აიღო გეზი სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ; თუმცა ექსპერტთა შეფასებით, შევარდნაძისეული კეთილდღეობა კორუფციულ სქემაზე გადიოდა. *"„ცეკას" პირველი მდივანი შევარდნაძე ხელისუფლებაში მოვიდა კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით, იმ კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით, რასაც შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი შეებრძოლა. ამდენად, დაჭერების სერია, შიშის ზარი თან სდევდა „ცეკას" მდივან შევარდნაძეს. შევარდნაძემ იცოდა ის, რაც იცოდა კომუნისტების პერიოდიდან, ანუ იცოდა მართვის ბრეჟნევის სტილი. მართალია,*

კომუნისტების პერიოდში ის ჭექა-ქუხილით მოვიდა, მაგრამ შემდეგ ხომ სწორედ მის პერიოდში აყვავდა კორუფცია. შევარდნაძემ კორუფციასთან ბრძოლა გამოიყენა ტრამპლინისთვის, მაგრამ შემდეგ კორუფციაზე დაყრდნობით მართავდა ქვეყანას, ამიტომაც ქართულ პერიოდშიც იგივე სქემა გააგრძელა. მაგრამ შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ მან მიუშვა კორუფცია. მისგან ერთხელ გამოვიდა ერთი პიროვნება, არ დავასახელებ მის სახელს, გაკვირვებული იყო, იცი, რა მითხრა, დასავლეთს მიაჩნია, რომ პირველ პერიოდში კორუფციული ფენა უნდა ამოსწიო, მათ დააყრდნო მმართველობა და პირველი მილიონრები რომ გაჩნდებიან, შემდეგ ისინი თვითონ მოუვლიან ქვეყანასო, ამიტომ კორუფციას არ ვუყურებ ძალიან მკაცრადო. ასეთი წარმოდგენა ჰქონდა მას მართვაზე და მისი ამ წარმოდგენის მინუსი ის იყო, რომ ამით კოზირი მისცა თავის მეტოქეებს: კორუფცია რომ არ ყოფილიყო ქვეყანაში, მას ვერც ვერაფრით დაუპირისპირდებოდნენ რეფორმატორები და ვერც შარს მოსდებდნენ. ანუ, ფაქტობრივად, მართვის ამ ბრეჟნევისდროინდელ პრინციპს ემსხვერპლა შევარდნაძის იმიჯი და ამის შემდეგ უკვე დაიწყო რეფორმატორების ბრძოლა ხელისუფლებისთვის"[35].ამავეინტერვიუშიპოლიტოლოგირამაზსაყვარელიძე, რომელიც 1993-95 წლებშიპრეზიდენტშევარდნაძისპრეს-მდივანიიყო (მოგვიანებით 2003 წლისვარდებისრევოლუციისშემდგომპრეზიდენტსააკაშვილისმრჩეველი), აცხადებს, რომქართულიმედია, განსაკუთრებით 1995 წლისშემდგომ, თავისუფალიიყოწნეხისგან. *"მან (ე. შევარდნაძემ) კორუფცია მოადონიერა და მიუშვა. გარკვეული დაუდევარი დამოკიდებულება ჰქონდა იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ეს თავისებურებები ქმნიდა იმ „ზასტოის", რომლის გამომწვევით გაბრაზებას არ იწვევდა. ბრეჟნევი არ იწვევდა აგრესიას. ასევე, შევარდნაძეც „დარდუბალას" სახით ჩარჩა მეხსიერებაში და არა ბოროტი სატანისა. ბევრი რამით ჰგავს ეს „დარდუბალას" სტილი ბრეჟნევისდროინდელი „ზასტოის" სტილს. რაც შეეხება დემოკრატიული საქართველოს მმართველ შევარდნაძეს: ის იყო მაქსიმალურად რბილი, ფაქტობრივად, თავისუფლად მიუშვა მედია, ოღონდ არა იმიტომ, რომ თვითონ არ ჰქონდა რეაქცია, არამედ*

[35]რ. საყვარელიძე, ინტერვიუ. გაზ. "თბილისელები" 01.07.2013.

იცოდა, დემოკრატის იმიჯი გულისხმობს, რომ მედიას ხელი არ უნდა ახლო"[36].როგორცმედიამკვლევრები, ისეთავადჟურნალისტებისუმრავლესობა,ვინც 1995 წლიდანაქტიურადმოღვაწეობსპოლიტიკურჟურნალისტიკაში,ადასტურებს, რომშევარდნაძისმმართველობისბოლოპერიოდშიმედიამეტადთავისუფალიიყო, ვიდრევარდებისრევოლუციისშემდგომ. ამასვემოწმობს "თავისუფლებისსახლის" (Freedomhouse) ყოველწლიურიკვლევაპრესისთავისუფლების (FreedomofthePress), ხარისხისშესახებ. ორგანიზაცია 1980 წლიდანკვლევებსმსოფლიოსმასშტაბითყოველწლიურადატარებს, თუმცასაქართველოსმონაცემებიშეგიძლიათიხილოთ 2002 წლიდან (2002 წლამდეპერიოდიმხოლოდზოგადადაამიმოხილულიანგარიშებისსახით). მონაცემებიდაანგარიშებიშეგიძლიათიხილოთორგანიზაციისვებგვერდზე: http://freedomhouse.org/.ჟურნალისტი ინგა გრიგოლია კი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ *"ბატონ ედუარდთან ყოველთვის კორექტული ურთიერთობა მქონდა. რეალურად შევარდნაძის დროს, როცა მე დავიწყე მუშაობა, ტელევიზიებისთვის იყო თავისუფლების ხანა. სააკაშვილის პირობებში კი მოკვდა ეს ყველაფერი*"[37].მედიამკვლევარილ. კუტუბიძენაშრომში "2000-2005 წლებისქართულიპრესისძირითადისაზოგადოებრივ-პოლიტიკურიასპექტები", სადისერტაციონაშრომისპირველივეთავშიხაზსუსვამს, იმ გარემოებას, რომპროპაგანდისტულიწნეხის, პარტიულიდასახელმწიფოდიქტატისადაცენზურისაგანსიტყვისგათავისუფლებისთა ვდაპირველიეტაპიქართულმამედიამსაკმაოდწარმატებულადგანვლო. კვლევისდასკვნითნაწილშიკიაღნიშნავს, რომ*"ვარდების რევოლუციის" წინა პერიოდში (2002-2003წლები) პრესამ, საერთო ჯამში, საკმაოდ კარგად გაართვა თავი საზოგადოების სამოქალაქო აქტივობის გაზრდის ფუნქციას, დასავლური ორიენტაციისაკენ სწრაფვას; შესაძლოა, ზედმეტი ილუზიაც შეუქმნა თავისთავსა და საზოგადოებასაც, რომ ისინი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების "საქმის კურსში" არიან (დეტალებისა და კულუარული ჭორების ჩათვლით), მაშინ, როცა ეს "აისბერგის წვერი" იყო და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი პროცესები, არც თუ იშვიათად, წყალქვეშა*

[36]რ. საყვარელიძე, ინტერვიუ.გაზ. "თბილისელები" 01.07.2013.
[37] http://www.ambebi.ge/sazogadoeba/53393-ra-ver-apatia-inga-grigoliam-mikheil-saakashvils.html

მდინარეებით მიედინებოდა. პრესამ მოვლენებისთვის წინ გასწრებაც აიძულა საზოგადოებას (არ დაალოდა საარჩევნო როტაციას) და დიდი წვლილი შეიტანა "ვარდების რევოლუციაში". ამასთან, "ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში ერთგვარად დამუხრუჭდა ქართული მედიის განვითარების პროცესი"[38].სტაბილურობიდანკეთილდღეობისაკენმიმავალმაე.

შევარდნაძემმედიასთავისუფლებაუბოძა,თუმცაპირდაპირითუირიბიწნეხისამაუწყებლო(ისეროგორცბეჭდურ)მედიაზენაკლებად,მაგრამმაინცხორციელდებოდა. იყოშემთხვევები, როდესაცპრეზიდენტისმეუღლე, ნანულიცაგარეიშვილი-შევარდნაძე(ჟურნალისტი,გაზეთ "მშვიდობაყოველთას" დამფუძნებელი), ტელეკომპანიებშირეკავდადაეთერით გადაცემულისიუჟეტებისგამოუკმაყოფილებასგამოთქვამდა. მისერთ-ერთსატელეფონოსაუბარს, რომლისშინაარსიცტელეკომპანია"რუსთავი2"-ისპროგრამა "60 წუთის" ავტორმადაწამყვანმაა. გოგიჩაიშვილმაგანასაჯაროვა, მედიაშიაქტიურიგანხილვამოჰყვა. "*ნანული შევარდნაძე ნერვიულობდა, ორჯერ დარეკა და მემუქრებოდა კიდეც. მითხრა, ჩემს ქმარს ვინც დაუპირისპირდა, ყველამ კისერი მოიტეხაო*"[39]. მსგავსი და უფრო უხეში თავდასხმები ჟურნალისტებზე არ იყო უცხო, თუმცა შევარდნაძის მმართველობის პერიოდი მედიის, ისე როგორც სიტყვის, თავისუფლების მხრივ, როგორც მის წინამორბედ, ასე მის შემდგომ მმართველთან შედარებით მეტად დემოკრატიული იყო. თუმცა პრეზიდენტ შევარდნაძის ე.წ. უალტერნატივობის პროპაგანდისტული ხაზი მედიის საშუალებით კვლავ ხორციელდებოდა.

პროპაგანდის ახალი ტალღა მოიცავდა დოკუმენტურ ფილმებს, სატელევიზიო ფილმებსა და ვრცელ, პორტრეტული ნარკვევის თუ პორტრეტული ინტერვიუს ჟანრის სატელევიზიო ჟურნალისტურ პროდუქტს. იმისთვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ, თუ რა ტიპის პროპაგანდისტული კამპანია მიმდინარეობდა "სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ" მიმავალ გზაზე, საჭიროა გავაანალიზოთ სხვადასხვა ჟანრის თითო ნიმუში. ედუარდ შევარდნაძე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მმართველი იყო, რომლის იმიჯის

[38]ლ.კუტუბიძე,"2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები" 2009წ. გვ204.
[39]http://arqivi.net/News-სიახლეები/26872/

გამყარებაში კინოპროდუქციაც ჩაერთო. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარიფრანგული დოკუმენტური ფილმი "ედუარდ შევარდნაძის სამი ცხოვრებაა". ფილმი 1999 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებამდეა გადაღებული. იმ პერიოდში საფრანგეთში ახლად ჩასულ ქართველ რეჟისორს ნინო კირთაძეს, ფილმის გადაღება ცნობილმა კინოკომპანიებმა "არტემ" და "კანალპლიუსმა" დაუკვეთეს. კირთაძისთვის ეს პირველი დამოუკიდებელი დოკუმენტური ფილმი იყო. რეჟისორი თავადვეა სცენარის ავტორი, ხოლო ოპერატორი რიფკატ იბრაგიმოვია. ქართულ მედიაში გამოქვეყნებული თუ ეთერით გადაცემული ინტერვიუებისას კირთაძე ყოველთვის ემადლიერება პრეზიდენტს, რომელიც გამოუცდელ რეჟისორს გადაღებაზე დათანხმდა. *"უკვე პარიზში ვცხოვრობდი, როცა დამწყებ რეჟისორს იქაურმა ცნობილმა კინოკომპანიებმა "არტემ" და "კანალპლიუსმა" დამიკვეთეს ეს ფილმი. მაშინ შევარდნაძე ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტი იყო. მასზე ბევრი ცნობილი რეჟისორი იღებდა ფილმს. მე კი: - გამარჯობა! ნინო კირთაძე ვარ. ვცხოვრობ საფრანგეთში. ჯერ არაფერი გადამიღია, მაგრამ თქვენი პორტრეტის გაკეთება მინდა... - და დამთანხმდა!"*[40] - აცხადებს კირთაძე ინტერვიუში, თუმცა არ აკონკრეტებს, როგორ დაუკავშირდა პრეზიდენტს, იყო თუ არა რაიმე პირობა შევარდნაძის მხრიდან, შეიტანა თუ არა პრეზიდენტმა ან მისი გარემოცვის რომელიმე წევრმა სცენარში რაიმე სახის კორექტივი და ა.შ. რეჟისორი ამგვარ დეტალიზაციას ერიდება, ხოლო საკუთარ პროდუქტს ასე აღწერს: *"ფილმში წარმოდგენილია ერთი ადამიანის სამი ცხოვრება - სამი სხვადასხვა პერიოდი, რეჟიმი და ერთი მმართველი. ეს არის პორტრეტი, სადაც წინა პლანზე ადამიანია. ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ, ფილმი პირადი არქივისა და ინტერვიუს მიხედვით გაკეთდა. მოიცავდა ყველაფერს: ბავშვობას, მენშევიკების პერიოდსა და ცეკას პირველ მდივნობას, ასევე ურთიერთობას მიხეილ გორბაჩოვთან - რატომ გაჩნდა ბზარი და რა გამოიწვია ამან. შემდეგ იგივე პიროვნება ხდება დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი - როგორ შეიძლება ადამიანის ამგვარი ტრანსფორმაცია, სად მთავრდება ადამიანური შესაძლებლობები და სად იღებს მმართველის ფუნქცია სადაოვებს, როგორ მოქმედებს ერთმანეთზე ის, რაც სურს*

[40] http://www.ambebi.ge/kulturashoubiznesis/36936-nino-kirthadzis-sastsauli.html?add=1#ixzz3H3jyqKf

ადამიანს და ის, რასაც მოითხოვს რეჟიმი”[41]. ფილმი სრულად ეფუძნება ე. შევარდნაძის თხრობას, მის განვლილ გზას ბავშვობიდან - დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტობამდე. მონოლოგი ჩაწერილია მხოლოდ ორ ლოკაციაში. კადრი უძრავია, შევარდნაძე არ იყურება კამერისკენ, თუმცა ხედი ფრონტალურია და მთხრობელი ნახევრად პროფილშია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ბიოგრაფიას თავის მეგობარს უყვება. ასევე აღსანიშნავია, რომ ფილმში გამოყენებულია მხოლოდ სამი ხედი – საშუალო, ნახევრად ახლო და ახლო. მთხრობელის – ე. შევარდნაძის კადრის ცვლა ახლოდან საშუალო ხედზე ნაკლებად მიჰყვება თხრობის ლოგიკურ ჯაჭვს და ხშირად გაუგებარია, თუ რატომ მოახლოვდა ეკრანზე სახე, სადაც განსაკუთრებული ემოცია არ იკითხება და ასე არც უნდა იყოს, რადგან ეს კონკრეტული მომენტი არ არის ერთ-ერთი მორიგი მოთხრობილი ამბის კულმინაცია. ამას გარდა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კადრირების სიმცირის მიუხედავად, რამდენიმე ეპიზოდში კადრი ოპერატორის მიერ არ არის კარგად დაყენებული. რამდენიმე მონაკვეთში კადრში შემოდის “ბუმერი” (მიკროფონი). ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ხედი სტატიკურია და კამერა შტატივზეა დამაგრებული, კადრი ირყევა. აღსანიშნავია თავად ლოკაციებიც. ერთ შემთხვევაში (ფილმის პირველ ნაწილში) მთხრობელი არის ნეიტრალურ ნაცრისფერ ფონზე, ხოლო მეორე კადრში (ფილმის მეორე ნაწილში)- ქვის კედლის ფონზე. განათების დანადგარი კედელს ქვემოდან ანათებს, რაც ფონს მეტად უსახურს ხდის, ხოლო თავად მთხრობელის კადრი, განსაკუთრებით საშუალო ხედისას, უხერხულადაა ამონათებული, რადგან სანათი მის სავარძელს ქვემოდან, უკანა მხრიდან ანათებს. ფილმში გამოყენებულია ქრონიკალური, საარქივო კადრებიც, რაც პერიოდულად ანაცვლებს მთხრობელის კადრს და რამდენიმე ალეგორიული კადრის გარდა, ზუსტად მიჰყვება ფილმის შინაარსობრივ მხარეს. ფილმის მუსიკალური გაფორმება, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, ერთგვარად მიჰყვება თხრობის განწყობას. ფილმის დასაწყისში კი ისე, როგორც შემდეგ, შევარდნაძის უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოსვლის აღწერას, ასევე აფხაზეთის ომის შესახებ თხრობას, ფონად გასდევს “წინწყარო”.სავარაუდოა, რომ ფილმის

[41]http://www.ambebi.ge/kulturashoubiznesis/36936-nino-kirthadzis-sastsauli.html?add=1#ixzz3H3jyqKf

ავტორს ეს "მშობლიურობის" განცდის მასტიმულირებლად სჭირდებოდა, თუმცა ემოცია ტექსტის, კადრების და მუსიკის ერთობლიობას არ მოაქვს. თავად ფილმის შინაარსი კი უდავოდ საინტერესოა მათთვის, ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორ აფასებს შევარდნაძე ამა თუ იმ მოვლენას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე ზოგადად თხრობის საინტერესო მანერით გამოირჩეოდა და ამ მხრივ არც ეს ფილმია გამონაკლისი. რაც შეეხება კირთაძის ნამუშევრის იდეურ მხარეს, ფილმი საქართველოს პრეზიდენტს ცალსახად, მხოლოდ დადებითი კუთხით წარმოაჩენს, რაც ე.წ. "ნახევრად სიმართლის" კლასიკური მაგალითია. მეტიც, შევარდნაძის მიერ მოყოლილი ყველა ისტორია მაყურებლისთვის მკაფიო გზავნილს შეიცავს. დოკუმენტური ფილმის პირველი ნაწილი მოიცავს შევარდნაძის ბავშვობიდან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობამდე პერიოდს. "*რაღათქმაუნდა, ჩემი დროის და ეპოქის შვილი ვიყავი და ვარ, მაგრამ ის ეპოქა სხვა ეპოქა იყო*" - ასე იწყებს შევარდნაძე ბიოგრაფიის თხრობას. სურათის პირველივე წუთებში ირკვევა, რომ ნიჭიერი, ფრიადოსანი, ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ედუარდი ყრმობის ასაკიდანვე საღამოობით ესწრებოდა და ჩართული იყო დისკუსიებში თემაზე, რა ტიპის ქვეყანა შენდებოდა, ეს იყო სოციალიზმი თუ რაიმე სხვა. იქვე მთხრობელი იხსენებს, რომ მას მამა ეუბნებოდა, რომ შურისძიება, რომელიც ქვეყანაში ბატონობს, სასიკეთოს არაფერს მოუტანს მოსახლეობას. შევარდნაძის მოგონებას ეფარება ეკლესიების ნგრევის და ლენინის კადრები, რაც ალეგორიულად მიგვითითებს იმის შესახებ, რომ მისი მშობლები მორწმუნენი და ღვთის მოშიშნი იყვნენ. მოწიფულ ასაკში კი შევარდნაძეს პირველი ეჭვი გაუჩნდა იმის შესახებ, რომ არსებული წყობილება შორს იყო იმ პრინციპებისგან, რითიც ბედნიერი საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს. კირთაძის ფილმში შევარდნაძე უფრო შორს მიდის და თავს თითქმის დისიდენტად წარმოაჩენს. სურათში პრეზიდენტი ამბობს: "*დავიწყე ფიქრი - სწორია ეს თუ არა, ის რა გზითაც მივდივართ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა დაიწყო რეფორმები, რომელმაც არ გაამართლა. თითქმის 7 წელი ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრი, და მე შიგნიდან დავინახე ყველაფერი. მაპატიეთ და ნაგავი შიგნიდან დავინახე. თანდათანობით ჩემში მწიფდებოდა სხვა ადამიანი,*

მაგრამ ეს ხდებოდა ნელა, თანდათანობით და, რათქმაუნდა, მარტო ჩემს თავთან. თუ რაიმე ეჭვი დამებადებოდა, ჩემს თავს ვუზიარებდი და ვკამათობდი. ჩემი პარტიული წლები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მე მაშინ დავინახე, რომ სოციალიზმს არც ეკონომიკაში აქვს მომავალი." იქვე შევარდნაძე ამბობს, რომ კომუნისტებსა და პოლიტბიუროს საჯაროდ მხოლოდ იმიტომ აქებდა, რომ საკუთარი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეები გაეკეთებინა. შევარდნაძის პატრიოტიზმისა და გმირობის დასადასტურებლად ამ პასაჟის შემდეგ შემოდის 1978 წლის 14 აპრილს განვითარებული მოვლენების თემა. ცენტრალური კომიტეტის მდივნის მიერ ქართული ენის გადარჩენის ისტორია ფილმის პირველი ნაწილის კულმინაციაა. *"1970-იან წლებში მე მივხვდი, რომ რასაც სოციალიზმს ვუწოდებდით - დიქტატურის პირობებში აშენებული სახელმწიფო, ეს იყო ხალხის მოტყუება, მაგრამ მე უკვე მაღალი თანამდებობის პირი ვიყავი და მე უნდა შევნიღბულიყავი, და დავიწყე თანამოაზრეების ძებნა."* ამ სიტყვებით სრულდება თხრობა, რომელიც მოიცავს კომუნიზმის პერიოდში შევარდნაძის საქართველოში მოღვაწეობას. შესაბამისად, მივიღეთ სურათი, რომლის მიხედვითაც ერთ ღარიბ, ქრისტიანულ ოჯახში დაბადებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მამაკაცი მახინჯ სისტემას მარტო ებრძვის და საკუთარი კარიერის, საკუთარი თავის რისკის ფასად, პატრიოტული გრძნობებიდან გამომდინარე, იხსნის მისი სამშობლოსთვის ყველაზე ძვირფასს. ასეთია კირთაძის მიერ წარმოჩენილი შევარდნაძე. ფილმში არსად - არც პირდაპირ, არც ალეგორიულად, არც თხრობისას, არც ქრონიკალურ კადრებში არ არის ასახული ის რეალობა, რაც ფილმის გმირის შინაგან საქმეთა მინისტრობისას იყო საქართველოში. ვგულისხმობთ იმ ე.წ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ტალღას, რომელიც ახალგაზრდა მინისტრმა წამოიწყო. მეტიც, ფილმში ასევე არ არის ნახსენები შევარდნაძის მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მუქი ლაქა – გატაცებული თვითმფრინავის საქმე. *"გადავწყვიტე, ეს პასაჟი ფილმში არ ჩამესვა. არ მინდოდა, ეს ტრაგედია ყოფილიყო კინოში სათამაშო თემა და მიმეწებებინა შევარდნაძის პორტრეტზე. ქართველებს ძალიან უყვართ ერთი "გმირის" აკვიატება, რომელსაც ყველაფერს - ცუდსა თუ კარგს - მიაწერენ. თვითმფრინავის ბიჭების ტრაგედია არ არის მარტივი თემა, არც ფილმია ისეთი,*

საბჭოთა პერიოდში რომ იღებდნენ რადიკალურად კარგ ან ცუდ ბიჭებზე. ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე მარტივად დაყოფა - ვინ არის კარგი და ვინ - ცუდი"[42].ასეთგანმარტებასიძლევარეჟისორი.თუმცაფაქტია,რომობიექტურიდოკუმენ ტურიპორტრეტისშექმნისსურვილისასსრულისურათიიხატება, მანკიგმირისპოლიტიკურიმოღვაწეობისნეგატიურიმხარეებისაერთოდარახსენა. ფილმისმეორენაწილიმსოფლიოპოლიტიკაშიედუარდშევარდნაძისმნიშვნელობაზემ ოგვითხრობს. მოკლეკოლაჟისშემდეგ, სადაცნაჩვენებია,თუროგორხვდებამთხრობელისხვადასხვაქვეყნისლიდერებს, ძირითადიაქცენტიკეთდებამისპირადურთიერთობებზესხვადასხვამნიშვნელოვანპო ლიტიკოსთან. *"მე ერთადერთი მინისტრი ვიყავი ვის საპატივცემულოდაც რეიგანი აწყობდა ლანჩს. მიმანიშნებდა ხოლმე – შენ არ ხარ ცუდი, ისინი (პოლიტბიურო) არიან ცუდებიო"*, ამბობს შევარდნაძე და იქვე იხსენებს, თუ როგორ უყვებოდა მას ამერიკის პრეზიდენტი ანეკდოტებს. თხრობას პერიოდულად ანაცვლებს ნაამბობის დამადასტურებელი კადრები, ბირთვული განიარაღების ხელშეკრულების ხელმოწერა, ავღანეთიდან და გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა და ა.შ; რაც მეტად მნიშვნელოვან პერსონად წარმოაჩენს მთხრობელს. ჩვენი კვლევისთვის კი ყველაზე საინტერესო მეორე ნაწილის კულმინაციაა, როცა შევარდნაძე საბჭოთა კავშირის რღვევაზე საუბრობს. ფილმის ეს მონაკვეთი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დოკუმენტური ფილმის რეჟისორი მისდევს პროპაგანდისტული ფორმის კლასიკურ ხაზს და "ნახევრად სიმართლის" მეთოდს, "ფაქტის კონსტატაციით" იმავე "ჰოპნოზით" ამყარებს. როგორც ნაშრომის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, მიზნის მისაღწევად საჭიროა აუდიტორიას მიეწოდოს 10 უტყუარი ინფორმაცია, მეთერთმეტე კი - დამუშავებული. "შევარდნაძის სამი სიცოცხლე" კი სწორედ ამ პრინციპითაა აგებული. ფილმის მეორე ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების შესახებ მოგვითხრობს, რასაც ადასტურებს ქრონიკალური კადრებიც, თუმცა შემდეგ დგება გარდამტეხი მომენტი,როცა მთხრობელი ამბობს: *"რომ ვუკვირდებოდი, რა ხდებოდა რესპუბლიკებში,*

[42]http://www.ambebi.ge/kulturashoubiznesis/36936-nino-kirthadzis-sastsauli.html?add=1#ixzz3H3jyqKf

ვხვდებოდი, რომ კავშირის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. სხვა დასკვნა თავის მოტყუება იყო". ფრაზას ეფარება 1989 წლის 9 აპრილის აქციის დარბევის რამდენიმე კადრი. მთხრობელი ფაქტს არ ახსენებს, აქციის შესახებ ფილმში არაფერია ნათქვამი. შემდეგ კი შევარდნაძე ამბობს, რომ გორბაჩოვი ან უნდა გადამდგარიყო, ან უნდა ებრძოლა რეჟიმის გადარჩენისთვის, თვითონ კი დიქტატურის მოახლოება იგრძნო და გადადგა, რასაც მოჰყვება 1990 წლის საარქივო მასალა – შევარდნაძის სიტყვა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. შესაბამისად, კირთაძის ფილმი დამონტაჟებულია ისე, რომ მაყურებელს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს 9 აპრილის აქციის დარბევასა და შევარდნაძის დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადადგომას პირდაპირი კავშირი აქვს. კულმინაციას დამაჯერებლობას სწორედ ე.წ. ჰიპნოზი სძენს, როდესაც მანამდე (მეორე ნაწილის დასაწყისიდან, ვიდრე კულმინაციის მომენტამდე) მთხრობლის მიერ გახსენებული ისტორიები სრული ჭეშმარიტებაა, რის უტყუარობასაც, ფაქტობრივი, კადრზე აღბეჭდილი მასალები ადასტურებს. სწორედ კადრების წყალობით, მონათხრობს ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი მაყურებელიც კი ირწმუნებს. დოკუმენტური ფილმის მეორე ლოგიკური ნაწილი მოსკოვის პუტჩისა და ლენინის ძეგლების ჩამოგდების კადრებით სრულდება. ფილმის დასკვნითი ნაწილის დასაწყისს კი ფონად კვლავ "წინწყარო" გასდევს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ ნაწილის წამყვანი თემა კვლავ სამშობლო და პატრიოტიზმია, რომლის გამოც მთხრობელი თბილისში დაბრუნდა. *"მე ვიცოდი, რომ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა საქართველოში. ჩემი ჩამოსვლა იყო ძალიან სარისკო. იყვნენ მომხრეები, მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგეებიც. გადაწყვეტილება მივიღე იმიტომ, რომ ქვეყანას შველა სჭირდებოდა და ამას ჩემს გარდა ვერავინ გააკეთებდა! რომ ჩამოვედი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ადუღებულ კუპრში ჩამიშვეს მთლიანად,"* ამბობს ედუარდ შევარდნაძე. ფილმში ალეგორიული მინიშნებაც კი არ არის იმის შესახებ, რომ - როგორც ქართველ პოლიტიკოსთა,ისე მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევდა, რომ ზემოთ ხსენებული სამოქალაქო დაპირისპირება და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობა სწორედ შევარდნაძეს უკავშირდებოდა. ისეთ "უხერხულ" თემას, როგორიცაა

გამსახურდია და მისი მომხრეები, ფილმის ავტორი არ შეხებია. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც კირთაძეს არ სურდა, რომ ასეთი დეტალები "ყოფილიყო კინოში სათამაშო თემა". მთხრობელი ფილმში ემოციურად აღწერს აფხაზეთის ომს, რასაც პერიოდულად ედება დაჭრილების, დევნილების მიერ აფხაზეთის დატოვების და სამხედრო ფორმაში ჩაცმული შევარდნაძისქრონიკალური კადრები. შემდეგი თემა კი ომის შემდგომი საქართველო, დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარება და პარლამენტში გამართული ხელჩართული ჩხუბია. მთხრობლის მიერ ლაკონურად და ქრონილოგიურად მოყოლილ ისტორიებს სწორედ ისტორიის შესაბამისი კადრები ეფარება. ფილმის ამ ნაწილის კულმინაცია კი 1995 წელს შევარდნაძის პრეზიდენტად ინაუგურაციაა. *"მიაჩნდათ, რომ რუსეთის აგენტია და სხვა, მაგრამ გადავიტანეთ ეს ყველაფერი. დანგრეული, დარბეული, ერთმანეთზე გადაკიდებული ხალხი, მაგრამ ახლა ქვეყანა ვართ არ ვართ, ყველაზე დალხენილი, მაგრამ მსოფლიო გვცნობს."* მთხრობლის ამ სიტყვებს, ფილმის მესამე ნაწილის ერთგვარ ლოგიკურ დასკვნას, ენაცვლება მისი ინაუგურაციის კადრები. კირთაძის მიერ შექმნილი პორტრეტი ამით არ სრულდება. გამბედავი პოლიტიკოსის, გულანთებული პატრიოტის გარდა, შევარდნაძე, ავტორის წარმოსახვით, იდეალური შეყვარებული და მეუღლეცაა. სწორედ პორტრეტის შესავსებად და გმირის უკეთ წარმოსაჩენად რეჟისორი და სცენარის ავტორი არ ასრულებს დოკუმენტურ ფილმს იქ, სადაც ლოგიკური წერტილია დასმული თავად მთხრობლის მიერ. მოულოდნელად ფილმში შემოდის ახალი მთხრობელი – გმირის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძე, რომელიც მთავარ გმირთან რომანტიკულ შეხვედრას იხსენებს. *"წაღვერში ვმუშაობდი პიონერთ ხელმძღვანელად, იქ ჩამოვიდა დასასვენებლად და იქ გავიცანით ერთმანეთი. მერე გაჩაღდა რომანი. ერთი რადაც უნდა გითხრა-მეთქი, მე მამა 37 წელში დახვრეტილი მყავს და თუკი პარტიულ სკოლაში სწავლობ და აპირებ კარიერის გაკეთებას ეს აუცილებლად ხელს შეგიშლის-მეთქი. ერთი წუთით, მართლაც, დაფიქრდა. მთვარიანი ღამე იყო, ლამპიონების შუქიც... და ძალიან კარგად დავინახე, რომ გაფითრდა. შემდეგ მითხრა, ნუ, რა ვქნათ ახლა მამაჩემს მაინც უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავიო"* სიამაყით იხსენებს მეუღლის გაბედულ ჟესტს ნანული

შევარდნაძე. მის მონათხრობს პერიოდულად ფარავს ძველი ფოტოები, მას კი მოსდევს 1995 წელს შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის ქრონიკალური კადრები და მთავარი გმირის პირველი კომენტარი:*"ესენი არიან ლაჩრები, არაკაცები, ტერორისტები, ეს არის მათი ბოლო მცდელობა. ამ ტერორისტული აქტის შესრულების თავიც არ აქვთ."* ამ პასაჟით ავტორი ცდილობს, გმირის უპირატესობას კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი. ე. შევარდნაძეზე შექმნილ ამ დოკუმენტურ ფილმს "ნახევრად სიმართლის" და "ფაქტის კონსტატაციის" პროპაგანდისტული ხაზის გარდა, ე.წ. ისტორიის გადაწერის მცდელობაც აქვს, რადგან გმირის პოლიტიკურ გზაზე არსებული ნეგატივის დაფარვის გარდა, აშკარაა ნინო კირთაძის მცდელობა, შეალამაზოს და შეცვალოს ისტორიული რაკურსი, როგორც ეს 9 აპრილის ან თუნდაც შევარდნაძის უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოსვლის ეპიზოდშია წარმოჩენილი.

კირთაძის ფილმის მსგავსად, შევარდნაძის კულტის შესაქმნელად მუშაობს ტელევიზიაც. იმავე პერიოდში სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი გარე ტელეპროდუქციის მწარმოებელ "სუდია აუდიენციისგან" ყიდულობს ჟურნალისტ თამარ ცაგარეიშვილის საავტორო გადაცემათა ციკლს "მიამბეთ თქვენზე", სადაც ერთ-ერთი პირველი რესპონდენტი სწორედ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა. ტელეპროექტის სახელი თავად მიუთითებს შინაარსზე. აქ მთავარი პერსონაჟი საკუთარ თავზე მოუთხრობს მაყურებელს, რასაც თან ახლავს ავტორის კომენტარები. იქედან გამომდინარე, რომ გადაცემა საავტოროა, ჟურნალისტი თავს უფლებას აძლევს, გმირი შეაფასოს. კირთაძის ფილმთან შედარებით, ჟურნალისტი ცდილობს - იყოს ობიექტური და პრეზიდენტს რამდენიმე მისთვის უხერხული დეტალიც შეახსენოს, თუმცა ხსენებული, "ნახევრად სიმართლის" მეთოდის მეტად პროფესიონალური განხორციელებაა. გადაცემის დასაწყისშივე პრეზიდენტი თავად იხსენებს გმირულ საქციელს, თუ როგორ მოახერხა კომუნისტურ ეპოქაში ქართული ენის დაცვა. *"გამოვაცხადე, რომ ბიუროს წევრებმა ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ შენარჩუნებული იყოს ის დებულება, რომელიც იყო ჩაწერილი კონსტიტუციაში – ანუ ქართული ენა რჩება სახელმწიფო ენად. ვერ აგიწერთ, რა ხდებოდა. იმ დარბაზში ხომ კომუნისტები, რაიკომის მდივნები, მინისტრები*

ისხდნენ სულ, ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, ულოცავენ და მეც, სიმართლე გითხრათ, ბოღმა მომაწვა ყელში, რომ ესეიგი - აქ, პარტიულ ელიტაში, როგორ განიცდიან; და მაშინ ჩემთვის ვთქვი, გავაკეთე დასკვნა, რომ პატრიოტიზმი დაკარგული არ არის" – ამბობს ედუარდ შევარდნაძე. პატრიოტი კომუნისტის საქციელს კი გადაცემის ავტორი ასე აფასებს: *"ეს დღე განსაკუთრებული იქნება როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე მისი ლიდერის ცხოვრებაში. ხალხი მას ნდობასა და პატივისცემას ღიად დაუდასტურებს. შევარდნაძეს კიდევ ბევრჯერ მოუწევს ექსტრემალურ ვითარებაში საკუთარი ნების გამოცდა და გაბედულების დამტკიცება. 80-იანი წლების დასაწყისში მისთვის საბოლოოდ ცხადი ხდება, რომ სისტემა, რომელსაც წლების განმავლობაში ემსახურებოდა, განწირულია, კრიზისული ვითარებაა ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სწორედ ამ დროს იმპერიის სათავეში მიხეილ გორბაჩოვი, მისი დიდი ხნის მეგობარი - მოდის."* გადაცემის დიდი ნაწილი ეთმობა შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდს. ამ მონაკვეთში მაყურებლისთვის განკუთვნილი ძირითადი გზავნილი ისაა, რომ სწორედ შევარდნაძე უმტკიცებდა პირადი საუბრებისას მიხეილ გორბაჩოვს, რომ სისტემა უნდა დაინგრეს. იქვე ხაზგასმულია საქართველოს პრეზიდენტის როლი მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში. მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ შევარდნაძის წყალობით გადაურჩა ევროპა და აშშ მესამე მსოფლიო ომს. პასაჟის კულმინაცია კი შევარდნაძის პირადი ახლო ურთიერთობებია სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან. *"დაიწყო პირადი ურთიერთობები, ოჯახებში მისვლა, ოჯახების გაცნობა და დავმეგობრდით, ახლაც ვმეგობრობთ. აი, ამან გადაწყვიტა - ამ პირადმა ურთიერთობებმა, სხვათაშორის არამარტო საგარეო საქმეთა მინისტრებთან, ძალიან ხშირი სტუმარი ვიყავი პრეზიდენტების, მაგალითად, პრეზიდენტ რეიგანთან თხუთმეტჯერ მაინც ვარ ნამყოფი. ყველა შეხვედრა შემიძლია აღვწერო. საინტერესო იყო, ძალიან საინტერესო. სხვათაშორის, თვითონ რეიგანი არ იყო ძალიან მცოდნე ამ ამბების. აიწყებდა, რაც წასაკითხი ჰქონდა, წაიკითხავდა და რომ ვუპასუხებდი, მერე ეტყოდა შულცს, აბა ჩაერთე და ახლა შენ უპასუხეო; თუმცა მერე და მერე გათბა, ძალიან გათბა და ძალიან მენდობოდა. ასევე მამა ბუშიც, იმაზე აღარც*

ვსაუბრობ, ჩვენ მეგობრობის დონეზე ვიყავით. ასე რომ - ეს იყო ჩემი პირველი სამი წელი ნდობის განმტკიცების, ნდობის დამკვიდრების და იმ რწმენის განმტკიცების წლები, რომ თურმე შეიძლება ცივი ომი დამთავრდეს. არის ამის რეალური პერსპექტივა და ამ ცივი ომის გაჩაღებაში ჩვენ ვართ დამნაშავენი. პირველ რიგში, საბჭოთა კავშირი არის დამნაშავე." შევარდნაძის ამ მონათხრობს იქვე ამყარებს ავტორი. ობიექტურობის შესანარჩუნებლად და შიშველი პროპაგანდის შენიღბვის მიზნით, ის გარდაქმნის ავტორებს – აქებს, თუმცა შემოაქვს ახალი პრომლემაც. *"გორბაჩოვი შევარდნაძეს სწრაფი ათვისების სისტემას ეძახდა და, მართლაც, მან სულ ცოტა ხანში მოახერხა ახალი საქმიანობისთვის ალღოს აღება. არადა გარდაქმნის იდეოლოგთა წინაშე ურთულესი ამოცანები იდგა, მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში საშინაო და საგარეო პოლიტიკა ძირეულად უნდა შეცვლილიყო. ბირთვული განიარაღების დაწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მეზობელ ქვეყნებთან ახალი საკომუნიკაციო ენის გამონახვა, აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა და უამრავი სხვა. გორბაჩოვი და შევარდნაძე ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდნენ ამ პოლიტიკას. საგარეო ფრონტზე მიღწეული წარმატებების მიუხედავად, "პერესტროიკამ" დიდი პრობლემები შექმნა ქვეყანის შიგნით და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მისცა ბიძგი. 1989 წლის 7 აპრილს გორბაჩოვი და შევარდნაძე ლონდონიდან ვნუკოვოს აეროპორტში დაეშვნენ."* ავტორის ტექსტს იმ პერიოდში საქართველოში მიმდინარე აქციების კადრები ეფარება. ედუარდ შევარდნაძემ პირველად სწორედ ამ გადაცემაში ღიად დაადანაშაულა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი 1989 წლის 9 აპრილის აქციის დარბევაში. ცხადია, რომ გადაცემის ამ ნაწილის მიზანი აქციის დარბევის გადაწყვეტილებიდან მისი სახელის ჩამოშორება იყო, რადგან პრეზიდენტი სამ დღეს - 7-დან 9 აპრილის ჩათვლით- საათობრივად აღწერს. მისი მონათხრობი იმდენად დეტალურია, რომ მოსახლეობას ზედმეტი, პასუხგაუცემელი კითხვა არ რჩება. არც ავტორი სვამს ე.წ. კონტრშეკითხვას, თუმცა ისეთ გამოცდილ ჟურნალისტს, როგორიც თ. ცაგარეიშვილია, არ შეიძლებოდა არ გასჩენოდა დამატებითი კითხვა - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შევარდნაძე აცხადებს, რომ: *"აი, იმ ღამეს*

მოხდა ის, რაც თქვენ ძალიან კარგად იცით და რაც შეიძლებოდა არ მომხდარიყო. რისი თავიდან აცილებაც სავსებით შესაძლებელი იყო." ამ მონაკვეთში ამომავალი წერტილი და მიზანი არის ის, რომ მაყურებელი საბოლოოდ დარწმუნდეს გადაცემის გმირის უცოდველობაში. *"მე მართლა არ ვიყავი საქმის კურსში და ეს მოხდა ისე, რომ მე ხელი ამაში გასვრილი არ მაქვს,"* – ამბობს შევარდნაძე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გმირის მიერ მონათხრობი თითოეული დასრულებული ისტორიის შემდეგ ერთგვარ შეფასებას აკეთებს და ახალ თემაზე გადადის, 9 აპრილის ისტორია თამარ ცაგარეიშვილმა არ შეაფასა და შევარდნაძის მხოლოდ ზოგადი ქებით შემოიფარგლა. *"შევარდნაძეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი 5 წელი და 6 თვე ეკავა. დიდი გარდაქმნების ყველა მიღწევა და მარცხი მის სახელთანაა დაკავშირებული. ცივი ომის შეწყვეტა, მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარება, ავღანეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების გამოყვანა, ბერლინის კედლის ნგრევა. რომ არა ასეთი პოლიტიკა, საშიშროება იყო ევროპის ცენტრში მესამე მსოფლიო ომის დაწყებისა. მის სახელს მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსთა შორის იხსენიებენ. მაგრამ პერესტროიკას ჰქონდა მეორე, შეუმდგარი მხარე, რის გამოც, დემოკრატიული გარდაქმნების ავტორებს უმკაცრეს ბრალდებას – დიდი საბჭოთა იმპერიის მიზანმიმართულ დაშლას უყენებდნენ."* გადაცემაში გმირი საქართველოში დაბრუნების შესახებ ემოციურადჰყვება. რჩება შთაბეჭდილება, რომ არა უსაზღვრო პატრიოტიზმის გრძნობა, შევარდნაძე ქვეყნის სათავეში არ მოვიდოდა. *"ერთი რამ მინდა გითხრათ, ყველაზე მეტად რამ გამაოცა – როცა ვნახე ეს რა არის - სამოქალაქო ომი და ღალატი აფხაზეთში ნამდვილი ღალატი, 100%-იანი ღალატი, აი მაშინ ვკითხე ჩემს თავს, რა მოხდა, ვინ შეცვალა ჩემი ხალხი. მე სხვა ხალხი დავტოვე და დამხვდა სულ სხვა ხალხი, ძმა ძმას თოფით რომ დასდევს."* მოღალატეებში შევარდნაძე პრეზიდენტ გამსახურდიასა და მის მომხრეებს გულისხმობს და მათ აფხაზეთის დაკარგვაში ადანაშაულებს. *"მე ბოლომდე მჯეროდა, რომ სოხუმს შევინარჩუნებდით. მახსოვს ღამის 2 საათზე შტაბში თათბირი, რომელსაც მე ვატარებ და ვეკითხები, 5 ბატალიონი იდგა მდინარესთან, არის თუ არა დაცული ფუნიკულიორი, ბატალიონის მეთაური,*

რომელიც იცავდა მაღალ წერტილებს, იქ იყო, ასე თქვა, თქვენ სხვა საკითხებზე იფიქრეთ, ფუნიკულიორი დაცულია, იქ ერთი კაციც ვერ ამოვაო. ნუ, ახლა არ დაუჯერო, არ შეიძლება. დილით ადრე ავდექი, ვხედავ ნახევარი სოხუმი დაცარიელებულია, ქალები, ბავშვები გარბიან. იმ წუთში მივედი მთავრობის სახლში ჟიული შარტავასთან, ვიკითხე, რაშია საქმე, მითხრეს, ბატალიონები მოიხსნენ, მიიღეს ბრძანება ექსპრეზიდენტისგან და მოიხსნენ. ჩავჯექი მანქანაში, წავედი, სადაც ეს ბატალიონები უნდა მდგარიყვნენ, აღარავინ იყო. მიტოვებული ყაზარმები. გამოვბრუნდი უკან, მოვედი შტაბში, დამხვდა გია ყარყარაშვილი, ჯაბა იოსელიანი და კიდევ რამდენიმე კაცი. სხვათაშორის მე და ჯაბა ჩავედით ქვემოთ ბატალიონები რომ მიდიოდნენ და დავდექით მათ პირდაპირ. ვუთხარი, ბიჭებო, რას შვებით, არაა ყველაფერი დაკარგული, თქვენთან ვიქნებით, არსად მივდივართ, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდათ ყველაფერი. ბრძანება ჰქონდათ მიღებული. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი, მწარე განცდა სინანულისა და ტრაგიზმის, როდესაც მე დავინახე, რომ მორჩა, სოხუმი დაკარგულია." ყოფილი პრეზიდენტის მისამართით მძიმე ბრალდების წაყენებისა და ღალატის მოტივით თავის გამართლების გარდა, გადაცემაში დაცულია არცთუ უმნიშვნელო პროპაგანდისტული ხაზი. ამუშავებულია ე.წ. "ჩანაცვლების პრინციპი", რადგან შევარდნაძე გამსახურდიას სახელს შეგნებულად არ ახსენებს. ასოციაციურად მაყურებლის მეხსიერებაში, ანუ აუდიტორიის "გონებაში სურათებად" იბეჭდება არა ექსპრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, არამედ ექსპრეზიდენტი მოღალატე. აქვე აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ომის დროს დაშვებულ კონკრეტულ სამხედრო ტაქტიკურ შეცდომებსა და რუსეთის ფედერაციასთან გაფორმებულ, თავიდანვე განწირულ ხელშეკრულებებზე საუბარი საერთოდ არ არის. ამ ფონზე კი გადაცემის ავტორი პრეზიდენტს აღმატებულ ხარისხში მოიხსენიებს. *"ახალი ევროპის ერთ-ერთი არქიტექტორი ყველაზე დიდი განსაცდელის წინაშე საკუთარ სამშობლოში აღმოჩნდა. მაგრამ უკან არ და ვერ დაიხევდა. ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. ერთი და უმთავრესი შორს გამიზნული გეგმა საქართველოს გეოპოლიტიკით, მისი მდებარეობით, დიდი სახელმწიფოების დაინტერესება იყო; მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყნის შიდა ეკონომოკური, კრიმინოგენური, სოციალური*

პრობლემები მოგვარდებოდა. მოხერხდებოდასაქართველოს იზოლაციიდან გამოყვანა და მის სასარგებლოდ საერთაშორისო სტრუქტურების ამოქმედება. შევარდნაძეს თავისი დიდი ავტორიტეტისა და გავლენიანი მეგობრების დიდი იმედი ჰქონდა. გერმანელებს შეგვიძლია ედუარდ შევარდნაძეს მადლობა იმით გადავუხადოთ, რომ მის სამშობლოს დავეხმაროთ, ასეთ განცხადებას გააკეთებს ჰანს დიტრიხ გენშერი და იმავეს მოიმოქმედებენ მისი სხვა მეგობრებიც. შევარდნაძე ხან განდიდებული და დაფასებული, ხან კი ნაღალატები და შეურაცხყოფილი ნელ-ნელა დაიწყებს მიზნისკენ სვლას," – ამბობს ავტორი. გადაცემის ფინალისკენ კი შევარდნაძე მაყურებელს უყვება, როგორ ჩამოაყალიბა თავისუფალი მედია, შესაბამისად, ყალიბდება თავისუფალი საზოგადოება, რაზეც ოცნებაცკი შეუძლებელი იყო. პრეზიდენტი ამბობს, რომ მან მოახერხა საერთაშორისო საზოგადოების საქართველოთი დაინტერესება. გადაცემის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი კი ავტორის ამაღელვებელი, ფინალური ტექსტია, სადაც ნათლად იკვეთება მიზანიც – საქართველოს მოქალაქეებმა მის სახელოვან პრეზიდენტს ჯეროვანი პატივი უნდა მიაგონ. *"საქართველოს პრეზიდენტი. დიდი და მძიმე გამოცდილებით, მიღწევებით, შეცდომებითა და ტკივილით. სიყვარულით დაჯილდოებული და გულისწყრომით დასჯილი, წარმატებული და აღიარებული, ზოგჯერ კი თავის მძიმე ტვირთთან მარტო დარჩენილი. ყველა გაიგებს? ყველა მიხვდება თქვენს მისიას? ჰკითხავს მას ჩინგიზ აიტმატოვი და შემდეგ თვითონვე დასძენს, რას იზამთ, ასეთები არიან ადამიანები. ასეთია საზოგადოების არსი. ასეთია ლიდერის ხვედრი."*

საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ბადეში (1997წ.) არსებობდა ასევე ჟურნალისტ ქეთევან სადღობელაშვილის საავტორო გადაცემა "ეპოქა". აქაც ერთ-ერთი პირველი რესპონდენტი პრეზიდენტი იყო. თ. ცაგარეიშვილის გადაცემისგან - "მიამბეთ თქვენზე" - განსხვავებით, "ეპოქის" ფორმატი უფრო თავისუფალი და "მოყვითალო" იყო. სერიოზულ თემებთან ერთად, ჟურნალისტი სვამს ისეთ კითხვებს როგორებიცაა: იუმორი თუ არის მნიშვნელოვანი დიპლომატიაში? პრეზიდენტის დღის რეჟიმი? რამდენი საათი სძინავს საქართველოს პრეზიდენტს? როგორია პრეზიდენტის მენიუ? როგორია პრეზიდენტის გარდერობი და ა.შ. შეკითხვებს კადრს მიღმა ჟურნალისტიც

ახმოვანებს და ტიტრად კადრშიც ამოდის. გადაცემის ხასიათი და მიზანი არ განსხვავდება ზემოთ განხილული გადაცემისა და დოკუმენტური ფილმისგან. ამ შემთხვევაშიც მაყურებლის წინაშე ედუარდ შევარდნაძე წარმოდგენილია - როგორც მეტად პრინციპული და თავგანწირული ლიბერალი. *"გაიხსენეთ, რა პრინციპების გამო დავტოვე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. ცხოვრების მიზნად მე დავისახე რეფორმა,"* – ამბობს შევარდნაძე, რომელიც ამ გადაცემაშიც კიდევ ერთხელ ახსენებს მოსახლეობას მის ჰეროიკულ წარსულს – 1978 წლის 14 აპრილს. გადაცემაში წამოჭრილ მძიმე საკითხებს ფინალისკენ ანაცვლებს ე.წ. "მოყვითალო" კითხვები. სწორედ ამ "მსუბუქი" დიალოგით იხატება პრეზიდენტის პორტრეტი, რომელსაც დღე-ღამეში მხოლოდ 5 საათი სძინავს და ძილშიც ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ფიქრობს. *"ჩემი მორალი მე იმას მკარნახობს, რომ - თუ მე ვერ ვგრძნობ თავს ჯანსაღად, რომ სრული დატვირთვით ვიმუშაო, მაშინ დავტოვებ პოსტს,"*- ამბობს გალიბერალებული კომუნისტი, რომელიც თავდადებისა და ერთგულების სანაცვლოდ არაფერს ითხოვს. *"პრეზიდენტის გაფეტიშება ძვირად უჯდება ქვეყანას, მე სიყვარულზე არ ვლაპარაკობ, უბრალოდ მინდა ჩემს ხალხს ჩემი ესმოდეს,"*- ასეთია შევარდნაძის პოზიცია. პრეზიდენტის მიერ გაცხადებულმა ამ სურვილმა გამოცდილ ჟურნალისტს, როგორიც გადაცემა "ეპოქის" ავტორია, უნდა გაუჩინოს კითხვა: ხომ არ მიიჩნევს პრეზიდენტი, რომ ქვეყნის პირველ პირსა და მოსახლოებას შორის გარკვეული ბარიერია აღმართული? ან თუნდაც, რატომ ფიქრობს პრეზიდენტი, რა არის მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობას მისი არ ესმის? მსგავსი კითხები გადაცემაში არ დასმულა, ან ვის გულისხმობს გაფეტიშებულ პრეზიდენტში? თუმცა სავარაუდოა, რომ ამ ნაწილზე ავტორმა იფიქრა და გარკვეული უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, - კითხვა პასუხგაუცემელი არ დარჩეს, ან მაყურებელმა არ იფიქროს, რომ შევარდნაძე მოსახლეობას საყვედურობსო, - ოსტატურად თავად პასუხობს. გადაცემიდან ვიგებთ, რომ ედუარდ შევარდნაძის ზოდიაქოს ნიშანი მერწყულია. ავტორი კი კადრს მიღმა ამბობს, რომ *"მერწყული წინ უსწრებს თავის ეპოქას!"* სწორედ ეს არის პასუხი კითხვაზე,თუ რატომ აქვს პრეზიდენტს ნაკლებობის განცდა და სურვილი, მოსახლეობას მისი მეტად ესმოდეს. შესაბამისად, პრეზიდენტის

ნათქვამში არც საყვედურის ტონია, არც საწყენია რაიმე. ბრალოდ, ქვეყნის ლიდერის თუ არ გვესმის, ეს იმიტომ ხდება, რომ მან ეპოქას გაუსწრო, შესაბამისად, მის გადაწყვეტილებებს პატივი უნდა ვცეთ და დავემორჩილოთ. ის ხომ უალტერნატივოა. ასე იშიფრება სახელმწიფო ტელევიზიის მიერ დამზადებული პროდუქტის ძირითადი გზავნილი.

შევარდნაძეზე შექმნილი არაერთი ვრცელი, პორტრეტული ტიპის გადაცემის გარდა, რომელიც სეზონური გადაცემების ფორმატში კეთდებოდა, იყო სპეციალური ერთჯერადი გადაცემებიც, სადაც მთავარი ფიგურასწორედ ედუარდ შევარდნაძე იყო. ერთ-ერთი ასეთი ტიპის ერთჯერადი, ვრცელი,ერთსაათიანი ინტერვიუ სახელმწიფო ტელევიზით 1998 წლის 13 აპრილს გადაიცა. პრეზიდენტთან ინტერვიუს ლიტერატორი კობა იმედაშვილი უძღვებოდა. ედუარდ შევარდნაძე დეტალურად ჰყვება ისტორიას იმ მოვლენების შესახებ, რაც 1978 წლის 14 აპრილს, კონსტიტუციის შესწორების მიღებისას განვითარდა. საგულისხმოა, რომ ინტერვიუს არა სახელმწიფო ტელევიზიის რომელიმე ჟურნალისტი, არამედ სწორედ ლიტერატორი იმედაშვილი უძღვება (მართალია, კობა იმედაშვილი იმ პერიოდში მუშაობდა ტელევიზიაში, თუმცა ის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე იყო და არ მიჰყავდა რეგულარული გადაცემები, მით უფრო - პოლიტიკოსებთან ინტერვიუები). მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სპეციალური გამოშვების დასაწყისში ტიტრად არის წარწერა - ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან, ის სცდება კლასიკური ინტერვიუს ფორმებს. ამ შემთხვევაში ბ-ნი იმედაშვილი არა ინტერვიუერი, არამედ თანამოსაუბრეა, რომელიც თანაბრად გამოთქვამს მოსაზრებებს და ჰყვება 20 წლის წინ განვითარებული მოვლენების შესახებ. ასევე მისი ფუნქციაა, შეახსენოს პრეზიდენტს ყველა ნაბიჯი, რათა გმირს ავტოპორტრეტის შექმნისას არცერთი მცირე დეტალიც არ გამორჩეს. ის, თუ რა დიდი როლი ითამაშა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა ქართული ენის სტატუსის შენარჩუნებისთვის, მაყურებლისთვის ცნობილი იყო და ამ მიზეზით შევარდნაძე მოსახლეობის პატივისცემას გულწრფელად იმსახურებდა. ამ პატრიოტული ნაბიჯის შეხსენება, განვითარებული მოვლენებიდან 20 წლის შემდეგ, ლოგიკურიც იყო, თუმცა ისმის კითხვა რატომ უძღვება საუბარს კობა

იმედაშვილი? სპეციალური გადაცემის მთავარ გზავნილს არა გმირი, არამედ სწორედ ინტერვიუერი დასაწყისშივე აღნიშნავს. *“ამ კონსტიტუციის მიღება, ბატონო ედუარდ, გულწრფელად რომ გითხრათ, იმ პერიოდში, საბჭოთა სინამდვილეში, მოსახლეობისთვის ბანალური იყო და მაინცდამაინც ძალზე არავინ დაინტერესებულა ამით. თავი არავის მოუკლავს იმის გასარკვევად, იქ რა წერია და რა არ წერია. იმავე ლიტერატურის ინსტიტუტის,მწერალთა კავშირისა თუ ახალგაზრდობის ყურადღება მიექცა კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ თქვით, და მე ვეძებდი ამ ჩანაწერს, მაგრამ არქივებში ვერ ვნახე, რომ არის ერთი ფორმულირება, რომელიც დასამუშავებელია და იმედი მაქვს, ჩვენი მწერლები ამ ფორმულირებას მოგვაწვდიან. საქმე ეხებოდა სწორედ ქართული ენის სტატუსს. აი, ამან გამოიწვია დაინტერესება და ყველამ მიაქცია ყურადღება. აი, თქვენ იყავით საწყისი, რამაც გაუკეთა ინსპირაცია შემდგომ მოვლენებს, მთელ პროცესს და, რათქმაუნდა, პროცესის დამამთავრებელიც თქვენ ბრძანდებოდით,”* – ამბობს ინტერვიუს დასაწყისში კობა იმედაშვილი. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ გზავნილის გამოა პრეზიდენტის თანამოსაუბრე შერჩეული. ამ ტექსტს სახელმწიფო ტელევიზიის წამყვანი ჟურნალისტიც იტყოდა, თუმცა, როგორც ირკვევა, ამ ფაქტის დამადასტურებელი ვიდეო ან აუდიომასალა არ არსებობს. შესაბამისად, ჟურნალისტის მხრიდან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანტისაბჭოთა დემონსტრაციის ინსპირატორად გამოცხადება ნაკლებ დამაჯერებელი იქნებოდა. ასეთი ფორმულირების გარეშე კი შევარდნაძის მხრიდან საკუთარ თავზე ამ ტიპის განაცხადის გაკეთება უხერხულია. ამ შემთხვევაში ჟურნალისტმა შესაძლოა “ანონიმური ავტორიტეტი” გამოიყენოს, თუმცა “მოწმეების” ხერხის გამოყენება გაცილებით იოლია, მითუფრო მაშინ, როდესაც “ანონიმური ავტორიტეტის” ნაცვლად შევარდნაძის დისიდენტური საქმიანობის ცოცხალი მოწმე მოიძებნა. თუკი მანამდე შევარდნაძეს საქართველოს მოსახლეობა ცენტრალური კომიტეტის მდივნობის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების გამო პატივს სცემდა, ამ სპეციალურმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ ის ორმაგად დასაფასებელია ქართველთათვის.

საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისთვის შევარდნაძისადმი მიძღვნილი სპეციალური გადაცემები იშვიათობას არ წარმოადგენდა. საქართველოს პრეზიდენტის უცხოეთში ან უცხოელი მაღალი რანგის სტუმრების საქართველოში ვიზიტის შემდგომ, საღამოს საათებში, მთავარი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ, ეთერში სახელდახელოდ მომზადებული სპეციალური გადაცემები გადიოდა. მეტიც, წლების განმავლობაში სახელმწიფო ტელევიზიაში (სანამ ის საზოგადოებრივ მაუწყებლად ტრანსფორმირდა) არსებობდა "სპეციალურ გადაცემებზე" მომუშავე ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის წარმატებებს სტიქიურად აშუქებდა (ამ ტიპის გამოშვებები სამაუწყებლო ბადით არ იყო გათვალისწინებული).

კიდევ ერთი სატელევიზიო ფორმატი, რომელიც შევარდნაძეს დადებითი კუთხით წარმოაჩენდა და მაყურებელს მისი უალტერნატივობის განცდას უნერგავდა, იყო ყოველთვიური გადაცემა "ალო, პრეზიდენტი გისმენთ". გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი, სხვადასხვა სამაუწყებლო და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებთან ერთად, პირდაპირ ეთერში უსვამდა აქტუალურ კითხვებს საქართველოს პრეზიდენტს. გადაცემის მსვლელობისას მაყურებელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, ტელეფონის საშუალებით შევარდნაძისთვის კითხვა დაესვა. პრეზიდენტი ქუჩაში წინასწარ ჩაწერილ შეკითხვებსაც პასუხობდა. ეს ფორმატი არ არის საქართველოს ტელევიზიის მიგნება. მსგავსი ტიპის დიალოგი ჟურნალისტებთან და მოსახლეობასთან მრავალი ქვეყნის მეთაურს აქვს.

პროექტი უნდა ყოფილიყო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მაგალითი. შევარდნაძეს არ ჰქონდა მოთხოვნა, რომ წინასწარ სცოდნოდა შეკითხვები. გადაცემის პროდიუსერის მიერ (გადაცემის პროდიუსერი თავად გახლდით რ.ჭ.) პირადად მიტანილ სავარაუდო კითხვარს პრეზიდენტი არ ეცნობოდა და უკან ატანდა. პრეზიდენტი ყველა ჟურნალისტთან ცდილობდა, არ გასცდენოდა დემოკრატიულობის ჩარჩოებს. მეტიც, ყოველი შეხვედრისას ზემოთ ხსენებული გადაცემის წამყვანსა და პროდიუსერს მოუწოდებდა, ეთერში ის საკითხები დასმულიყო, რასაც თავად ჩათვლიდნენ საჭიროდ, თუმცა ამ ღია ურთიერთობის მიღმა იყო ტელევიზიის ხელმძღვანელი, რომელიც გადაცემის

სცენარს პუნქტობრივად გადიოდა და შეხედულებისამებრ ცვლიდა ამა თუ იმ კითხვის ფორმულირებასა თუ რაკურსს. ასევე აქტუალური იყო წამყვანის თვითცენზურაც, რაც, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ ეთერში დასმული აქტუალური საკითხის გამწვავებას არათუ ამძაფრებდა, არამედ ანეიტრალებდა.

ზემოთ განხილული სხვადასხვა სატელევიზიო ფორმატიდან და მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დემოკრატიულობის მანტიის მქონე, ერთი შეხედვით, მეტად თავისუფალი მასმედიის მიუხედავად, აშკარაა უხეში და პირდაპირი პროპაგანდისტული ტელე-თუ კინოპროდუქციის დამზადება. კომუნისტურიდან დემოკრატიულ პრინციპებზე ტრანსფორმირების მიუხედავად, ნათელია, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებული სხვადასხვა მიმართულების პროდუქტიდან, მართალია, მოდერნიზებული, მაგრამ მაინც საბჭოური ტიპის პროპაგანდისტული ხაზი იკვეთება, რომლის მიზანიც ერთი კონკრეტული პირის კულტის შექმნა და გამყარებაა. იდეალური წარსულის, დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე პროფესიონალი, თანამედროვე მსოფლიო გეოპოლიტიკის არქიტექტორი, რომელიც დროს უსწრებს და მოსახლეობის მაგივრად ფიქრობს – ასე წარმოაჩენს შევარდნაძეს მასზე შექმნილი სხვადასხვა მედიაპროდუქტი.

მზადება რევოლუციისთვის

1995 წლიდან ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გააქტიურდა ოპოზიცია, რომლის ძირითადი დასაყრდენი დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2" იყო. *"პროცესებში აქტიურად ჩაერთო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2", გაზეთი „24 საათი", სხვა მედიასაშუალებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ასრულებდნენ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების პირდაპირ დაკვეთას, უწევენ მათ ფართო პიარკამპანია და ჟურნალისტური პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სრული უგულებელყოფით ღიად მოუწოდებდნენ საზოგადოებას ხელისუფლების შეცვლისა და გადადგომისაკენ"*[43]. ასე აფასებს შექმნილ ვითარებას მკვლევარი ხათუნა ჩარკვიანი სადისერტაციო ნაშრომში. მეცნიერი ასკვნის, რომ ღია ბრძოლა ხელისუფლებისთვის პოზიტიური ინფორმაციების დაბლოკვითა და ნეგატიური მოვლენების გადაჭარბებული გაშუქებით ხდებოდა. *"შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოპოზიციის პიარმენეჯერად ქცეული სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2" უცხოელი პიარტექნოლოგებისა და მედიასპეციალისტების ხელმძღვანელობით, პროპაგანდის რეჟიმში განაგრძობდა თანამედროვე, უახლესი ფსიქოლოგიური თუ ვიზუალური პიარტექნოლოგიებით, მედიის მუშაობის ყოველგვარი ეთიკის დარღვევით საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირებას, ახდენდა სიტუაციის*

[43] ხ. ჩარკვიანი, "**PR**-ის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტებისჩამოყალიბებაში". გვ 109. 2011წ.

ნეგატივიზაციას და აჩქარებდა დესტრუქციული ამოცანების განხორციელებას. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-სა და ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების მხრიდან დაიწყო ღია ბრძოლა უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ, რაც გამოიხატებოდა უზენაესი სასამართლოს საქმიანობის ნებისმიერი პოზიტიური ინფორმაციის პირდაპირი დაბლოკვით საინფორმაციო გამოშვებებში, სასამართლო რეფორმის ყველაზე მიუკერძოებელი და ობიექტური მოსამართლეების დისკრედიტაციით სარეკლამო კლიპებში და გადაცემა „60-წთ-ის“ მეშვეობით.’[44] ე.წ. დესტრუქციული ამოცანა კი ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა იყო. ერთჯერადი, ან თუნდაც გარკვეული პერიოდულობით ქუჩის აქციებისა და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების პიკეტირების მეშვეობით სასურველი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ფართო ანტისახელისუფლებო საინფორმაციო კამპანია. 2000 წლიდან წამოწყებულ ოპოზიციურ მედიაკამპანიას,“დესტაბილიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფას” მკვლევარი ლ. კუტუბიძე სამ ეტაპად ყოფს:

- *“I წრე – 2000 წელი – პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის არჩევისთანავე დაწყებული, მისი და აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაციის კამპანიიდან – “შემოდგომის დესტაბილიზაციამდე”, ანუ, ნოემბერ-დეკემბრის “ენერგეტიკულ ბუნტამდე”;*
- *II წრე – 2001 წელი – წლის დამდეგს პანკისში რუსეთის სამხედრო ოპერაციის დაწყების საფრთხიდან კვლავ “შემოდგომის დესტაბილიზაციამდე”, ანუ ე.წ. “ნოემბრის რევოლუციამდე”;*
- *III წრე – 2002 წელი – პანკისის პერმანენტული საფრთხისა და რუსეთის აგრესიის ფონზე – კვლავ საინფორმაციო სამზადისი “შემოდგომის დესტაბილიზაციისთვის”*[45].

ოპოზიციის მიერ ე.წ. მართულ მედიას სწორედ დესტაბილიზაციასა და სხვადასხვა საფრთხის გამძაფრებულად წარმოჩენის გზით სურდა მოსახლეობის უკმაყოფილების ტალღის წარმოქმნა. უშუალოდ პრეზიდენტის იმიჯის შელახვას

---

[44] ხ. ჩარკვიანი, “**PR**-ის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში”. გვ 110.

[45] ლ.კუტუბიძე, “2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები”, გვ79, 2009წ.

კი სამაუწყებლო მედიის ნაწილი შევარდნაძის მთავრობის წევრებისა და მისი გარემოცვის კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის მხილებით ცდილობდა. ოპოზიციურად განწყობილმა მედიამ საინტერესო ტაქტიკა აირჩია. ისინი არა პირდაპირ, არამედ ირიბად დაუპირისპირდნენ პრეზიდენტს. კერძოდ კი, მათი სამიზნე არა პირადად ედუარდ შევარდნაძის იმიჯი(რის გამყარებაზედაც სახელმწიფო ტელევიზია მუშაობდა), არამედ მისი გარემოცვის მხილება იყო. შევარდნაძის პოლიტიკური გამოცდილება, მისი მიღწევები მსოფლიო დიპლომატიაში- ისე, როგორც მისი პოლიტიკური ალღო და ნიჭი - ოპოზიციის მიერ მართულ მედიას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია. პროპაგანდისტული ფრონტის ხაზი ფაქტობრივად ყველა სატელევიზიო ჟანრს, ისე როგორც სამაუწყებლო ბადეს - მიჰყვებოდა. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პროგრამა “60 წუთია” – ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც იყო ანალოგი ცნობილი ამერიკული სამაუწყებლო კომპანია “CBS”-ის გადაცემიასა “60 Minutes”. ის ტელეკომპანია “რუსთავი2”-ის ეთერში 1999 წლიდან, 4 წლის განმავლობაში, ვარდების რევოლუციამდე გადიოდა და მისი ძირითადი სამიზნე სწორედ შევარდნაძის გარემოცვა იყო. ხშირად პროგრამის შემქმნელების მხრიდან შეიმჩნეოდა ფაქტების უზუსტობა და ცრუ ბრალდებებიც კი. არა მხოლოდ “რუსთავი2”-ში, არამედ ზოგადად, ქართულ ტელესივრცეში ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული გადაცემა ეთერში 2001 წლის 1 აპრილს გავიდა, სადაც გადაცემა “60 წუთში” კულტურის ყოფილი მინისტრი და შევარდნაძის ახლო გარემოცვის წევრი, ვალერი ასათიანი 2 ადამიანის რიტუალურ მკვლელობაში დაადანაშაულეს. ვ. ასათიანმა სარჩელით სასამართლოს მიმართა და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. 2002 წლის 3 ივნისს საოლქო სასამართლომ ექსმინისტრის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და “60 წუთს” 50 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა, თუმცა საბოლოოდ უზენაესი სასამართლოს საკასაციო საქმეთა პალატამ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა. კერძოდ, “60 წუთს” ვალერი ასათიანის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებების უარყოფა და 50 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. ამ “შეცდომას” წლების შემდეგ, საგამოძიებო ჟურნალისტიკაზე საუბრისას, ხსენებული სიუჟეტის ავტორი ნინო ზურიაშვილი

ჟურნალისტთან ინტერვიუში აღიარებს. *"ავტ.- თქვენ გქონდათ საკმაოდ სერიოზული შეცდომებიც, მაგალითად, ვალერი ასათიანის თემა. ნ.ზ. – გეთანხმები, თემა არ იყო სრულყოფილად გამოძიებული - და თანაც, გარკვეული შეცდომებიც იყო სცენარში"*[46]. იმისთვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა ტიპის პროპაგანდისტული ბრძოლის მეთოდებს იყენებდნენ "60 წუთის" ჟურნალისტები, განვიხილოთ არა ხსენებული, მეტად რეზონანსული და სასამართლოს მიერ "რუსთავი2"-ის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებული გადაცემა, არამედ ერთ-ერთი მორიგი სიუჟეტი, რომელიც ეთერში 2000 წელს გავიდა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს (იმ პერიოდში) და ასევე ედუარდ შევარდნაძის გარემოცვის ახლო წევრს -როინ მეტრეველს ეხება. *"ის, რასაც დღეს სიუჟეტში წარმოგიდგენთ,უმრავლესობისთვის სიახლე არ იქნება. უნივერსიტეტში არსებული კორუფციისა და მოძველებული სისტემის შესახებ იცის ყველამ. ყოველ შემთხვევაში - ყურმოკვრით მაინც. ბუნებრივია, ვიცით ჩვენც."* – ასე იწყებს გადაცემას ავტორი აკაკი გოგიჩაიშვილი. წამყვანი სიუჟეტის წარდგენისას სრულ ჭეშმარიტებას ამბობს, რადგან მაყურებელი ახალს, მითუფრო, ფაქტებით გამყარებულს - ვერაფერს იხილავს. ჟურნალისტი ნინო ხაჟომია, რომელიც მასალაზე მუშაობდა, ინსპირაციის წყაროდ საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ასახელებს. *"მსოფლიო ბანკის საექსპერტო ჯგუფმა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა შეისწავლა და მთავარ პრობლემად კორუფცია დაასახელა. ამ ჯგუფს დანიელი მეცნიერი იოჰან ლორენსენი ხელმძღვანელობდა. ექსპერტთა გამოკვლევის თანახმად, ყველაზე ძვირი – 20 ათასი დოლარი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე მოწყობა ღირს,"*ამბობს კადრს გარეთ ჟურნალისტი, რასაც მოჰყვება რექტორის კომენტარი, რომელიც ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ასეთი დასკვნა ბუნებაში არ არსებობს. ჟურნალისტი კი, უნივერსიტეტის შენობის კადრების ფონზე - პირველად ინფორმაციას აღრმავებს: *"მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა მუშაობის პროცესში გამოჰკითხეს სახელმწიფო მოხელეები, პარლამენტარები, უმაღლეს*

[46]ჟურნალი "ცხელი შოკოლადი" 1, მაისი, 2008წ.

სასწავლებელთა ადმინისტრატორები, მასწავლებლები და სტუდენტები. მათი დასკვნის სისწორე სხვადასხვა დონის სემინარებზე არაერთხელ გადამოწმდა." ლოგიკურია, რომ პირველი და მეორე ტექსტის ასეთი მტკიცებითი ფორმულირებისას, მითუფრო მაშინ, როდესაც რესპონდენტი ასეთი დასკვნის არსებობას უარყოფს, საჭიროა პირველწყაროს კომენტარი. მოწმედ მოყვანილი კომისიის თავმჯდომარის ან რომელიმე წევრის, ან - თუ ეს შეუძლებელია გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, თუნდაც ჟურნალისტის მიერ ხსენებული დოკუმენტის ასლის ჩვენება. მსგავსი კომენტარი ან დოკუმენტი ჟურნალისტურ გამოძიებაში არ ფიგურირებს, რაც პირდაპირ მიგვითითებს იმის შესახებ, რომ სიუჟეტის მთავარი ღერძი "ანონიმური ავტორიტეტის", ე.წ. "ნაცრისფერი პროპაგანდის" კლასიკური ხაზის მიხედვითაა აგებული ინფორმაცია სოლიდურობის ხარჯზე უფრო დამაჯერებელი ხდება, თუმცა დასახელებული წყაროს მტკიცებულება არ არსებობს. ავტორის მიერ ხსენებული უცხოელი ექსპერტების მაგივრად კი ჟურნალისტი მაყურებელს სთავაზობს თსუ-ს ერთ-ერთი ლექტორის - ზურაბ ჭიაბერაშვილის კომენტარს: *"იყო შემთხვევა, როდესაც მე მოსკოვში მკითხეს, რომ აი - რა ღირს თქვენთან იურიდიულზე მოწყობაო. მე ყურმოკრულად რაც ვიცოდი, ვუთხარი - 15 ათასი დოლარი, და იქ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მითხრა, რომ იგივე ფასები ყოფილაო."* ეს კომენტარი კი ე.წ. "ცრუ ანალოგიის" მეთოდის გამოყენებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჟურნალისტური გამოძიების ავტორი ცდილობს, მაყურებლის ცნობიერებაში ე.წ. ფსევდოლოგიკური ანალოგი ააგოს და ამ მეთოდის მეშვეობით, აუდიტორიას გაუმყაროს მიწოდებული ინფორმაცია. ჟურნალისტურ გამოძიებაში ასევე საუბარია უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვის ბუნდოვანებაზე, თუმცა ეს ნაწილიც არა ფაქტებს, არამედ ვარაუდებს ეყრდნობა. სიუჟეტის ფინალში კი ავტორი კვლავ ნაცრისფერ პროპაგანდას უბრუნდება და ექსპერტების არარსებული დასკვნის საფუძველზე, ლოგიკურ ეჭვს უჩენს მაყურებელს. *"საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებით, ქართული უნივერსიტეტები ზედმეტად ცენტრალიზებულია. მის სათავეში დიდი ძალაუფლების მქონე რექტორები დგანან, რომლებიც ერთპიროვნულად იღებენ ყველა გადაწყვეტილებას. ფინანსურად ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ისევ*

და ისევ რექტორები არიან. ლოგიკურად უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთპიროვნულ მმართველობას ისინი უქმად არ კარგავენ." როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაცემის წამყვანი სიუჟეტის წარდგენისას არ შემცდარა, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კორუფციის შესახებ იმ პერიოდში ბევრი საუბრობდა, თუმცა ე.წ. ჟურნალისტური გამოძიებაც, როგორც ვნახეთ, ჭორებს, რომლებიც შესაძლოა სიმართლეც იყოს, ფაქტებით ვერ ამყარებს. ძირითადად, სწორედ "ცრუ ანალოგიებსა" და "ანონიმურ ავტორიტეტებზე" იყო დამყარებული ოპოზიციური მაუწყებლობის ე.წ. პროპაგანდისტული ფრონტის ხაზის მიმართულება, რასაც გადაცემა "60 წუთი" უძღვებოდა.

მეორე მნიშვნელოვანი ტელეპროდუქტი, რომელიც შევარდნაძის მთავრობის საზიანოდ მუშაობდა იყო ანიმაციური, სატირული სერიალი "დარდუბალა". თუ "60 წუთის" შემთხვევაში პირდაპირი სამიზნე ე. შევარდნაძე არ იყო და პრეზიდენტის ხელისუფლების შერყევას მისი გარემოცვის მხილებით ცდილობდნენ, "დარდუბალას" მთავარ გმირს სწორედ ედუარდ შევარდნაძე წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ სერიალის ცენტრალური ფიგურა პრეზიდენტი იყო, ამ შემთხვევაშიც, "რუსთავი2" არ უხვევს აღებული გეზიდან. ე. შევარდნაძე სერიალში დადებითი პერსონაჟია. მისი ანიმაციური პროტოტიპი საყვარელი ბაბუაა, რომელიც საკუთარი კორუმპირებული გარემოცვის ერთგვარი მსხვერპლია. პრეზიდენტი არ არის უჭკუო, არც ბოროტი. მას, უბრალოდ, ასაკის გამო აღარ აქვს ძალა, მართოს მთავრობის გაზულუქებული წევრები, რომლებიც გამუდმებით ატყუებენ და სხვადასხვა დარტყმის ქვეშ აყენებენ, თუმცა პრეზიდენტი მხოლოდ საკუთარი გამოცდილებისა და ჭკუის წყალობით აღწევს თავს გამოუვალ მდგომარეობას. მაგალითად, ერთ-ერთ სერიაში - "ბუდგუზონია", როდესაც სახელმწიფოს ვალი აქვს გადასახდელი, პრეზიდენტი სიცოცხლის რისკის ფასად მზადაა, პაპუასებთან მოლაპარაკებაზე ჩავიდეს. საქართველოს 20 მილიონი აქვს დასაბრუნებელი, თუმცა ამის შესაძლებლობა შევარდნაძეს არ გააჩნია. მრჩევლები ურჩევენ, მინისტრებს სთხოვოს ფული, თუმცა პრეზიდენტი ამბობს: *"ვინ რას მოგცემს, ხომ ხედავ, რა ცხოვრებაა".* შევარდნაძე შეიმუშავებს გეგმას, რომ ის გაიტაცონ და მინისტრები იძულებულნი იქნებიან გამოსასყიდის სახით ფული გადაიხადონ. სიუჟეტი ისე

ვითარდება, რომ კორუმპირებული მინისტრები (განსაკუთრებით აქტიური შინაგან საქმეთა მინისტრია) არცკი ფიქრობენ პრეზიდენტის დახსნას, პირიქით, მომხდარით გახარებული არიან და შევარდნაძის ორეულს მიიყვანენ სახელმწიფო კანცელარიაში. ამ ანიმაციური სერიალით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ოპოზიციურად განწყობილი მედია კორუფციაში შევარდნაძის პირდაპირი დადანაშაულებისგან პირველ ეტაპზე თავს იკავებს და ძირითადი აქცენტი მის გარემოცვაზე გადააქვს.

საქართველოში როგორც ე.წ. პროსახელისუფლებო, ისე ოპოზიციურად განწყობილი მაუწყებლები ცდილობდნენ საზოგადოებრივი აზრითმანიპულირებას. პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენება კი განვითარებადი ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, დამახასიათებელია. *"აგიტაციურ-პროპაგანდისტული ხერხების გამოყენება, რაც საბჭოური ტრადიციიდან გამომდინარეობს, პოლიტიკური სისტემის და იქ მოქმედი პოლიტიკური რეჟიმების ლაბილურობასა და საჯარო სივრცის ტრანსფორმაციის სიძნელეებზე მიუთითებს. – მსგავსი ტენდენციის არარსებობა კომუნისტური წარსულის მქონე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიძლება არა მხოლოდ იმ ქვეყნების პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის დასრულებით აიხსნას, არამედ იმ მაღალი დემოკრატიული კულტურის არსებობითაც, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა. – დასავლური პოლიტიკური სისტემებისაგან განსხვავებით, სადაც მედია ხელისუფლებისთვის უფრო საზოგადოებასთან ურთიერთობის აწყობის საშუალებაა, საქართველოს მსგავს ქვეყნებში ის არის აგიტაციის, პროპაგანდისა და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალება,"*[47]ასკვნისმკვლევარიბექაჭედიასადისერტაციონაშრომში - "მასმედიისროლიტრანსფორმირებადპოლიტიკურსისტემაში".

როგორცზემოთაღვნიშნეთ, ე.წ. კომუნისტურიპროპაგანდისსტილშიმოქმედებდასახელმწიფოტელევიზია, რომელიცშევარდნაძისკულტისშექმნითიყოდაკავებული.თუმცაგანსხვავებულიიყო "რუსთავი2"-ისტაქტიკა,

[47]ბ. ჭედია, "მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში" გვ142, 2009წ.

რომელიცროგორცმაყურებელს,ისემთავრობასპოლიტიკურდღისწესრიგსუდგენდა. ის, რომტელევიზიაარიყონეიტრალური, ესრევოლუციისთანავეაღიარასაინფორმაციოსამსახურისხელმძღვანელმაეკახოფერ იამ. "ვარდების რევოლუციიდან" მესამე დღეს ეკა ხოფერიამ პირდაპირ ეთერში რუს მედიაექსპერტს მ. განაპოლსკის ჰკითხა: *„მე შემიძლია პირდაპირ ეთერში განვაცხადო, რომ ჩვენი ტელეკომპანიის ჟურნალისტები რევოლუციის დროს არ ვიყავით პოლიტიკურად ნეიტრალურნი, ჩვენ ამ მოვლენებში ღიად ვუჭერდით მხარს ოპოზიციას. ჩვენ ვიყავით სუბიექტურები, რამდენად გამართლებულია ეს?"* ამ კითხვაზე რესპონდენტს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. "ვარდების რევულუციის" მოახლოაბასთან ერთად "რუსთავი2"-ის პოზიცია სულ უფრო მკვეთრი იყო. თუკი 2003 წლის "შემოდგომის დესტაბილიზაციის" მომზადების პროცესი ოპოზიციურად განწყობილმა მედიამ ისე განვლო, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს პირდაპირ არ ადანაშაულებდა და სახელმწიფო ტელევიზიის მიერ შექმნილ ხატებას არ ეხებოდა, შემოდგომიდან "დარდუბალას" კეთილ, საყვარელ ბაბუას უმღერეს "შენც წადი".ოპოზიცია საინფორმაციო გამოშვებებსა და პოლიტიკურ შოუებშიქვეყანაში არსებული კორუფციის გამოუკვე არა მხოლოდ პრეზიდენტის გარემოცვას, არამედ შევარდნაძეს ადანაშაულებდა. საგულისხმოა, რომ პოლიტიკურ შოუებში ტელევიზია აქტიურად იყენებდა ე.წ. "არწივის ეფექტს" და "კონტრასტის პრინციპს". ოპოზიციის სპიკერებად ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსები იქცნენ. ხელისუფლების ინტერესების დამცველად კი "რუსთავი2" ეთერში გამუდმებით ისეთ ოდიოზურ ფიგურებს იწვევდა, როგორებიც იყვნენ ლევან მამალაძე (ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული) და ვიტალი ხაზარაძე (დეპუტატი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი). მათ ფონზე კი ახალგაზრდა რეფორმატორები გაცილებით სიმპათიურები, ლოგიკურები და თანამედროვენი იყვნენ. იგივე სქემა ხორციელდებოდა ე.წ. ექსპერტებზეც. იმას, რომ ტელევიზიები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შემფასებელთა ე.წ. სელექციას ახორციელებდა იმის მიხედვით, თუ ვინ რომელი ძალის მომხრე იყო, ქართველი პოლიტილოგებიც ადასტურებენ. *"ქართული მედიის იდეოლოგიურ და პოლიტიზებულ ხასიათზე მითითებისას ძალზე*

მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი, რაც ჩვენი მედიის როლს საჯარო სივრცის ფორმირებაში განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს. საუბარია ბოლო წლებში საქართველოში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების დომინირებულ პარადიგმებზე. კერძოდ, მასმედია პოლიტიკურ საკითხებზე კომენტირებისთვის რეგულარულად იწვევს ან ტელერადიოეთერში, ან გაზეთის ფურცლებზე ტიტულოვან ექსპერტებს, რომელთა გარკვეულ ნაწილს თავის დროზე არანაირი შეხება არ ჰქონია პოლიტიკურ ცოდნასთან, ანუ ფაქტობრივად, ბოლო წლებში გაზეთის ფურცლებსა თუ ტელევიზიებში თვითმარქვია ექსპერტები და პოლიტოლოგები მომრავლდნენ. ანუ, მივდივართ მასმედიის მხრიდან საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საქართველოში ჩამოყალიბებულ კიდევ ერთ „მოხერხებულ“ მეთოდამდე, რომელიც პირველად შევარდნაძის რეჟიმის დროს გამოიკვეთა და რევოლუციის შემდეგაც გამოიყენება. ქვეყანაში ჩამოყალიბდა იმგვარი მედიასაშუალებებიც (და ეს ტელევიზიების მაგალითზე უფრო თვალსაჩინოა), რომლებიც „ექსპერტთა“ „შეგნებულ პოლიტიკურ სელექციას“ ახორციელებენ. შევარდნაძის რეჟიმის დროს ამას ეკონომიკური ხასიათიც კი ჰქონდა, მაგალითად, მაშინდელი ოპოზიციისთვის „მომუშავე“ „რუსთავი 2“-ს ექსპერტთა თავისი ჯგუფი ჰყავდა, მეტიც, მათ ლამის შტატგარეშე თანამშრომლებად მიიჩნევდნენ’[48].აქვეაღსანიშნავია, რომნეიტრალურაზრსე.წ. ექსპერტები “რუსთავი2”-ისეთერითარახმიანებდნენ.

ვითარებისშემფასებლებიარარეალურიექსპერტები,

არაკონკტერულიანალიზისსაფუძველზედამყარებულიაზრისგამომთქმელი,

არამედ,უმეტესშემთხვევაში,ორპოლიტიკურბანაკადგაყოფილიკვაზი-

ექსპერტებისდავაიყო. “რუსთავი2”-ის ეთერით გამართული ასეთი დებატების შემთხვევაშიც ოპოზიციური იდეების დამცველი თანამედროვე და მეტად ლოგიკური, ხოლო შევარდნაძის ხელისუფლების პოზიციის მიმხრობი არათანმიმდევრული ე.წ. ექსპერტები იყვნენ. სწორედ “არწივის ეფექტისა” და “კონტრასტის პრინციპების” პერმანენტული გამოყენებით, ოპოზიციურად განწყობილმა მედიამ შეძლო წარმოექმნა ორი რადიკალურად განსხვავებული

[48]ბ. ჭედია,“მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში” გვ82, 2009წ.

პოლუსი: პროგრესი, რაც ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდს დაუკავშირა და რეგრესი, რაც შევარდნაძესთან ასოცირდებოდა.

მაშინ, როდესაც სახელმწიფო ტელევიზია ეთერს პრეზიდენტის შესახებ შექმნილ ქართულ თუ უცხოურ დოკუმენტურ ფილმებს უთმობდა, "რუსთავი2" კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის - "ფსიქოს" მეშვეობით თანამედროვე, დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს ქადაგებდა. გადაცემა "რუსთავი2"-ის ეთერით 1996 წლიდან ყოველ შაბათს, საინფორმაციო პროგრამის დასრულების შემდეგ (22:00-ზე) გადიოდა. პროგრამაში განსახილველი თემები და ის ლიბერალური ღირებულებები, რასაც პროგრამით ნაჩვენები ფილმების უმრავლესობა პროპაგანდირებდა, ისე, როგორც მისი დასრულების შემდეგ ფილმის განხილვა (გადაცემაში მოწვეული სტუმრები არა კონკრეტულ ფილმს, არამედ ფილმში დასმული პროპლემების შესახებ მსჯელობდნენ), ტელევიზიისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდის ქართულ სამაუწყებლო სივრცეში ყველაზე რეიტინგულ, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში "კურიერში", გადაცემის წამყვანი გოგი გვახარია გადაცემას ვრცლად აანონსებდა. ამგვარი "დაპირისპირება", მაგალითისთვის: პ. ალმადოვარის გულწრფელობა და, მეორე მხრივ, ნ. კირთაძის პროპაგანდისტული კინო მაყურებლითვის კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, თუ რამდენად დიდია ხარისხობრივი განსხვავება და რამდენად ღრმაა უფსკრული ორ პოლუსს შორის. 2003 წლის ნოემბერში კი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი პირდაპირ პროპაგანდისტად გვევლინება და ფაქტობრივად დაუფარავად უბიძგებს მაყურებელს რევოლუციისკენ. *"2003 წელს საქართველოს ტელეკომპანიებს შორის გაჩაღებულ წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომი პერიოდის საინფორმაციო ომში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია „რუსთავი 2"-მა, რაშიც, პროპაგანდისტული ზემოქმედების სხვა ელემენტებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა კინომ (გარდა ფილმების ჩვენებისა, მას სხვადასხვა გადაცემებში იყენებდნენ), მაგრამ უდავოა, რომ ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა კინოგადაცემა „ფსიქოს", რომელმაც ტელევიზიის ყველა სპეციფიკისა და მანიპულირების მეთოდის მეშვეობით ამ პერიოდში შესანიშნავად შეასრულა*

თავისი მისია,"[49] -ასკვნისმკვლევარინარგიზაკანკიასადისერტაციონაშრომში "მხატვრულიკინემატოგრაფისატელევიზიოპროგრამისსტრუქტურაშიდამისიფუნქციონირებისძირითადიასპექტები". 2003 წლის ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებისთანავე გადაცემის ავტორმა და წამყვანმა განაცხადა, რომ "ფსიქოში" ე.წ. პოლიტიკური ფილმების ჩვენებას აპირებს. მივჰყვეთ ქრონოლოგიას: საპარლამენტო არჩევნების წინა დღე, "ფსიქოში" ნაჩვენებია რეჟისორ ვუდი ალენის ფილმი "ზელიგი". ფილმი 1920-30იანი წლების ამერიკას ეხება და მოგვითხობს ადამიანი - ქამელეონის შესახებ, რომელიც იღებს იმ ადამიანის თვისებებს, ვისთანაც აქვს ურთიერთობა. რესპუბლიკელებთან ხდება რესპუბლიკელი, შავკანიანთან შევკანიანი და ა.შ. მთავარი პერსონაჟის განკურნებას კი ექიმი ცდილობს. ფილმის ჩვენების შემდეგ კი სტუდიაში წამყვანი სტუმრებთან ერთად ე.წ. ზელიგის სენით დაავადებულ პოლიტიკოსებსა და ხალხის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე - არჩევნის გაკეთებაზე საუბრობდა. შემდგომ გადაცემაში აჩვენებენ ძმები ტავიანების ფილმს "ალონზაფან". მრავალ ალუზიაზე, მათ შორის კუბის რევოლუციაზე აგებული ფილმი თავისუფლებისთვის ბრძოლას და ნონკონფორმიზმს ქადაგებს. ფილმის შემდეგ კი გადაცემის სტუმრის ზურაბ ჭიაბერაშვილის (იმ პერიოდში ერთ-ერთი აქტიური ოპოზიციონერის) ძირითადი სასაუბრო თემა იყო ის, რომ საზოგადოება არ უნდა შეურიგდეს უსამართლობას, ანუ საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს. ნოემბრის შუა რიცხვებში კი რევოლუციის მუხტის ასამაღლებლად "ფსიქოში" იწყება დოკუმენტური ფილმების ჩვენება. პირველი ფილმი მ. განდის და ინდოელი ხალხის ეროვნულ-გნამათავისუფლებელ მოძრაობას ეხება, სადაც მიზანს მოსახლეობა საყოველთაო დაუმორჩილებლობით აღწევს. მეორე ფილმი ეთერში უშუალოდ "ვარდების რევოლუციის" წინა დღეს გავიდა, რომელიც ს. მილოშევიჩის ხელისუფლებიდან უსისხლოდ წასვლას ასახავს. ერთ-ერთი მთავარი ამ ფილმში ორგანიზაცია "ოტპორის", რომლის ქართული პროტოტიპი ორგანიზაცია "კმარა" იყო, თავგანწირული მუშაობაა. რაც შეეხება მესამე ფილმს, ის ეთერში უკვე რევოლუციის შემდგომ - 29 ნოემბერს გავიდა და ა. პინოჩეტის ხელისუფლების

[49]ნ.კანკია, "მხატვრული კინემატოგრაფი სატელევიზიო პროგრამის სტრუქტურაში და მისი ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები" გვ.74, 2011წ.

დამხობას ასახავდა. ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ ტელეკომპანია "რუსთავი2" არა მხოლოდ საკუთარი ორიგინალური ტელეპროდუქციით, არამედ ბადეში განთავსებული მხატვრული ფილმებითაც ცდილობდა მაყურებელზე ზემოქმედებას.

ოპოზიციურად განწყობილმა მედიამ ხელისუფლების შესარყევად თითქმის ყველა პროპაგანდისტული მეთოდი აამუშავა. მათ შორის ე.წ. „ეგზიტპოლები," ანუ არჩევნების დროს ხმების პარალელური დათვლის მეთოდი, რაც ქართული პოლიტიკური სისტემისთვის ყველაზე უფრო მტკივნეული და საკამათოც აღმოჩნდა. ეს მეთოდი პირდაპირ კავშირშია მედიის საქმიანობასთან, რადგან ამ მეთოდის მიზანი, ერთი მხრივ, არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე მოსახლეობის წინასწარი ინფორმირებაა და მეორე მხრივ, - ოფიციალური შედეგების ერთგვარი წინასწარი მონიტორინგი. პირველად ეს მეთოდი საქართველოში 2003 წლის ნოემბერში გამოიყენეს და მისი მთავარი დამკვეთი რევოლუციის „ავანგარდში" მდგომი ტელეკომპანია „რუსთავი-2" იყო. მაშინ არჩევნების ოფიციალური შედეგები ეგზიტპოლის შედეგებს არ დაემთხვა, რაც ქვეყანაში მომხდარი რევოლუციის ერთ-ერთ გამართლებად იქცა. ფაქტობრივი მტკიცებულება იმისა, რომ ტელოკომპანიის მიერ დაკვეთილი ეგზიტპოლები ფალსიფიცირებული იყო, არ არსებობს. თუმცა წლების შემდეგ "რუსთავი2"-ის დამფუძნებელმა ეროსი კიწმარიშვილმა მემუარების წერა დაიწყო, სადაც დეტალურად უნდა აღეწერა რევოლუციის მზადების პროცესი. მის გარდაცვალებამდე (2014წ) პრესაში გამოქვეყნდა ე. კიწმარიშვილის მოგონებების მცირე ნაწილი, საიდანაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ტელევიზია რევოლუციის დაგეგმვისა და მომზადების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო. მემუარების ერთ-ერთ ქვეთავში სათაურით - "მე და რევოლუციის პირმშოები" (აქ სათაურშივე ნათლად ჩანს, რომ ე.წ. დამოუკიდებელი ტელევიზიის დამფუძნებელი არ მალავს, რომ ის 2003 წლის რევოლუციის აქტიური წევრი იყო) ეროსი კიწმარიშვილი სიამაყით აღნიშნავს, რომ ის მოვლენების ეპიცენტრში იყო, ხოლო რევოლუცია მისმა ტელევიზიამ მოაწყო. იქვე ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, თუ ვინ და რა სქრუქტურები ეხმარებოდა მას და სხვა რევოლუციონერებს გეგმის განხორციელებაში. *"დღეს უაპელაციო*

საზოგადოებრივი აზრია, რომ „ვარდების რევოლუცია“ ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მხარდაჭერით და მონაწილეობით დაიგეგმა და ეს რევოლუცია კავკასიის რეგიონში რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ განახორციელეს ზოგადად ამერიკელებმა, ასევე, ჯორჯ სოროსმა და საქართველოში მათგან მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა ძალებმა. ამერიკის შეერთებული შტატების როლი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და პროდასავლური განწყობების ფორმირებაში, რა თქმა უნდა, უდიდესი იყო. 1993 წლიდან მოყოლებული ამერიკის საელჩოს, ასევე USAID-ის თუ სხვა ინსტიტუტების ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები და აქტივობა ნამდვილად შთამბეჭდავი იყო და შედეგიც მოჰქონდა, ასევე დიდი მხარდაჭერა განახორციელა ჯორჯ სოროსმა თავისი ფონდის - „ღია საზოგადოება საქართველო“ საშუალებით, რომელსაც ხალხში „სოროსის ფონდს“ უწოდებდნენ. ამ ფონდის დაფინანსებამ 1991-94 წლების სამოქალაქო ომის შემდგომ ულუკმაპუროდ დარჩენილი უამრავი გამოჩენილი მეცნიერი, ჟურნალისტი თუ კულტურის მოღვაწე ელემენტარული, მცირე, მაგრამ აუცილებელი შემოსავლით უზრუნველყო, განახორციელა ბევრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო, კულტურული თუ მედიაპროექტის დაფინანსება. რამაც საერთო ჯამში საზოგადოების განწყობის ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა’[50]. შემდგომში სწორედ ამ “გატრეინინგებულმა” ჟურნალისტებმა შეიტანეს დიდი წვლილი რევოლუციის დაგეგმვაში. ამავე მემუარებში ეროსი კიწმარიშვილი იხსენებს იმ ფაქტს, თუ როგორ დადგა “რუსთავი2”-მა სააკაშვილის მომხრეების თბილისში მანქანების კოლონით შემოსვლის კადრი, რაც ქართულ სინამდვილეში “დასწრების ეფექტისა” და “ემოციური რეზონანსის” გავრცელების ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია. კიწმარიშვილის აღიარებით, თბილისში შემოსასვლელ ცენტრალურ მაგისტრალთან (მცხეთასთან ახლოს), ხელოვნურად მოწყობილი საცობის წყალობით, უამრავი მანქანა გაერთიანდა ერთად ჯაჭვად, რამაც გამოიწვია ილუზია, თითქოს შევარდნაძის ხელისუფლების დასამხობად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ხალხის დიდი ნაკადი მოემართება. პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების განმარტებით,

[50] http://news.ge/ge/news/story/97635-kitsmarishvilis-memuarebi-rogor-inatsilebdnen-qveynis-yvelaze-maghal-tanamdebobebs-vardebis-revolutsiis-liderebi

სწორედ "რუსთავი2"-ის მიერ დაგეგმილმა კამპანიამ გადაწყვიტა საქართველოს მომავალი 2003წელს. *„ერთია, რომ ეს გადატრიალება (იგულისხმება „ვარდების რევოლუცია") უსისხლოდ დასრულდა, თუმცა, ერთი რამ მაინც ცხადია, ეს არის „რუსთავი2"-ის მიერ მოწყობილი გადატრიალება. მე ამას, როგორც პოლიტოლოგი ვაფასებ, რომ პირველად მსოფლიოში გადატრიალება მოაწყო ტელეკომპანიამ, რასაკვირველია, პოლიტიკოსების დახმარებით, ბურჯანაძის, ჟვანიას და სააკაშვილის აქტიური მონაწილეობით, მაგრამ მთავარი ორგანიზატორი იყო „რუსთავი2" და ფართო მასებისთვის უცნობი ეროსი კიწმარიშვილი'*[51]- წერს ვარდების რევულუციის შემდეგ საქართველოს პერლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი და შევარდნაძის ახლო გარემოცვის წევრი ვახტანგ რჩეულიშვილი.

ჩვენ განვიხილეთ სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ლიდერის პროპაგანდისტული ხაზი. საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელიც "ისტორიის გადაწერას" ცდილობდა, მაგრამ პერიოდული "ინფორმაციული ბლოკადისა" და ზოგადად არათანმიმდევრული ნაბიჯების გამო მიზანს ვერ მიაღწია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამსახურდიას ხელისუფლების პროპაგანდისტული მარცხის უმთავრესი მიზეზი არაპროფესიონალიზმი იყო. პრეზიდენტის ერთგულების მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს იდეოლოგებმა არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ ის ბერკეტები (ვგულისხმობთ ზოგადად მედიას), რაც ჯერკიდევ ცენტრალიზებული და სახელმწიფოს მართვის ქვეშ იყო. პირველმა პრეზიდენტმა ეს "იარაღი" თავის სასარგებლოდ და ხელისუფლების გასამყარებლად ვერ გამოიყენა და არც დათმო, რადგან იმ პერიოდის იდეოლოგები არაკონტროლირებად მედიას დიდ საფრთხედ განიხილავდნენ. თუმცა სწორედ ამ პერიოდში შესაძლებელი იყო, რომ პროცესების სწორად წარმართვის, პროპაგანდისტული ტაქტიკის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, მასმედიას "ორთქლის გამომშვების" დაგროვილი ნეგატიური ენერგიის გამწოვის ფუნქცია შეესრულებინა.

განსხვავებული იყო საქართველოს მოერე პრეზიდენტის მიდგომა. თბილისში დაბრუნებისთანავე მან საზოგადოებას მკაფიო გზავნილებით

[51] ვ. რჩეულიშვილი, ინტერვიუ, გაზეთი „რეზონანსი",25 ნოემბერი, 2003წ.

მიმართა. გაემიჯნა სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილეებს და ეტაპობრივად დე ფაქტო გაათავისუფლა მასმედია, რომელმაც "ორთქლის გამომშვების" ფუნქცია უმალვე იკისრა. ამან კი ე. შევარდნაძეს მისცა საშუალება, გარკვეულწილად ემართა მოსახლეობისგან აკუმულირებული ნეგატიური ენერგია, რომელსაც ის პერიოდულად ილუზორული, ხან არსებული, თუმცა გადაჭარბებული "საერთო მტრის" წინააღმდეგ მიმართავდა. აქვე აღსანიშნავია, რომ დემოკრატის იმიჯის მორგების მიუხედავად, ის ბოლომდე ვერ გაექცა საბჭოური პროპაგანდის სტილისტიკას, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ სამაუწყებლო მედია - ისე როგორც კინოპროდუქცია - შევარდნაძის კულტად ქცევას ცდილობდა.

ახალგაზრდა რეფორმატორების ამოცანა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიზანს ჰგავდა, თუმცა მათ გამსახურდიასა და მისი იდეოლოგებისაგან განსხვავებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად და, რაც მთავარია, მაღალ პროფესიულ დონეზე აამუშავეს პროპაგანდისტული მანქანა. საბჭოთა მენტალიტეტის შესაცვლელად ისინი არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ იდეოლოგიას "კონტრასტის პრინციპით" დაუპირისპირდნენ. მათ საზოგადოების აღქმაში ორი პოლუსი შექმნეს. ამ პოლუსებს კონკრეტული პიროვნებების სახელი შეგნებულად არ დაარქვეს, რადგან შევარდნაძესა თუ სააკაშვილს შორის არჩევნის შემთხვევაში ბრძოლა შესაძლოა წაეგოთ. ამიტომ, შექმნილ დაპირისპირებულ პოლუსებს ამყარებდა იდეოლოგია – ერთი მხრივ, პროგრესული, მეორე მხრივ კი - რეტროგრადული. ე.წ. რეფორმატორთა პროპაგანდის მთავარი მიზანი იყო არა კონკრეტულად ე. შევარდნაძის პიროვნებასთან ბრძოლა, არამედ ის, რომ საზოგადოებას ნათლად დაენახა, ვინ არის მომავალი და ვინ - წარმავალი. შესაბამისად, საზოგადოებაც გამარჯვებულს, ანუ მომავალს მიემხრო.

ზემოთ გაანალიზებული პერიოდი და გამოტანილი დასკვნები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ტელე-კინო პროდუქცია არა მხოლოდ გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ამსახველი, არამედ შემოქმედია. ნაშრომი.შეგვიძლია დავასრულოთ ა.შ.შ-ს პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის სიტყვებით: *"პროპაგანდასა და ინფორმაციაში ჩადებული ერთი დოლარი უფრო*

ფასეულია, ვიდრე ახალი იარაღის სისტემების შესაქმნელად ჩადებული ათი დოლარი, რადგან ახალი თაობის იარაღი შესაძლოა არც გამოიყენონ საქმეში, ინფორმაცია კი საათში ერთხელ ყველგან მუშაობს.”

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზ., მიმართვა გაზ. “ქართული აზრი” თბილისი, 19, აპრილი 1992წ.

2. გამსახურდია ზ., 2 სექტემბრის ტელე მიმართვა, სსმ-ს არქივი, 1991წ.

3. გამცემლიძე დ., “ედუარდ შევარდნაძე-ძალაუფლების ვნება და ტექნოლოგია”, ჟურნალი. experti.ge;

4. ზურიაშვილი ნ., ტერვიუ “ცხელი შოკოლადი” 1, მაისი, 2008წ.

5. კანკია ნ., “მხატვრული კინემატოგრაფი სატელევიზიო პროგრამის სტრუქტურაში და მისი ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები” თბ. 2011წ.

6. კირთაძე ნ., ინტერვიუ “ნინო კირთაძის სასწაული” http://www.ambebi.ge/kulturashoubiznesis/36936-nino-kirthadzis-sastsauli.html?add=1#ixzz3H3jyqKf 2009წ.

7. კუტუბიძე ლ., “2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები”, თბ. 2009წ.

8. კიწმარიშვილი ე., მემუარების ნაწილი http://news.ge/ge/news/story/97635-kitsmarishvilis-memuarebi-rogor-inatsilebdnen-qveynis-yvelaze-maghal-tanamdebobebs-vardebis-revolutsiis-liderebi

9. ჟვანია ზ,. ინტერვიუ "ჯორჯიან თაიმსისთან" 1994 წ. http://www.opentext.org.ge/index.php/index.php?m=28&y=2002&art=10359

10. რჩეულიშვილი ვ., ინტერვიუ, გაზეთი „რეზონანსი“ 25, ნოემბერი, 2003წ.

11. სახელმწიფო საბჭოს სხდომის სტენოგრამა 11 აგვისტო 1992

12. შევარდნაძე ე., “ფიქრი წარსულსა და მომავალზე”. მემუარები, თბილისი 2006წ

13. შევარდნაძე ე,. მიმართვა სოხუმიდან გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 207(735), 1993წ.

14. შევარდნაძე ე,. ინტერვიუ, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 4 (807), 1994წ.

15. შევარდნაძე ე,. “დსთ”-ში შესვლის თაობაზე, კენჭისყრის წინ, საქართველოს პარლამენტში გამომსვლელთა სტენოგრაფიული ჩანაწერები. 1994წ. http://droni.ge/?m=3&AID=5413

16. შველიძე დ., პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992წ.წ). თბილისი 2008წ.

17. ჩარკვიანი ხ., “**PR**-ის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში”. თბ. 2011წ.

18. ჭედია ბ., “მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში”, თბ. 2009წ.

19. Гарифуллин Рамиль, “Психология политического блефа” (1.10.5. Полуправда) http://psyfactor.org/lib/politbluff-0.htm

20. Кара-Мурза. “Манипуляция сознанием”. – “Орияны”. Киев, 2000.

21. Почепцов Г.Г. “Коммуникативные технологии двадцатого века”, 2002.

22. Почепцов Г.Г. “Психологические Войны” 2000.

23. Рубинштейн Сергей “Основы общей психологии”. Глава VIII. “Теория памяти”, 2000.

24. Сороченко Виктор “Энциклопедия методов пропаганды”

25. Adolf Hitler: “Mein Kampf”, 1934y.

26. David L. Altheide - “Creating Fear: News and the Construction of Crisis”, 2002y.

27. David L. Altheide - “Terrorism and the Politics of Fear,” 2006y.

28. Dolf Zillmann “Connections between sexuality and aggression,” Second Edition 1998y.

29. Erich Goode “Drugs in American Society”. 1999y.

30. Frank Furedi - “The Politics of Fear,” 2005y.

31. Gaulin, Steven J. C. and Donald H. McBurney. “Evolutionary Psychology”. 2003y.

32. G. M.Kosicki, “Problems and Opportunities in Agenda-Setting Research”,1993y.

33. Hilmar Hofman, “The Triumph of Propaganda”, 1996y.

34. Jennings Bryant, Susan Thompson, “Fundamentals of Media Effects”, 2001y.

35. Kevin Williams “Read All about It,” 2010y.

36. Konrad Z. Lorenz - “On Aggression” 1966y.

37. M. McCombs, & D. Shaw, The agenda-setting function of mass media, 1972y.

38. Michael J. Robinson - The News Interest Index, 1986-2007, Two Decades of American News

39. Paul Joseph Goebbels “Aus Churchills Lügenfabrik,” Die Zeit ohne Beispiel (Munich: Zentralverlag der NSDAP), pp. 364-369. 1941y.

40. Philip Agee “Inside the company: CIA diary” Bantam Books, 1975y.

41. Preferences; Part 1: “Analyzing What News the Public Follows - and Doesn’t Follow”, 2007y.

42. Tony Shaw – “Hollywood's Cold War” 2007

43. Walter Lippmann, “Public Opinion”, 1922y.

44. William Blum “Killing Hope: US Military and CIA Interventions Since World War II”, 2003y.

45. Zbigniew Brzezinski – “Washington Post” 26 March, 2007y.

ნაშრომში აღნიშნულის გარდა უხვადაა გამოყენებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ფონდებში დაცული (აუდიო, ვიდეო) მასალა.